დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ხატიაშვილი

წევრები:

მარიკა კირვალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	200087191

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi175@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577930075

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 4 აგვისტოს MES 4 23 0000964807 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 25-26 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

თბილისის 175 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. სკოლა დაფუძნებულია ორი სკოლის გაერთიანების საფუძველზე და განთავსებულია 2 სასწავლო კორპუსში. პირველი კორპუსი განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, სადაც არის ახალ გარემონტებული საკლასო ოთახები. მეორე კორპუსში განთავსებულია საბაზო და საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის მოსწავლეთა საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო და ღია კალათბურთის, ფეხბურთის მოედნები.

სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც გამოიხატებოდა ვიზიტის დროს თანამშრომლების დამოკიდებულებასა და ურთიერთმხარდაჭერაში. სკოლის მასწავლებლები დირექციასთან ერთად ზრუნავდნენ როგორც სასკოლო გარემოს ჰიგიენასა და უსაფრთხოებაზე, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე. სკოლას ჰყავს მოტივირებული და კომპეტენტური გუნდი, რომლის წევრებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში. ეს თვალსაჩინო იყო მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით და ასევე, ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ ვიზიტი წარმართულიყო მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლის საუკეთესო და განსახვავებულ გამოცდილებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სკოლაში სადაც ამჟამად სწავლობს 2555 მოსწავლე, არ ირეკება ზარი. ეს ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა საგაკვეთილო დრო აქვთ განსაზღვრული კლასებს და დამაბნეველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იქნებოდა მინიშნება, მაგრამ მეორე მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ ამით მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უვითარდებათ დროის მენეჯმენტის, კოორდინირებული მოქმედებისა და გადაადგილების, თვითრეგულაციისა და ორგანიზებულობის უნარები. ვიზიტის დღეებში ჩვენი დაკვირვების და სკოლის წარმოადმგენლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ მოსწავლეებს ზარის არ ქონა ხელს არ უშლის დროულად გამოცხადნენ საგაკვეთილო კაბინეტებში.

აღსანიშნავია ის, რომ სკოლაში უმრავლესობა საკლასო ოთახებისა აღჭურვილია პროექტორით, რაც ასევე უჩვეულოა საჯარო სკოლებისათვის. ორივე სასწავლო კორპუსში ერთად მხოლოდ 19 საკლასო ოთახში არაა პროექტორი, როცა 90-მდე კლასია.

სკოლას აქვს წარმატებები როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ისე მეწარმეობის სწავლების მიმართულებით. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში და არის არაერთი საერთაშორისო პროექტის გამარჯვებული. მაგალითად, სკოლა ამაყობს, რომ მათი მოსწავლეები ჩართულები არიან საერთაშორისო ორგანიზაცია JUNIOR EACHIVNENT GEORGIA-ს მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ფინეთში, აშშ-სა და ესტონეთში. წელს მოიპოვეს წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიის ტიტული და მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსში თურქეთში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2634	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის პროგრამა

საბაზო საფეხურის პროგრამა

საშუალო საფეხურის პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საშუალო საფეხური*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს: ა)სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ექსპერტის დასკვნის შესაბამისად საჭირო სამუშაოების ჩატარება; ბ)სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა .
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.1.1.2		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლაში მოსწავლეთა და შენობების რაოდენობიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საჭიროა სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდა.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.*	*ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ სკოლამ შეიმუშაოს დოკუმენტი ან რომელიმე შესაბამის დოკუმენტში ნათლად გაწეროს როგორ აკეთებს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირებას, რომლებსაც სჭირდებათ კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		გასაუმჯობესებლად, რა მექანიზმებს იყენებს მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის რემედიაცია.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*კრიტერიუმის შესაბამისად სკოლამ მუდმივად უნდა განავითაროს საგნობრივი კურიკულუმი, სასწავლო პროცესში თემებთან მიმართებით საკითხების დამუშავებისას სასურველია სასწავლო რესურსებისა და კომპლექსური დავალებების მუდმივად სრულყოფა/განვითარება .*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*კრიტერიუმის შესაბამისად სკოლამ მუდმივად უნდა განავითაროს საგნობრივი კურიკულუმი, სასწავლო პროცესში თემებთან მიმართებით საკითხების დამუშავებისას სასურველია სასწავლო რესურსებისა და კომპლექსური დავალებების მუდმივად სრულყოფა/განვითარება .*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*დაწყებით საფეხურზე არის საგნები, რომელთა ფარგლებშიც ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. სასურველია, დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პირველ და მეორე კლასში სრულად შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო ყველა სავალდებულო თემაზე განსაზღვრული შუალედური მიზნებით და კონტექსტ-'მაგალითებით ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების გათვალისწინებით. ასევე, უცხოურ ენებში არის თემები, რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ინტეგრირებულად. სასურველია ყველა თემაში მოხდეს ინტეგრირებულად ყველა სამიზნე ცნებების დამუშავება.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინდა პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ დამატებით წარმოადგინდა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექპერტის დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის გაცხადებული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მიმართულია მოზარდთა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებასა და ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენებაზე. მისია: „ჩვენ ვზრდით, ძლიერი ფინანსური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ თაობას მომავალ მეწარმეებად და ციფრულ მოქალაქეებად, დემოკრატიულ და მზრუნველ გარემოში.“ ხედვა: „სწავლების მაღალი ხარისხიდან, სასწავლო პროგრამებიდან, დემოკრატიული, ესთეტიური და მზრუნველი გარემოდან გამომდინარე, ჩვენი სკოლა, მომავალ 7-10 წელიწადში აღზრდის ტექნოლოგიური, ფინანსური და სამეწარმეო ცოდნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღწურვილ მოსწავლეებს, რომლებსაც ექნებათ ინოვაციური და თანამედროვე იდეები, ქვეყნისა და მსოფლიოს უკეთესი განვითარებისთვის.“

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. წარმოდგენილი მისიითა და ხედვით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მისიაში გამოკვეთილია მოსწავლის მხარდამჭერი და პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები.

სკოლის მისიიდან და ხედვიდან ჩანს, რომ მას სურს იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. თითოეულ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური და განსხვავებული შესაძლებლობები, გამოთქვამს მზაობას მათ მხარდასაჭერად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლამ საავტორიზაციო განაცხადის მომზადების პროცესში გაიაზრა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული იყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ითვალისწინებდეს მის ინტერესებს. ამ მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით (*N2-271 20/06.2023*) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადასახედად. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.) სამუშო ჯგუფმა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით შეიმუშავა დასკოლის სტრუქტურულ ერთეულებს წარუდგინა სკოლის მისიისა და ხედვის რედაქტირებული ვერსია, რომელიც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლასთან ინტერვიურების დროს სკოლის დირექციამ წარმოადგინა ის უკუკავშირი, რომელიც ჯგუფმა მიიღო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N175 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რასაც ადასტურებს სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და დირექციასთან გასაუბრებისას გამოთქმული მოსაზრებები. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია მშობელთა კრებებზე, დახურულ სოციალურ ჯგუფებში, თიმსის პლათფორმაზე. სკოლას აქვს სტრუქტურული ორგანოები, სკოლის პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი ფორმატით, აერთიანებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს. ყველა რგოლი აქტიურად იყო ჩართული სკოლაში მიმდინარე პროცესებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. უზრუნველყოფილია სკოლის მიერ გაცხადებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა. კერძოდ, სკოლის დერეფანში ყველასათვის შესამჩნევ ადგილას გამოკრულია პოსტერი სკოლის მისიითა და ხედვით. მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზეც [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)](emis.ge).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება, „სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა“, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების თანახმად, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *სსიპ ქალაქ თბილისის #175 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-271 20/06.2023 სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
- *სკოლის ვებ გვერდი და სოციალური გვერდი;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 20 ივნისს N2-275 ბრძანებით. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს იმ ეტაპებს, რომელიც აუცილებელია სკოლის სტატეგიული გეგმის შემუშავებისათვის. კერძოდ, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი; მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა; სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება; ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება; მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიაში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების სხვადასხვა მექანიზმი, როგორიცაა მაგალითად, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, დაკვირვება, სვოტ ანალიზი და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რადგან როგორც თვითშეფასების დოკუმენტში იყო აღწერილი, იმ პერიოდში სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული გეგმა დამუშავების პროცესში იყო. ამიტომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. სკოლამ დამატებით წარმოადგინა სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა და მისი შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის SWOT ანალიზი. სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის *N2-276 20/06/2023* ბრძანებით სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე შიდა სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჯგუფს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად აქვს ჩატარებული სამუშაო. მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს, 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებით:

- სწავლა/სწავლება;
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში;
- სკოლის მენეჯმენტი.

სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმაში ჩაშლილია თითოეული მიმართულების შინაარსი, შესრულების დრო, პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ცხადად ჩანდა, რომ სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის მზაობა და მზადება უკვე დაწყებული იყო სკოლაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტად სკოლას ატვირთული ჰქონდა მოქმედი 2022-2023 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა 2023-2024 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად სკოლამ გამოაგზავნა ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან/პრიორიტეტული მიმართულებებიდან. სამოქმედო გეგმა და მისი შემუშავების პროცესი შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვულ პროცედურას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს სკოლის თვითშეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის თითოეული მიმართულებით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე, რაც რეალისტურს ხდის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ქალაქ თბილისის #175 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-275 20/06/2023*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ N2-276 20/06/2023*
- *სკოლის სტატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;*
- *სკოლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი იყო მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კერძოდ, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას. ინდიკატორებზე დაკვირვება მთლიანად სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. სკოლის ადმინისტრაციის თქმით, შესრულების ინდიკატორების დროული მონიტორინგი და შეფასება იმის გარანტიაა, რომ დასახული გეგმა სრულდება. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, კი შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის წესი. ამ წესის შესაბამისად, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობის შესრულება, შესაძლებელია, შემსრულებელ პირზე/სტრუქტურულ ერთეულზე მოხდეს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უფლებამოსილებების დელეგირება. უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, აუცილებელია შემსრულებელ პირს/ორგანოს გადაეცეს სათანადო რესურსები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი აქტივობის შესასრულებლად.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგსაც ამისათვის სპეციალურად შექმნილი ჯგუფები ახორციელებენ. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. სწორედ, ამ პრაქტიკით აქვს სკოლას განხორციელებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი და სკოლის დირექტორის მიერ შედეგები ანგარიშის სახით აქვს წარდეგნილი სამეურვეო საბჭოსათვის. ანგარიშში ვრცლადაა წარმოდგენილი სასწავლო წლის მანძილზე სკოლის მიერ განხორციელებული სამუშაო სამოქმედო გეგმის თითოეული მიმართულებისთვის. იკვეთება, რომ სკოლას აქვს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგების პრაქტიკა და უკუკავშირის მიღების გამოცდილება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ინფორმირებულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სკოლის დირექტორისა და მოადგილის შემაჯამებელ ანგარიშებში ასახულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. ასევე, რეგულარულად იმართება პედაგოგთა, დირექციის შეხვედრები, სადაც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება კონკრეტული პრობლემა და ისახება მათი გადაჭრის გზები. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურად ქვეყნდება სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის პირად გვერდზე. სკოლა იაზრებს, რომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მხარეებისთვის ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა და ამ მიმართულებით გეგმავს სკოლის ვებგვერდზე ამ ინფორმაციის განთავსებასაც სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ მათი შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და მისგან გამომდინარე რეკომენდაციები სკოლას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარედგინება სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ახდენენ შესაბამის რეაგირებას. სტარატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა ფასდება თითოეული მიმართულების მიხედვით და შესრულების შედეგები აისახება ანგარიშში. შემდგომი დაგეგმვის პროცესი ასევე ეყრდნობა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებლების და ა.შ) მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და ანგარიშებს. კერძოდ, მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააკეთებს ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის სტატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;*
- *სკოლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ქალაქ თბილისის 175 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები საქმიანობები და ანგარიშვალდებულება, ძირითადად, განსაზღვრულია - საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. სკოლას თვითშეფასების ფორმაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნული ჰქონდა, რომ 2023 წლის სექტემბრამდე გეგმავდა ისეთი ჩარჩო დოკუმენტის შექმნას, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

მართლაც, სსიპ თბილისის 175 საჯარო სკოლას დირექტორის მ/შ N2-285 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრუქტურა შედგება სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან, კოლეგიური სამუშაო ჯგუფებისაგან (კომისიები/საბჭოები) და თანამდებობრივი პოზიციებისაგან. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია; პედაგოგიური საბჭო; სამეურვეო საბჭო; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი. დოკუმენტში განსაზღვრულია თანამდებობის/ პოზიციის დასახელება, სტრუქტურული ერთეული, შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები), სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვ. აღნიშნულ დოკუმენტს იცნობს სასკოლო საზოგადოება. დირექციის მთავარ ფუნქციას სკოლაში წარმოადგენს სწავლა სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა. ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციები განაწილებულია, განსაზღვრულია მკაფიოდ და მიმართულია სწავლა სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისკენ. სამეურვეო საბჭო ირჩევს დირექტორს და მონაწილეობს ბიუჯეტის დამტკიცებაში, დისციპლინარული კომისია განიხილავს სხვადასხვა გადაცდომებს, რომლებიც ფიქსირდება სკოლაში..

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. თბილისის N175 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე. დოკუმენტი მიმართულია სკოლის სტრატეგიული გეგმის მიზნების მიღწევაზე და ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მნიშვნელოვანია ის, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N2-572, 27.11.2020) სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მოქმედების წესსა და პროცედურებს. ეს წესიც არეგულირებს სკოლის სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სკოლის მიერ დადგენილი პირობების დაცვით, რომელიც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით. ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვა ეყრდნობა აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებულ შრომით ხელშეკრულებებს. დოკუმენტებში გათვალისწინებულია ის პროცესები, რომლებიც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესის გაცნობას თანამშრომლები ადასტურებენ ხელმოწერით. იგი თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმებით, პერსონალის პირადი საქმეები და მასში განთავსებული დოკუმენტაცია შეესაბამებოდა სკოლის მიერ დადგენილ რეგულაციებს. თუმცა რამოდენიმე იყო ისეთი შემთხვევა, რომ პირად საქმეში აკლდა ცნობები ნარკოლოგიური შემოწმების და ნასამართლეობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და მასში გაწერილი პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის ეფექტურად მართვის მიზნით, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პრაქტიკა, რაც გამოიხატება სწრაფი და მოქნილი რეაგირებით. მაგალითად, სკოლის თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით სკოლა იყენებს ყველა შესაძლებლობას არსებული დანაკლისის შესავსებად. შინაგაწესით დარეგულირებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კერძოდ, სკოლაში ხარისხის განვითარების დადგენილი მექანიზმებით შეფასების (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, გარეშეფასება) დონეზე ხდება პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეებიის გამოვლენა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. მასწავლებელთა შეფასება გულისხმობს შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით საჭიროებების დადგენას: სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია; სწავლების მეთოდების შერჩევა; შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი; მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება; საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. დადგენილი საჭიროების შესაბამისად კი ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება შიდა ან გარე რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები (მუხლი 28. თანამშრომელთა შერჩევა, დასაქმება, ადაპტაცია, განვითარება), რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 №174/ნ ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების - „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“- მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერსონალის დასაქმება და მოზიდვა ხდება ობიექტურად და გამჭვირვალედ. ვაკანტური ადგილის შემთხვევაში, განცხადება თავსდება ონლაინ (pedagogi.ge) საიტზე. შემდეგი ეტაპი არის დოკუმენტების გადარჩევა, კვალიფიკაციისა და მონაცემების მიხედვით, შერჩეულ კანდიდატებთან ხდება გასაუბრება. გასაუბრების კომისიაში სკოლის თანამშრომლებთან ერთად ასევე შედიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. საიტზე გამოცხადებული საკონკურსო ვადის გასვლის შემდეგ კომისია წინასწარ მომზადებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არჩევს სასურველ კანდიდატს. შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად ყველაზე მაღალი ქულის მქონე კონკურსანტის კანდიდატურას კომისია წარუდგენს სკოლის დირექტორს სათანადო ხელშეკრულების გასაფორმებლად. საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ღიაობის, არადისკრიმინაციული მიდგომებით. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბოლო პერიოდში განხორციელებული კადრების შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია, რამაც დაადასტურა სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლის თანამშრომელი. კონკურსის ჩატარებამდე, სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ვებ-გვერდზე საჯაროდ აქვეყნებს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი. სკოლაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მოქმედ კანონმდებლობას, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რაც დასტურდება მასწავლებლის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტით. დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, არსებობს მატერიალური ფორმითაც და ინახება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში, თანამშრომელთა პირად საქმეებში. შემთხვევითი შერჩევით მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მასწავლებების კვალიფიკაცია და დადებული შრომითი ხელშეკრულებები, შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის საერთო ღირებულებებიდან გამომდინარე (ერთ-ერთი ღირებულებაა: (ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;) სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლა აქტიურად რთავს სკოლაში მოქმედ სხვადასხვა რგოლებს, როგორც ინიციატივების გამოვლენის, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, წელიწადში ორჯერ, ორივე სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე, კათედრის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ანგარიშებს, რომელიც მიმართულია როგორც წარმატების აღიარებაზე, ისე კათედრის საქმიანობაში გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მოსმენილი ანგარიშებიდან და კათედრის წევრთა გაზიარებული მოსაზრებებიდან გამომდინარე დგება მომავალი სემესტრის თუ სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვას, ისე სკოლაში დემოკრატიული მართვის სტილის დამკვიდრებას. ანგარიშვალდებულება მიიღწევა პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითთმართველობის, სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირთა მომზადებული და სასკოლო შეხვედრებზე წარდგენილი ანგარიშებით. ამის მაგალითად სკოლამ დაასახელა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის ბიუჯეტის ერთობლივად შემუშავების პროცესი. მათ აღნიშნეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი მუშავდება კათედრების წევრების, დირექცია-ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით, შემდეგ კი შეთანხმებისა და დამტკიცების მიზნით მიმდინარეობს განხილვა სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლა თანამშრომლობს სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთან, იზიარებს მათ საუკეთესო გამოცდილებას და თავის მხრივ თვითონაც უზიარებს სკოლის საუკეთესო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას და სკოლაში და მის გარეთ სხვადახვა პროექტებისა და აქტივობების განხორციელებას. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან სასწავლო და სასკოლო საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ აქტივობებში.

   სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც აღიარებულნი არიან სასკოლო საზოგადოების მიერ, ისინი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. საგნობრივ კათედრებს აქვთ ურთიერთიდასწრების გამოცდილება, რაც წარმატებული გამოცდილების გაზიარებისთვის კარგი მექანიზმია. სკოლის დირექცია ცდილობს თანამშრომლები წაახალისოს სხვადასხვა ფორმით (მატერიალური, ფინანსური, მადლობის გამოცხადება, შესაბამისი სიგელის და სერტიფიკატის გადაცემა). ადმინისტრაციის მხრიდან ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად დასახელდა არჩევით საგნის, მეწარმეობის პედაგოგი, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაცია JUNIOR EACHIVNENT GEORGIA-ს მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, რომლის ფარგლებშიც პედაგოგმა 2008 წლიდან დღემდე მოიპოვა რამდენიმე საერთაშორისო გამარჯვება. მეწარმეობის საფუძვლების/სამოქალაქო განათლების პედაგოგი სკოლამ წარადგინა განათლების და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული წესით სქემით გათვალისწინებული სტატუსის მისანიჭებლად და პირველი შემთხვევაა, როდესაც სკოლის პედაგოგს უფროსიდან, წამყვანის სტატუსის გამოტოვებით, მინისტრის ბრძანებით მიენიჭა მენტორი მასწავლებლის სტატუსი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *თანამშრომელთა ხელშეკრულებები;*
- *ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული შესარჩევი კონკურსის მასალები;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის და შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ერთი მიზანი ეხება ადამიანური რესურსების განვითარებას, რაც თავის მხრივ მოიცავს ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას. სამოქმედო გეგმაში კი დროში გაწერილია შემდგომი აქტივობები: მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით საჭიროებების დადგენა; მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებებზე რეაგირება; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების წარმართვა / ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვა და განხორციელება (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება); პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების განხილვა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; მასწავლებლობის მაძიებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; პედაგოგთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდისთვის მუშაობის მიზნით, შიდა სასკოლო/სატრენინგო ჯგუფის მუშაობა.

ეს აქტივობები, თავისი შესრულების ინდიკატორების, ვადებისა და რესურსების მითითების შეიძლება მივიჩნიოთ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმად სხვა დოკუმენტებთან ერთად.

სკოლას forms-ში შემუშავებული აქვს გაკვეთილის შეფასების კითხვარი. კითხვარი შედგება კითხვებისგან კლასის მართვის, გამოკითხვის ხასიათის, მოტივაციის, გაგების, შეფასების, დახმარების და შეჯამების მიხედვით მოსწავლე მასწავლებლისათვის იდენტურად. სკოლის წარმომადგენლების აზრით, აქ მნიშვნელოვანი იყო, ერთი და იმავე გაკვეთილის შეფასება მასწავლებლის და მოსწავლის მხრიდან. აღნიშნული კითხვარის პასუხების შედარება საშულებას იძლევა გამოკვეთლიყო მასწავლებელთა მხრიდან ის საჭიროებები, რომელიც მათ დაეხმარებათ პედაგოგიური საქმიანობის უკეთესად წარმართვაში. ამავე დროს, სკოლას აქვს მაძიებლებთან მუშაობის გამოცდილება. ამ წლების მანძილზე 11 მაძიებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. სკოლას გაფორმებული აქვს მემურანდუმები უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებშიც სკოლაში პრაქტიკას გადიან პედაგოგთა პროფესიული 60-კრედიტიანი პროგრამის აპლიკანტები. დირექტორის ბრძანებით, პრაქტიკანტს მიმაგრებული ჰყავს მასწავლებელი, რომელიც აჩვენებს გაკვეთილს, უწევს კონსულტაციებს, უწერს რეფლექსიას თითოეული გაკვეთილის შეფასების მიზნით და კურსის დასრულების შემდეგ აფასებს მის მუშაობას. სკოლაში არსებობს ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება და სხვა. ჯგუფის წევრები არიან სკოლის წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლები, ჯგუფში წარმოდგენილია ყველა კათედრიდან წევრი. კათედრის წევრები ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით ესწრებიან საგაკვეთილო პროცესზე, ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, რისთვისაც შემუშავებული აქვთ შეფასების კრიტერიუმები.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით. სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება განმოვლენილი საჭიროების საფუძველზე და სკოლას აქვს რესურსი როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რომ დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები გეგმის შესაბამისად. პედაგოგები გადიან ყოველ წლიურ სავალდებულო ტრენინგებს, რომელთა შესახებაც წინასწარ არიან ინფორმირებულები და ტრენინგ კურსის შერჩევა ხდება მათი ინტერესებიდან და თვითშეფასებიდან გამომდინარე. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადახვა გზებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარედან შემოთავაზებული სერვისებით. მაგალითად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ საგნობრივ და მეთოდურ ტრენინგები, რომლებზედაც მასწავლებლები რეგისტრირდებიან სურვილისა და საჭიროების მიხედვით. ვიზიტისას თვალსაჩინო იყო, რომ სკოლა იაზრებს მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის მნიშვნელობას, თვლის, რომ ამ მიმართულებას სჭირდება გაძლიერება და უახლოეს მომავალში გეგმავს მის უფრო გააქტიურებას. კარგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იქნება, თუ რომელიმე დოკუმენტში იქნება გაწერილი სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში წახალისებულია სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ასევე წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა მოიძიებს ხოლმე ინფორმაციას სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების შესახებ და უზიარებს კოლეგებს. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობაში, რამაც საფუძველი უნდა დაუდოს მათ კარიერულ ზრდა/განვითარებას. მაგალითად, სკოლა ჩართული იყო შემდეგ პროგრამებში: ახალი სკოლის მოდელი, USAID სამოქალაქო განათლების მხარდამჭერი პროგრამა, ასევე, Junior Achievement Georgia, USAID საბაზისო განათლების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF)და ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითსკოლის პედაგოგები ჩაერთნენ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ ინოვაციური მიდგომების პროექტში, მსოფლიო ბანკის (IBRD) მიერ დაფინანსებულ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)". სხვადასხვა პროექტის გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს საჭიროების შესაბამისად, მაგალითად, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ USAID-ის პროექტის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს.
ისინი ტრენინგებზე მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში, რითაც ხელი ეწყობა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას. ამ მიმართულებით აღინიშნა აგრეთვე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეგების ურთიერთსწავლება სავალდებულო გამოცდების ჩასაბარებლად მომზადების პროცესშიც, როდესაც სკოლაში შეიქმნა მასწავლებელთა ჯგუფი, მომზადდა ტრენინგ მოდული კონკრეტული მიმართულებით, მაგალითად მდგრადი განვითარება, საკანონმდებლო ბაზა, ეროვნული სასწავლო გეგმა, პრაქტიკის კვლევა, პროექტების გაკეთება და ა.შ. ჩატარდა ტრენინგები, რომელიც დაეხმარა მასწავლებლებს გამოცდების წარმატებით დაძლევაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის დირექციის განცხადებით, სასკოლო საზოგადოება ეხმარება ახალ თანამშრომელს გაუადვილდეს ადაპტაციის პროცესი. სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში 28 მუხლის 2 პუნქტში ვკითხულობთ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესის შესახებ: 1.ახალი თანამშრომლის შერჩევის საბოლოო ეტაპი არის ადაპტაციის პროცესის მართვა, როდესაც ხდება ახალი თანამშრომლის მაქსიმალური ინფორმირება და ჩართვა სკოლის საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. 2. ადაპტაციის და საორიენტაციო პროცედურების მიზანია ახალი თანამშრომლისთვის სასიამოვნო, კომფორტული გარემოს შექმნა, რაც დაეხმარება სტრესის მართვაში და ახალ გარემოსთან სწრაფად ადაპტირებაში. 3. სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კოლეგები. 4.დირექტორის მოადგილე და კოლეგები მაქსიმალურად ხელს უწყობენ ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. 5.სკოლა შეიმუშავებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროგრამას.

ვიზიტის დროს დირექციამ აღნიშნა, რომ ეს პროცესი გულისხმობს სხვადასხვა ეტაპს. კერძოდ, პირველ ეტაპზე, სკოლა ახალ თანამშრომელს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და ამატებს სკოლის საკომუნიკაციო ჯგუფებში. შემდგომ ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ახალი წევრი დირექციის მეგზურობით ეცნობა სასკოლო სივრცეს, სკოლის ორგანიზაციული კულტურის მთავარ ასპექტებს და მიეწოდება მისთვის საჭირო დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, სასკოლო- სასწავლო გეგმა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია) და ინფორმაცია კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების შესახებ. არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით, ახალ თანამშრომელთან პერიოდულად მიმდინარეობს პროფესიული დიალოგი და საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირი უკუკავშირის მიღება შემდგომი რეაგირების მიზნით. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც ქმნის ჯანსაღ, კოლეგიალურ ურთიერთობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. მენეჯმენტის მხრიდან მუდმივად წახალისებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინტერვიუს დროს დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში იყო შემთხვევა, როდესაც მასწავლებელს თავად მიუმართავს კათედრისათვის დახმარების მიზნით, რათა გაკვეთილზე წარმოქნილი პრობლემების აღმოფხვრაში კოლეგას გაეწია დახმარება. კათედრის წევრები დააკვირდნენ კოლეგის გაკვეთილს, მასწავლებელს მისცეს შესაბამისი უკუკავშირი, მოხდა მისი გადამზადება შესაბამისი ლიტერატურით და გარკვეული პერიოდის შემდეგ სხვა პედაგოგზე მისი დაკვირვება. აღნიშნული პრაქტიკა, როდესაც ხდება კოლეგებს შორის ურთიერთანამშრომლობა, ჩვეულ მდგომარეობას წარმოადგენს და სკოლა მას ხშირად მიმართავს. სკოლა მუდმივად ცდილობს წაახალისოს ისეთი ინიციატივები, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის მხრიდან სკოლის მართვის პროცესში ჩართულობას. მაგალითად, სკოლის მხრიდან მხარდაჭერილი იყო ინიციატივები, როგორიცაა ერთ მასწავლებლის მიერ ინიცირებული სკოლის საჭიროებების კვლევა, დაწყებითების კათედრის ხელმძღანელის ინიციატივით ჩატარებული დიაგნოსტიკური წერა ქართულსა და მათემატიკაში მე-3/მე-4 კლასებში, რომელიც 16 პარალელურ კლასში ჩატარდა. კვლევის ანალიზის შემდეგ, სკოლამ პედაგოგს მისცა საშულება, რესურსები და სივრცე იმისათვის, რომ მიღებული შედეგები გაეზიარებინა სასკოლო საზოგადოებისთვის და მისი გამოცდილება სამაგალითო და მოტივაციის მიმცემი ყოფილიყო სხვა კოლეგებისათვის. სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც ტრენინგებიდან მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის ტრანსფერს ახდენენ კოლეგებთან გაზიარებით, რაშიც სკოლის ადმინისტრაცია მათ აქტიურ მხარდაჭერას უწევს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა და ანგარიში.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად. დოკუმენტებში აღწერილია სწავლებასთან, სკოლის საქმიანობასთან, სკოლის კვლევასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ციკლი. სკოლის შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე - პრინციპს, რაც უზრუნველყოფს პროცესულ მიდგომას. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათ აქვთ სურვილი და მზაობა სრულად მიყვნენ ხარისხის მართვის პრინციპებს, რაც აქამდე რთული განსახორციელებელი იყო, რადგან ბოლო პერიოდში სკოლა ფუნქციონირებდა ფორსმაჟორულ სიტუაციაში, სარემონტო სამუშაოების გამო სკოლაში შესახლებული იყო მეზობელი სკოლა და პრაქტიკულად არ იყო სივრცითი და დროითი რესურსი ამ მიმართლებით სამუშაოების ჩასატარებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითადი, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების დებულებები და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. აღნიშნული დოკუმენტები სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს, დაკავებული პოზიციის შესაბამისად, აკისრებს გარკვეულ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებას როგორც მმართველობით, ასევე ძირითად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამხმარე პროცესებში. კერძოდ, სკოლის დირექცია, თვითმმართველობა, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები უზრუნველყოფენ სკოლაში მმართველობითი პროცედურების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებული/დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მარეგულირებელი დოკუმენტაციის შეთანხმება/დამტკიცებას და სხვა. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები და სპეცმასწავლებლები, უზრუნველყოფენ სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების (კურიკულუმების შემუშავება, დანერგვა, სასწავლო პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და სხვა) ხარისხიანად და შეუფერხებლად წარმართვას, ხოლო დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში არსებული სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მონიტორინგის ჯგუფები, ტექნიკური და სხვა პერსონალი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები კი უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე ზრუნვას, სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ მე-4 მუხლის თანახმად, მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული რეგულაციის მიხედვით წარმოებული საქმის მასალები. თვითშეფასების დოკუმენტში კი აღწერილი შემთხვევა, როდესაც არ დადასტურდა მასწავლებლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის არცერთი ფაქტი, შესაბამისად, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებით მასწავლებელს არ დაეკისრა დისციპლინური სახდელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის, ასევე პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვე საბჭო, პედაგოგიური საბჭო. თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უფლებები და მოვალეობები.

დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შინაგანაწესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომინიკაციის წესი“. სკოლა მრავალფეროვანი აქტივობებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, სასკოლო თემი) სასკოლო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. კერძოდ, მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს სკოლის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულებას, რაც დასტურდება დასაქმებულთა ხელმოწერით, დამრიგებლები მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც მშობლები ხელმოწერით ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა, სკოლის დირექცია მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლებისა და მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს მიუწვდება ხელი. სკოლას Facebook-ზე შექმნილი აქვს გვერდი https://www.facebook.com/SchoolNo175 , სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი მიმდინარე მოვლენასთან დაკავშირებით. ასევე კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ „მესენჯერის“ ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან სადამრიგებლო კლასის მშობლები. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, სკოლაში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით და ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში მათი ინტერესი იყოს გათვალისწინებული. სკოლას ასევე აქვს ელ. ფოსტა, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მისწეროს წერილი. მნიშვნელოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინფორმაცია, ასევე ქვეყნდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, რომლის საშუალებითაც სკოლის საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია.

ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, თვითშეფასების კითხვარების საშუალებით სასკოლო საზოგადოების ინტერესების და ინიციატივების გამოკვეთისა. შემუშავებულია კითხვარები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, კომპლექსური დავალებების შესრულებისას წარმოქმნილ პრობლემებზე, ასევე, მასწავლებელთა თვითშეფასებისა და რეფლექსიის ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტიდან და სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებიდან დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა და მონაწილეობა. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. აღნიშნული ერთეულის უფლებებიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელშიც გაწერვიანებული არიან სკოლის პედაგოგები, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობაში გაწერვიანებული არიან სკოლის მოსწავლეები. სტრუქტურული ერთეულების უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და სკოლის შიდა რეგულაციებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას სკოლის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ჩართული არიან სკოლის ცხოვრებაში, ისინი წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ორი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომიტეტის წევრებიც. ვიზიტისას, ჩვენ შევხვდით მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს. მათ ისაუბრეს, რომ მათი ინიციატივით ეწყობა თამაშები, შეხვედრები, გამოკითხვები, რომლებიც გარდა იმისა, რომ სასკოლო ცხოვრებას ხდის საინტერესოს, ასევე ეხმარება მოსწავლეებს ჩართულობის უზრუნველყოფაში. თავის მხრივ სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობს მშობელთა კლუბი. მასში გაწევრიანება ხდება მშობელთა სურვილის მიხედვით. მშობელთა კლუბის თაოსნობით სკოლაში უკვე 2 ღონისძიება ჩატარდა: V-VI კლასების მოსწავლეებისთვის კითხვის ფესტივალი და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლა ცდილობს გააძლიეროს და წაახალისოს მშობელთა და მოსწავლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რისთვისაც ისევ მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობას გამოიყენებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სტრუქტურული ერთეულების დებულებები;*
- *სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ოქმები;*
- *მშობელთა კლუბის დებულება.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის 508 დადგენილებით დამტკიცებული "სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომლის საგანგებო სიტუაციის მართვის სააგენტოსთან შეთანხმებასაც სკოლა 2023 წლის ბოლომდე გეგმავს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობაც. სკოლაში სართულებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. სკოლას აქვს საგანგებო შემთხვევების მართვის მიმართულებით სწავლების ჩატარების პრაქტიკა და გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, თუმცა დირექცია წუხს რომ სკოლის ტერიტორია სრულად მაინც არ არის შემოღობილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. სკოლას ჰყავს ერთი

სკოლის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112-ს და იძახებს სასწარაფო დახმარებას, რომლებიც დაშავებულს აღმოუჩენენ პირველად სამედიცინო დახმარებას. სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა სამედიცინო პერსონალის დამატებასთან დაკავშირებით.

სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა მას საავტორიზაციო განაცხადის წარდგენისთანავე აქვს დაწყებული მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სპეციალურ სამსახურთან სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის წარსადგენი სახანძრო სიგნალიზაციისა და სისტემების შეტყობინებების გეგმა პროექტის შესამუშავებლად, რაც შემდეგაც გეგმა შესათანხმებლად წარედგინება შესაბამის უწყებებს.

სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა ჰქონდა წარმოდგენილი მიმართვის წერილი ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი, სადაც ის ითხოვდა სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებას. ვიზიტის შემდგომ სკოლამ უკვე წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის N007358623 დასკვნა 16.10.2023 . ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ საბოლოო დასკვნის მოპოვება სკოლამ დაგეგმა 2024 წლის 20 აგვისტომდე. გეგმის მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების პროექტის მომზადება; პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოში წარდგენა, დაფინანსების მოთხოვნა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაგეგმილ ვადაში წარმოადგინოს აღნიშნული დასკვნაც.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, სკოლა უზრუნველყოფილია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც, სკოლის დირექტორთან ერთად, კოორდინაციას უწევს უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას. საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პერიოდში სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი, მათი უფლება-მოვალეობები დარეგულირებულია ხელშეკრულებით. უცხო პირთა შემოსვლა ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლას ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა მოძრაობას დერეფნებში, გაკვეთილზე მათ დროულ გამოცხადებას. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დამრიგებლის დებულების შესაბამისად დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება. ასევე, ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს 5 მანდატური, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილებისა, მოსწავლეთა მიერ აკრძალული ნივთებით გადაადგილების კონტროლს და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას, ახდენენ დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სასკოლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეების როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად უსაფრთხო განვითარებას. სკოლაში არის ფსიქოლოგი და მეტყველების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგი, რომლებიც ძირითადად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი მსურველისთვის შეუძლიათ დახმარება. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სკოლა ვერ ახერხებს სათნადო დახმარების გაწევას, მოსწავლეთა გადამისამართება ხდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში, მშობლის მომართვის საფუძველზე. სკოლას აქვს გამოცდილება, როცა შეთავაზებული სამსახურით წარმატებით ისარგებლეს მოსწავლეებმა და მათ აღმოუჩინეს შესაბამისი ფსიქო-ემოციური დახმარება. დაწესებულების წარმომამდგენლების თქმით, მათი მიზანია დროულად ამოიცნონ ბავშვთა საჭიროებები და მოახდინონ მათზე ჯეროვანი რეაგირება. სკოლა ზრუნავს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნაზე მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით (სკოლას ჰყავს 6 სპეციალური პედაგოგი, ასევე, სსსმ პირის ასისტენტი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში სპეციალურად შედგენილი გრაფიკის მიხედვით); მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო რესურსებს; ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. სკოლას აქვს ბავშვთა საჭიროებების ამოცნობის, მათზე ჯეროვნად რეაგირების პრაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მათ ხარისხიან ფსიქოლოგიურ მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, მე- 2 კორპუსში მოწყობილია ლიფტი, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ადაპტაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე, გარე პერიმეტრზე. სანიმუშოდ მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლის ყველა სართულზე არის დამლაგებელი, რომელიც, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად იმყოფება მისთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში. დირექტორის თქმით, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ფულადი რესურსი გამოიყოფა ბიუჯეტიდან და იხარჯება სკოლის შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო რესურსების შესაძენად. სკოლის დამლაგებლები (ყოველი დასვენების შემდეგ) უზრუნველყოფენ სველი წერტილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასუფთავებას, ყოველდღიურად იგვება და სათანადოდ მუშავდება საკლასო ოთახები, ინვენტარი და დერეფნები. სკოლის სისუფთავის მონიტონირგს აწარმოებს სკოლის ექიმი. სადეზინფექციო ხსნარები დამაგრებულია ყველა სართულის ყველა ფლიგელში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. მნიშვნელოვანია, რომ კიბერბულინგის პრევენციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლა უზრუნველყობს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად სკოლა იცავს, როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას.

სკოლასა და თანამშრომლებს, სკოლასა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირდება პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების პირობები. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასაქმებული, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას, რომ მისი (მშობლის შემთხვევაში, მოსწავლის) პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა ხელშეკრულების გაფორმებისას საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

ვიზიტისას აღინიშნა, რომ სკოლა მონიტორინგს უწევს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს. არის შემთხვევები როდესაც ღონისძიებებისა და კვლევებისათვის საჭიროა მოსწავლეთა იდენტიფიცირება და ამისათვის სკოლას აქვს სპეციალური თანხმობის ბარათი, რომელსაც ავსებს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, შესაბამისად, სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები, კერძოდ, სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმი და კანონის შესაბამისად განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე. მოსწავლეთა, მშობლეთა და მასწავლებელთა პერსონალურო მონაცემები ატვირთულია eflow და eschool-ის ბაზაში და ელექტრონულ ჟურნალში. სადაც მიმდინარეობს საჯარო სკოლებისათვის დოკუმენტაციის ბრუნვა და იგი დაცულია შესაბამისი პაროლით. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას. მაგალითად: ანტივირუსული პროგრამების უზრუნველყოფა, რომელიც ახდენს ანტივირუსული პროგრამების ინსტალაციას; პერსონალური ინფორმაციის დაცვას, უზრუნველყოფილია სკოლის დირექციის, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის, სკოლის მასწავლებლების მიერ; მშობლებისა და მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოქმედი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, სკოლა იყენებს სკოლის სტრუქტურულ ორგანოებთან შეხვედრებს, სადაც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ანალიზის საფუძველზე ახდენს რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. დირექციის თქმით, სკოლას აქვს პრაქტიკა თვითშეფასების კითხვარის საშუალებით, დაადგინოს რამდენაც სწორად და შეუფერხებლად მიმდინარეობს პროცესები სასკოლო სივრცეში. ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერიოდული მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებენ გარე მაკონტროლებელი ორგანოები და იძლევიან გარკვეული რეკომენდაციები, რომლის შესრულებაზეც ზრუნავს სკოლა. მაგალითად, სკოლა ცდილობს პერიოდულად, სკოლის ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში შეცვალოს არსებული კამერები და გააფართოოს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით სასკოლო სივრცის დაფარვის არეალი. ასევვე, სკოლა ფიქრობს რომ ეზოს სრული შემოფარგვლა ბევრად უსაფრთხოს გახდის სკოლის პერიმეტრს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან მიწერილი წერილი შენობის უსაფრთხოების შესწავლის მოთხოვნის შესახებ.15/06/2023*
- სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის N007358623 დასკვნა 16.10.2023
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, ბრძანება N2-445, ქ. თბილისი, 2023 წლის 5 სექტემბერი*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის N2-473 ბრძანებაში ,, სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე, ბრძანება N2-444, ქ. თბილისი, 2023 წლის 5 სექტემბერი*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი N2-763"სსიპ 37 ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ";*
- *სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის 175 სკოლა განთავსებულია 32352 კვ.მ. ფართობზე. მასზე არსებული შენობა-ნაგებობები მოიცავს ორ დამოუკდებელ სასწავლო კორპუსს. ახლადგარემონტებულ პირველ კორპუსში განთავსებულა დაწყებითი საფეხურის კლასები, ხოლო მეორეში საბაზო და საშუალო საფეხურის კლასები. თითოეული შენობა არის 4-სართულიანი. სკოლას აქვს ორი შიდა სპორტული დარბაზი და ეზოში ორი სპორტული მოედანი, ერთი ხელოვნურ საფარიანი და მეორე ბუნებრივ საფარიანი. სკოლაში არის: ორი სააქტო დარბაზი; ბიბლიოთეკა 31 814 ერთეული წიგნადი ფონდით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის მინიმუმ თითო ეგზემპლარი, დამხმარე სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა; შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი 2 კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი; რესურსოთახი; საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტ/ლაბორატორიები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საცურაო აუზი, რომელიც დროებით არ ფუნქციონირებს. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებითა და სასკოლო დაფით, საკლასო ოთახების უმრავლეს ნაწილში დამონტაჟებულია პროექტორი. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს კაბინეტური სისტემით, ყველა სასწავლო საგნობრივი მიმართულებით არსებული კაბინეტებში განთავსებულია სწავლებისათვის საჭირო მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები და საჭირო ხელსაწყოები/მასალები. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. სკოლის შენობას აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ერთი, ორი ან სამი ფანჯარა. არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილი, სკოლაში არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. სკოლის დათვალიერებისას ექპერტებმა ვნახეთ 3D პრინტერიც, რომელიც სკოლის წარმომადგენლების აზრით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლა მუდმივად ზრუნავს შექმნას მოსწავლეებისათვის სწავლისა და განვითარებისთვის საჭირო კომფორტული და უსაფრთხო აკადემიური სივრცე, სადაც იმუშავებენ მოსწავლეეთა თვითმმართველობის წევრები, სკოლაში არსებული კლუბები (მეწარმეობის, რობოტიკის და სხვა), მშობელთა კლუბი. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით აქტიურად სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები.სკოლის ბიბლიოთეკა არის სრულად აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით და ბიბლიოთეკის სივრცე გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობების, ღია გაკვეთილების და პროექტებისათვის. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის ძირითადი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც საზიარო სივრცეა მოსწავლეების, მასწავლებლებისადა სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომლებისთვის. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც აღწერილია სკოლაში არსებული ციფრული ტექნიკა სად, როდის და როგორ შეუძლიათ გამოიყენონ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები, რაც გულისხმობს როგორც ტიპური განვითარების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაკმაყოფილებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს არსებობისთვის საჭირო ყველა სტანდარტული მოთხოვნა. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას შექმნილი აქვს მათთვის ხელმისაწვდომი გარემო, რისთვისაც მე-2 კურპუსის შენობაში მოწყობილია ლიფტი, რითაც მოსწავლე შეძლებს სკოლის შენობაში დაუბრკოლებლად გადაადგილებას. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი, რომელიც მთლიანად მორგებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლის რესურს ოთახი გამოყენებულია სსსმ მოსწავლეებისათვის და აგრეთვე ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს შეუძლია რესურს ოთახის ინვენტარით სარგებლობა, განსაკუთრებით ხშირად მიმართვან მას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. სპეცმასწავლებლებმა შექმნეს რესურსოთახში არსებული რესურსების კატალოგი და გაუზიარეს მასწავლებლებს. კატალოგში რესურსები დალაგებულია მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. რესურს ოთახში განთავსებულია კომპიუტერი, კარადა სათავსოებით, კედლის თაროები, სასწავლო მერხები, სკამები, მაგნიტური და ცარცის დაფები. რესურსოთახში ასევე განთავსებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსები - საკითხავი ლიტერატურა, სააზროვნო-განმავითარებელი სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებები, ასაწყობი ფაზლები, პრინტერი და სხვადასხვა ტიპის საკანცელარიო ნივთები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები სასკოლო საზოგადოების თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ, სკოლაში არის თანამედროვე ინფრასტრუქტურითა აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკაში სასკოლო კლუბებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები გეგმავენ და წარმართავენ სხვადასხვა ტიპის კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებას. ვიზიტის დროს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ, მათ არაერთი ღონისძიება დაგეგმეს და ჩაატარეს, მაგალითად დაასახელეს ვიქტორინა სკოლის მასშტაბით, რისთვისაც მათ დიდი ხელშეწყობა ჰქონდათ სკოლის დირექციის მხრიდან. დირექციის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ სკოლა გეგმავს თავისუფალი ზონების დამატებას, რომელიც გამოყენებული იქნება არაფორმალური ღონისძიებებისათვის. მაგალითად, მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის „ფინანსური წიგნიერების“ ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს სივრცის მაკეტი, ჩაატარეს გამოფენა/გაყიდვა, შეგროვილი თანხა კი გამიზნულია „თავისუფალი საგანმანათლებლო სივრცის“ მოწყობისთვის, რომელსაც წარმატებით გამოიყენებენ სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეები დაფინანსების მისაღებად აპირებენ პროექტის წარდგენას ადგილობრივ თვითმმართველობისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული სხვადასხვა საჭირო რესურსი, კერძოდ, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). მათი არჩევა/შერჩევა ხდება კათედრის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც ადმინისტრაცია კათედრის წევრებს შესარჩევი სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებსა და შერჩევის ვადების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის, კათედრის სხდომაზე წევრების მიერ განიხილება გრიფირებული სახელმძღვანელოები და სხდომის მიმდინარეობა აღიწერება კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ოქმში. კათედრის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო რესურსებს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგნობრივი კათედრის სხდომაზე, გარდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა, შეირჩევა კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო რესურსები და თვალსაჩინოებებიც. სასწავლო რესურსების შეძენის საჭიროების შემთხვევაში, საგნობრივი კათედრის თავმჯდომარის მიმართვას და მოთხოვნილი რესურსების მიზნობრიობას განიხილავს სკოლის დირექცია და ითვალისწინებს მას შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავებისას.

ცალკე აღსანიშანავია საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისი მატერიალური რესურსი. სკოლის მეორე კორპუსში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, სულ 8 სივრცე. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით (მათ შორის საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული) სარგებლობის წესები. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები განთავსებულია ცალკე სართულებზე, აქვთ ადაპტირებული მისადგომი (ლიფტი). სკოლაში ფიზიკის სამი კაბინეტია, მათგან ერთი შედარებით მცირე მოცულობისაა და საცავის ფუქცია აქვს, სადაც მასწავლებლები ინახავენ პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებს, მოდელებს, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ და თავმოყრილ მასალებს. ანალოგიურადაა ორგანიზებული ქიმიის სამი კაბინეტი, სადაც ცალკე საცავში ინახება ქიმიური რეაგენტები, ჭურჭელი, ცეცხლმაქრი ბალონი, ქვიშის ყუთი და ხაძარსაწინააღმდეგო ნაჭერი, რკინის სეიფში შენახულია აგრესიული მჟავები, საცავში მოწყობილია სველი წერტილი და ჭურჭლის საშრობი კედელი, ორგანიზებულია ექსპერიმენტისათვის საჭირო ეკიპირება, ხელთათმანები, სათვალე, თეთრი ხალათები, მუშაობს ამწოვი კარადა. ქიმიის საცავში საკმარისი რაოდენობით არის ჭურჭელი და რეაგენტები, რაც იძლევა საშუალებას, დაიგეგმოს და ჩატარდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცდები. ყველა რეაგენტი მოთავსებულია კარადებში ან სპეციალურ ყუთებში. ქიმიის კაბინეტებში გამოფენილია დამხმარე მასალა თვალსაჩინოებების სახით, მოწესრიგებულია სადემონსტრაციო მაგიდები. გამოკრულია ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები. ცალკე საკლასო ოთახებადაა ორგანიზებული ბიოლოგიის კაბინეტები, მათგან ერთი მოწყობილია სველი წერტილით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კაბინეტებში დაცულია მოდელები, ხელსაწყოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორისაა როგორც აინშტაინის ლაბორატორიის ფარგლებში არსებული ერთეულები, ასევე წინა წლების მანძილზე შეგროვებული მასალები. ბიოლოგიის კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ზოგიერთი გამორჩეული ნამუშევარი. თითოეული საგნის კაბინეტები სართულზე ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული, ყველა იკეტება, დასვენებაზე მოსწავლეები ემზადებიან გაკვეთილისთვის. კაბინეტები აღჭურვილია ტექნიკით, უკაბელო ინტერნეტით, კაბინეტები იძლევა სივრცის ორგანიზების საშუალებას წყვილური ან ჯგუფური მუშაობისათვის. კაბინეტებში ტარდება მხოლოდ შესაბამისი საგნის გაკვეთილები, საცავებთან წვდომა აქვთ მხოლოდ მასწავლებლებს. რესურსებზე წვდომა აქვს ქიმიის ფიზიკი,ს ბიოლოგიის , ბუნებისმეტყველების 5-6 კლასის მასწავლებლებს, რესურსების გაზიარებას პედაგოგები შეთანხმების საფუძველზე ახდენენ. ფიზიკის კაბინეტში არსებობს მხოლოდ აინშტაინის ლაბორატორის ერთეულების ამსახველი კატალოგი. ყველა საცავში და კაბინეტებში არსებული მასალა საჭიროებს აღწერას, თითოეულ კარადაში განთავსებული მასალის ჩამონათვალის განთავსებას შესაბამისად და ყოველწლიურ ინვენტარიზაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *შენობა-ნაგებობის სქემა;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *ციფრული განვითარების გეგმა;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ; ბრძანება N2-446;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ლაბორატორიის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-448*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების უნიკალურ ინფრასტრუქტურას. კაბინეტების 80 % აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში 43 საკლასო ოთახში დამონტაჟებულია პროექტორი, 13 საკლასო ოთახში - ტელევიზორი, 2 პროექტორი მოძრავია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს აქვთ პერსონალური კომპიუტერები. 35 ცალი პორტაბელური სატარებელი კომპიუტერი (ლეპტოპი) მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცათ მასწავლებლებს (კლასის ხელმძღვანელებს), რომელსაც იყენებენ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ან ონლაინ გაკვეთილების ჩასატარებლად. ლეპტოპები ინახება სამასწავლებლოში განთავსებულ კარადაში, საიდანაც გაკვეთილების მსვლელობისას, საკლასო ოთახებში, გააქვთ დამრიგებლებს და გაკვეთილების დასრულების შემდეგ თავადვე აბრუნებენ უკან. პრინტერი განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც მასწავლებლებისთვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეებში, ასევე, ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში, რესურს ოთახში, დირექციაში. მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ამ ტექნიკით და საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო დამატებითი მასალები ამობეჭდონ ან გაამრავლონ. სკოლის მართვასთან დაკავშირებული მთელი რიგი პროცესები ელექტრონულად მიმდინარეობს. სკოლა ჩართულია ინტერნეტის ქსელში, მთელ შენობაში არის wifi-ს სისტემა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალება აქვთ სწავლის პროცესში ისარგებლონ კომპიუტერებით, მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია, მასწავლებლები აწარმოებენ მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალს გაკვეთილზე. ინტერნეტის სიჩქარე მერყეობს 30-36 Mbps ფარგლებში. ამ ეტაპზე სკოლა იყენებს სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ მართვის საინფორმაციო სისტემებს: eflow, eschool, ელექტრონულ ჟურნალს, aSc timetables (საგაკვეთილო ცხრილის პროგრამა), One Drive-საზიარო ფაილებისთვის, forms -გამოკითხვისთვის. Teams გამოიყენება კომუნიკაციისთვის, ასევე, ინდივიდუალური დავალებების, სამუშაო ფაილების გაზიარების მიზნით და ონლაინ შეხვედრებისთვის. სკოლას ყავს IT მენეჯერი, რომელიც სკოლაში მოდის გამოძახებით, წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. დირექციის თქმით, სკოლის მისიიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ტექნოლოგიური მიმართულებით განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში არსებული IT ტექნიკა გამოყენებულია სამი მიმართულებით: 1. სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის; 2. სამუშაო სივრცე მოსწავლეებისთვის; 3. მასწავლებლების მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლის 2 კომპიუტერული კლასიდან ერთ კლასში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას და გაკვეთილების დასრულების შემდეგაც იმუშაონ. საჭიროების შემთხვევაში, დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით, შეუძლიათ ისარგებლონ დასვენების დღეებშიც. სკოლის სივრცეში ყველგან არის შესაძლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერნეტზე წვდომა. მასწავლებლებლებმა სამუშაოდ შეუძლიათ გამოიყენონ სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საგნობრივი ლაბორატორიები, გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახები. მათ შეუძლიათ მუშაობა მათთვის სასურველ სივრცეში. სკოლის ბიბლიოთეკა სმარტ ტელევიზორითაა აღჭურვილი, სადაც მოსწავლეებს ძალიან უყვართ მუშაობა. ბიბლიოთეკაში არსებულ ტექნიკაზე პასუხისმგებელია სკოლის ბიბლიოთეკარი. მასწავლებლებს აქვთ სკოლაში არსებულ ტექნიკასა და ინტერნეტზე მუდმივი წვდომა. მათ ჩაუტარდათ მიზნობრივი ტრენინგები და მასწავლებლები თავადაც ქმნიან ელექტრონულ რესურსებს, რომელიც გამოყენებულია საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. ინტევიუს დროს ითქვა, რომ სკოლა ხშირად იღებს შეტყობინებას უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა ორგანიზაციისგან ტექნოლოგიების მიმართულებით დაგეგმილი ტრენინგების შესახებ. ეს ინფორმაცია უზიარდებათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და სურვილის შემთხვევაში ერთვებიან ტრენინგებსა და კონკურსებში. მოსწავლეები თანამშრომლობენ ილიაუნის ფაბლაბთან და ტექნოპარკთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სკოლაში შექმნილია რობოტიკის კლუბი. ასევე, მოსწავლეები ჩართული არიან ალტე უნივერსიტეტის პროექტში „სამედიცინო ტექნოლოგიები სკოლებში“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ციფრული განვითარების გეგმა;*
- *რობოტიკის კლუბის დებულება;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ; ბრძანება N2-446;*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, ახორციელებს ოფიციალურ მიმოწერას. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, სკოლის დირექციასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წარმოებს მათი რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow") სისტემის მეშვეობით და მატერიალური ფორმით. კანცელარიაში შემოსული ოფიციალური კორესპონდენცია მიიღება, სკანერდება და აღირიცხება უფლებამოსილი პირის მიერ. კანცელარიაში შემოსული მოქალაქეთა წერილები ან რომელიმე ორგანიზაციიდან თანმხლები წერილით გამოგზავნილი მოქალაქის წერილი, განხილვის შედეგების შესახებ გამოგზავნილი პასუხები, დასკანერების შემდეგ რეგისტრირდება /eflow.emis.ge/ ელექტრონულ ბაზაში. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით, იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციაც.

2. სკოლა როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, ასევე შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციისთვის იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow-ს, eschool – ს. ოფიციალურ მიმოწერას ახორციელებს Outlook-ის ელექტრონული ფოსტის ანგარიშით (Tbilisi175.mes.gov.ge), ხოლო სასკოლო საზოგადოებისა და თემის გამოკითხვის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი პლათფორმაზე onlineschool.emis.ge. მასში აისახება მოსწავლეთა დასწრება, აკადემიური მოსწრება და სხვა. რეგისტრაციის გავლის შემდეგ ჟურნალში პირად მონაცემებზე წვდომა აქვთ მოსწავლეებს და მათ მშობლებს. სკოლა კომუნიკაციისა და ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისათვის აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლათფორმებს, რადგან იგი არის ყველაზე სწაფი და ეფექტური კომუნიკაციის საშუალება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

3. საქმიანობის ფარგლებში სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი პლატფორმით (Eschool), სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საკუთარი პროფილი, სადაც განთავსებულია სკოლის საათობრივი ბადის შესაბამისი გაკვეთილების განრიგი, ინფორმაცია მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ. სისტემაში ასახულია პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების პირადი მონაცემები, კერძოდ, მათი პირადი ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების განახლება ხდება პერიოდულად. სკოლის თანამშრომლებს მათთვის საინფორმაციო სისტემაში გააქტიურებიული აქვთ საკუთარი პროფილი, რომელშიც აწარმოებენ საკუთარი პროფესიული განვითარების პორტფოლიოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების მიხედვით. სკოლა აქტიურად მოიხმარს ემისის მიერ შემოთავაზებულ ელექტრონულ ჟურნალს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების მიმართულებით სკოლა საქმიანობას წარმართავს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა დაცვასაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაცია ხდება eflow-ს და სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საქმისწარმოების წესი;*
- *eflow,*
- *eschool,*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს მრავალფეროვან საშუალებებს. სკოლას სოციალურ ქსელში აქვს გვერდი (სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა | Tbilisi | Facebook), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის სოციალურ გვერდზე პერიოდულად/უწყვეტ რეჟიმში განთავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით - მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული აქტივობების, პროექტების, ღონისძიებების, ამსახველი ფოტომასალა და სხვ. საჯარო დოკუმენტების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლის ფოიეში ასევე განთავსებულია საინფორმაციო დაფა. სკოლას სასკოლო საზოოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქვს მრავალარხოვანი საკომუნიკაციო სივრცე, კერძოდ: მშობელთა კრება; Teams-ის პლატფორმი; ელექტრონული ჟურნალები; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი; სოციალური ქსელი; Eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სასტემა. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული ვებ-გვერდი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ახდენს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებით. ვიზიტისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოუს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიპებიდან. ასევე, პარტნიორი ორგანიზაციებიდან და უნივერსიტეტებიდან შემოსული ინფორმაციების ნამდვილობის გადამოწმების შემდეგ ხდება მისი გავრცელება სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლისთვის თემთან სწორი კომუნიკაცია წარმოადგენს პრიორიტეტს, შესაბამისად სკოლა დაინტერესებულია ისეთი ტიპის უკუკავშირით რომელიც ამარტივებს და ეფექტურს ხდის კომუნიკაციას სკოლასა და თემს შორის. სკოლის ადმინისტრაციამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნა, რომ სასკოლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივი აზრის შესატყობად იყენებენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს, მაგალითად, სკოლის მეილი, სატელეფონო შეტყობინება, სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციას. კომუნიკაციის ფორმების დასახვეწად და საზოგადოების აზრის მოსასმენად სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითმმართლობის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან, სკოლის მიერ მოსწავლეებისა და მშობლებისათვის შეთავაზებული თვითშეფასების კითხვარიდან და ა.შ. სკოლა ახდენს მიღებული ინფორმაციის შეგროვება/გადამუშავებას და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული ვებ-გვერდი, მასზე ქართულადაა განთავსებული ინფორმაცია. სკოლა გეგმავს, მასზე ინფორმაციის ეტაპობრივად სრულყოფას.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაზე განთავსებული სკოლის ვებ-გვერდზე ამ ეტაპზე გააქტიურებულია შემდეგი ველები: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები; საკონტაქტო ინფორმაცია.

   ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის Facebook გვერდი - *https://www.facebook.com/SchoolNo175*
- სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტა - Tbilisi175@mes.gov.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ვებგვერდი: სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართები) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარი ფინანსური რესურსი დადგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის სამეურვეო საბჭო და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის ბიუჯეტში, შემოსავლების გათვალისწინებით, აისახება სასკოლო საზოგადოების წინადადებები. სკოლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო კორექტირებას ახდენს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტი დგება ერთწლიანი პერიოდისათვის. ახალი ბიუჯეტის პროექტი წლის კალენდარული წლის ბოლომდე დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლა თავისი ფინანსური რესურსს იყენებს სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის და ფინანსური რისკების თავიდან ასაცილებლად. სკოლის ბიუჯეტის დაახლოებით 80% მიემართება მასწავლებელთა და პერსონალის ხელფასებზე, დარჩენილი ნაწილი კი მიმართულია კომუნალური ხარჯების, ჰიგიენური საშუალებების, ტექნიკური, სასწავლო რესურსების, სასკოლო პროექტების და ა.შ. დაფინანსებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება მართოს ფინანსური რესურსი და გამოიყენოს იგი მიზანმიმართულად. სკოლის, მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სკოლის საჭიროებები, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ახალი ბიუჯეტის განსაზღვრა. სკოლა ითვალისწინებს წინა წლის ბიუჯეტის ანალიზს, რომელიც კარგად აჩვენებს ხარჯვის რა ნაწილში იყო მეტობა/ნაკლებობა და ბიუჯეტის რომელი ნაწილის დაკორექტირებაა საჭირო. ასევე, სკოლა ითვალისწინებს კათედრებიდან მიღებულ ინფორმაციას, რა ტიპის რესურსების საჭიროება დგას, რომელიც სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა იქნას გათვალისწინებული. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, რომელშიც გარდა სკოლის შიდა საჭიროებების გათვალისწინებისა გვეხმარება ბაზრის კვლევა. დადგენილი წესის მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს მომავალი კალენდარული წლის ბიუჯეტს დასამტკიცებლად; ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დადგენილი წესით განკარგოს საბიუჯეტო სახსრები, რაზეც მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის წარდგინებით სკოლის სამეურვე საბჭოს ცვლილებები შეაქვს ბიუჯეტში. კალენდარული წლის ბოლოს, 10 დეკემბრამდე, სკოლის დირექტორი სამეურვეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბჭოს აბარებს ანგარიშს, როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ისე ფინანსური საქმიანობის შესახებ. წელიწადში ერთხელ სკოლა ატარებს ფინანსურ ინვენტარიზაციას რისთვისაც იქნება სპეციალური კომისია და შედეგების შესახებ დგება სათანადო აქტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიში;*
- *სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ)*
- *10 დეკემბრის ანგარიში;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. მოსწავლე წახალისდება ოლიმპიადაში მიღწეული წარმატების, სხვადასხვა საფეხურის წარმატებით დაძლევის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები. მოსწავლის თვითმმართველობის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ როგორც მათ, ისე სკოლის სხვა მოსწავლეებს აქვთ ღია კომუნიკაცია სკოლის დირექციასთან და მათი უფლებები დაცულია.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახება კანონით განსაზღვრული დოკუმენტები.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები.

მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები ასევე დარეგულირებულიაა სასკოლო სასწავლო გეგმით. ასევე რეგულირდება სემესტრული გამოცდის მოთხოვნის უფლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბრძანებით არის დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი.
სკოლაში არის ექიმი და ფსიქოლოგი, რომლებიც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეებზე.
აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შინაგანაწესი ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეც. ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.
აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ ინფორმაცია, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. აღნიშნული გადავამოწმეთ უშუალოდ ვიზიტის დროს შემთხვევით შერჩეული ხელშეკრულებების გაცნობით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ბრძანება „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“
- სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- სსიპ ქალაქ თბილისის N175საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ);
- სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის სადამრიგებლო საათის პროგრამა

4.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა სსიპ ქალაქ თბილისის N 175 საჯარო სკოლაში სრულად ხორციელდება ქვეყანაში არსებული მოქმედი ზოგადი რეგულაციით, რომელიც დადგენილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ბრძანება 04/ნ განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს, ეროვნული სასწავლო გეგმა (მუხლი 35) განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს, ხოლო ბრძანება 72/ნ არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლის ჩარიცხვას უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

არსებული კანონმდებლობის შესაბისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები და სხვადასხვა ტიპის გამოცდების ჩატარების პროცედურები.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის, მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლა ამზადებს დასკვნას თავსებადობის შესახებ და აწვდის მშობელს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე.

სკოლაში პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამი ეტაპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში ვიზიტისას შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ბაზა, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს კლუბები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, შეხვედრებს და სხვადასხვა აქტივობებს, არაფორმალური განათლების მიმართულებით. ინფორმაცია სკოლაში არსებული კლუბების შესახებ განთავსებულია სკოლის ფოიეში, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის თვალსაჩინო ადგილას. ასევე ინფორმაცია ვრცელდება სკოლის ფეისბუქ გვერდით.

არსებობს კლუბებში გაწევრებიანების მსურველი მოსწავლეების და მათი მშობლების განცხადების ფორმა, რომელსაც სურვილის შემთხვევაში ავსებენ მოსწავლეები და მათი მშობლები. ფორმა ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მშობლისთვის.
სკოლა მის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის გაცნობას ასევე უზრუნველყოფს მშობლებთან და მოსწავლეეთან შეხვედრების გზით.
ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, პირველკლასელთა მშობლებისთვის სკოლა აწყობს ღია კარის დღეს, სადაც სკოლის წარმოადგენლები მშობლებს დეტალურად აცნობენ სკოლის მიერ განსაზღვრულ საგანმანათლებლო მომსახურებას. მაგალითად, სკოლის წარმომადგენლები მე-4 კლასის მოსწავლეთა მშობლებს შეხვედრაზე აცნობენ ინფორმაციას მე-2 უცხოური ენის არჩევის უფლებასა და მისი სწავლების სპეციფიკისთან დაკავშირებთ.
საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სკოლა შეხვედრებზე აცნობს სკოლის მიერ შეთავაზებულ არჩევითი საგნების არსს, სასწავლო პროგრამებსა და საგნის სწავლების სპეციფიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია ასაკის შესაბამისი აქტივობები, რომელთა დაკავშირებითაც სწავლის დასაწყისში ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა დაინტერესებულ მხარეებს საკუთარი პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციას აწვდის. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული გადამოწმდა უშუალოდ ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
    - მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები
    - სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები
    - კლუბების მუშაობის დებულება და მუშაობის ანგარიში
    - ფოტომასალა
    - ბრძანება „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლას 2023 წლის 21 სექტემბრის N2-477 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელების, სსსმ მოსწავლეების, საბაზო/საშუალო კლასების მოსწავლეების, მობილობით გადმოსული სასკოლო გარემოსთან ადაპტირებისთვის გამოყენებული მიდგომები. აღსანიშნავია რომ ადაპტაციაზე მუშაობენ როგორც კლასის დამრიგებლები, ისე სკოლის ფსიქოლოგი და სპეციალური მასწავლებლები.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. ახალი მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა სწრაფად ადაპტირებას და აკეთებს შესაძლო სირთულეების პრევენციას.
ამ მხრივ აღსანიშნავია პირველი კლასის მოსწავლეთა მიღების დღე, რომელიც სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლაში უკვე დამკვიდრებული ტრადიცია და როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, ძალიან ამართლებს. პირველკლასელებისთვის მიღება ხორცელდება სასწავლო წლის დაწყების წინა დღეს.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.უშაულოდ ვიტიტის დროს, სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს.
ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ და რემედიაციულ აქტივობებს. სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის ფარგლებშიც დაწყებით კლასებში კითხვის პრობლემების დასაძლევად გამოყენებული იყო რემედიაციული აქტივობები. სკოლა რემედიაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართულებით კვლევას მიმდინარე წელსაც ატარებს დაწყებით და საბაზოს საფეხურებზე. სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებების გამოყენების გამოცდილებაც. სკოლა ჩართულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროგრამაში „შეფასება განვითარებისთვის", რომელიც მე-4 და მე-6 კლასების მოსწავლეებისთვის ტარდება ქართულ ენასა და ლიტერატურასა და მათემატიკაში.

თუმცა, პროცესის მეტად ორგანიზებულად წარმართვისა და მდგრადობისთვის კარგი იქნება სკოლას ცალკე ჰქონდეს შემუშავებული ან რომელიმე შესაბამის დოკუმენტში გაწერილი თუ როგორ ახორციელებს მოსწავლეთა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.

თუ მოსწავლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ერთ თვეზე მეტი ხანგრძლიობით ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს, რაც დასტურდება ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით, სკოლა სთვაზობს მას შინ სწავლების მომსახურეობას, რაც დასტურდება სათანადო ბრძანებით.

სკოლაში კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი, რომლის დროსაც ამ მოსწავლეებთან მიმდინარეობს დამატებითი მუშაობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლაში მოსწავლეებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სხვადასხვა კლუბურ აქტივობებში. გაწერილია კლუბის დებულებები.

სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის წევრებთან გასაუბრებით ნათელია, რომ მოსწავლეებს ღია კომუნიკაცია აქვთ სკოლის დირექციასთან, რომლის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, მაგალითად, სპორტული აქტივობები, შემეცნებითი ვიქტორინები და სხვ. როგორც თვითმმართველობის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, მოსწავლეთა ინიციატივები წახალისებულია, მაგალითად, მოსწავლეებმა გაიხსენეთ მათი ინიციატივით ჩატარებული სპორტული აქტივობები და შემეცნებითი ვიქტორინები.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ილია სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კავკასიის უნივერსიტეტთან, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან. მომორანდუმების ფარგლებში მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციაში, კონკურსში და სხვ. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაბ-ლაბთან თანამშრომლობით ეწყობა შეხვედრები, მოსწავლეების ჩართულები არიან ექსპერიმენტებში.

აღსანიშნავია, რომ სკოლა გაცხადებული მისიის შესაბამისად აქტიურად ახორციელებს აქტივობებს სამეწარმეო განათლების მიმართულებით. მაგალითად, მიმდინარე წელს #175 საჯარო სკოლა გახდა კონკურსის გამარჯვებული 135 სკოლას შორის და მოსწავლეთა კომპანია სრული დაფინანსებით მიემგზავრებიან თურქეთში ევროპის შესარჩევ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთა კმაყოფილების შესაფასებელი ინსტრუმენტები, რომლებიც ჩატარებული აქვს საჭიროებების დასადგენად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მშობლის კითხვარი მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა კომპონენტს. კითხვები იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მშობელს ეძლევა საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. მისი ადმინისტრირება ხდება google forms - ის გამოყენებით, რომელიც იძლევა კონფიდენციალობის დაცვის საშუალებას. ასევე იგი კარგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალება რესპოდენტთა მოსაზრებების ერთიანი სურათის დანახვის. სკოლამ ასევე წარმოადგინა კვლევის გაანალიზებული შედეგები.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სკოლამ ჩამოყალიბა მშობელთა კლუბი. თვითმმართველობასთან საუბარში გამოჩნდა, რომ თვითმმართველობამ ასევე ჩაატარა მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიურება მასწავლებლებთან, დირექციასთან, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობელთა გამოკითხვის ინსტრუმენტი და

შედეგების ანალიზი;

- სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელთა

შორის გაფორმებული მემორანდუმები.

- ფოტომასალა

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, რომლებიც აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან და სთავაზობენ სხვადასხვა სერვისს, თუ რატომ უნდა გააგრძელონ მათ უნივერსიტეტში სწავლა და რა მიმართულებით ექნებათ პრიორიტეტები. 2022 წლის შემოდგომაზე სკოლაში კვლევა განახორციელეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატანტებმა. კვლევის თემა იყო სკოლის როლი მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაში. სკოლა ასევე თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან, მაგალითად, სკოლის მოსწავლეებისთვის დაიგეგმა ვიზიტი გლდანის პროფესიულ ცენტრი.

პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საბაზო-საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მიმართულება.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში მუშაობს მეწარმეობის კლუბი, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით საშუალება აქვთ პრაქტიკაში გამოსცადონ საკუთარი უნარები, რაც მათ ეხმარება პროფესიულ ორიენტაციაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, ასევე ხორციელდება შეხვედრები პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავისი სერვისების შესახებ ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებს და ასევე მშობლებს სკოლა აწვდის ინფორმაციას სერვისებისა და საიტების შესახებ, საიდანაც შეიძლება მიიღონ ინფორმაცია კარიერული განვითარების არსებულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლის თვითმმართველობის წევრ მოსწავლეებთან უშუალოდ ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგონ შესაძლებლობების ფარგლებში. სკოლამ ამის მაგალითად დაასახელა რობოტიკის კლუბის შენარჩუნება წლების განამვლობაში - როგორც პროცესზე დაკვირვების და მიღებული უკუკავშირით დადასტურდა სკოლაში რობოტიკის კლუბი იყო მოთხოვნადი, ამიტომ სკოლამ გააგრძელა მასწავლებელთან თანამშრომლობა და კლუბის ფუნქციონირება.

გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მეხუთე კლასელი მოსწავლეებისთვის მეორე უცხოური ენის შეთავაზებისასაც ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუირება მასწავლებლების, დირექციასთან
- რობოტიკის კლუბის ანგარიში
- გაფორმებული მემორანდუმები
- ფოტომასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.3 სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს გაწერილი: რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება და სხვ. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი (ისგ ჯგუფის ფუნქციები; მონიტორინგის პროცესი.).

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და შეიმუშავებს დასკვნას.

სკოლა იაზრებს საკუთარ როლს თითოეული მოსწავლის ადაპტირებასა და სწავლის ხელშეწყობაში. სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის სხვადასხვა დღის აღნიშვნა, შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჯგუფის შექმნის და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანებები. ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სკოლის მიერ შექმნილ ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში არის სსსმ მოსწავლისთვის სტატუსის მოხსნის გამოცდილებაც, რაც სკოლის წარმოადგენლების აზრით სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით იქნა მიღწეული.
სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინკლუზიური განათლება სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სპეციალურმა მასწავლებლებმა დეტალურად გაგვიზიარეს თავიანთი მუშაობის პრიორიტეტები და პრინციპები. მათი მონათხრობიდან გმაოიკვეთა, რომ სპეციალური მასწავლებლები სკოლაში ინკლუზიური გარემოს გუამჯობესებას ხელს უწყობენ არა მარტო სსსმ მოსწავლეებთან მუშაობით, არამედ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომამდგენელთან თანამშრომლობით. მაგალითად, იმართება საპრეზენტაციო და სამუშაო შეხვედრები მშობლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ სამიზნე ჯგუფების ცნოიერების ამაღლება და მეორე მხრივ, კონკრეტული პრობლემების პრევენცია/გამოწვევების საპასუხოდ ინტერვერციების ერთობლივი დაგეგმვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შიდა მონიტორინგის მექანიზმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- რესურს ოთახი შესაბამისი რესურსებით
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულება
- ტრანზიციის გეგმა
- სპეციალურ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სკოლაში არ ფუნქციონირებს გახანგძლივებული წრე მოსწავლეებისათვის, თუმცა სკოლას აქვს იჯარით გაცემული ფართები, რომლისგანაც #175 სკოლის მოსწავლეები იღებენ მომსახურებას. მაგალითად, სკოლაში არის ქართული ცეკვების წრე, რომლითაც ძირითადად აღნიშნული სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ.

სკოლა ნაწილობრივ ჩართულია "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში". მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდება მარშრუტით: მუხიანის ნაკვეთების 3 მიმართულებაზე. მოსწავლეთა ტრანსპორტირების მონიტორინგის განხორციელების მიზნით სკოლას დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართებლივი აქტით გამოყოფილი ჰყავს პირი.

სკოლას არ აქვს კვების სერვისი და საერთო საცხოვრებლით მომსახურება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, რომელითაც მოსწავლეები ნებაყოფლობით სარგებლობენ და ემსახურება მათ განვითარებას.

სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა კლუბების სახით ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კლუბებში. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, მაგალითად, ახალგარდა მკვლევართა კლუბი, „სამართლის ახალგაზრდული კლუბი“, ,,მეწარმეობის კლუბი“, ,,სამოქალაქო განათლების კლუბი EL PICO“, სპორტული კლუბი, მკითხველთა კლუბი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექმეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრმა EPAM Georgia–ს მხარდაჭერით რობოტიქსის კლუბებში გასაწევრიანებლად 2022 წელს რეგისტრაცია გამოაცხადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობისთვის შეირჩა 10 სკოლა, მათ შორის, 175–ე საჯარო სკოლა. მას შემდეგ სკოლაში ფუნქციონირებს რობოტიქსის კლუბი.

გამოთხოვილი დოკუმენტებით, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კლუბები სკოლის შიგნით ახორციელებს ბევრ აქტივობას, ასევე მონაწილეობს სკოლის გარეთ გამართულ ღონისძიებებში. კლუბებს შემუშავებული აქვთ სამუშაო გეგმა, განხორციელებული საქმიანობების რეფლექსიები, რომლებიდანაც იკვეთება, რომ კლუბი აქტიურად მუშაობს, მაგალითად, დაგეგმილი აქვთ ისეთი საქმიანობები, როგორიცაა, ილიაუნის პიკნიკისთვის მზადება, დაწყებით კლასებში საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტების ჩატარება, ვიზიტი საწარმო ,,კოკა-კოლაში'', დედამიწის დღის აღნიშვნა დასკვნითი ღონისძიება- ქიმიკოსის დღის აღნიშვნა.

სკოლა ასევე ჩართულია არაერთ პროექტში, მაგალითად, USAID-ის სამოქალაქო განათლების 2022-2027წწ პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH Iternational- ი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და USAID-ის დაფინანსებით. პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს აქტიურად ესწრებიან და მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა არ აწარმოებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საჭიროებს განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვებას. მომსახურება ხორციელდება სკოლაში ზოგადად არსებული უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვა-განხორციელება მიმდინარეობს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის N719 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები): *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუს შედეგები
- კლუბების დებულებები
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფართის იჯარის გაცემაზე
- ფართის იჯარით გაცემის დოკუმენტაცია
- სასკოლო ექსკურსიების მიმართვის ფორმა და სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სასკოლო ექსკურსიის განხორციელებაზე
- სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ტრანსპორტის მომსახურებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი პირის დანიშვნის შესახებ.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

1. სკოლამ წარმოადგინა ‘’სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია’’ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც განსაზღვრავს, რას და როგორ ითვალისწინებს სკოლა სასწავლო წლის დაგეგმვისას. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, განვითარების პრინციპებსა და მონაწილე მხარეებს თავიანთი ფუნქციებით. დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის შემუშავების ნაწილში ყურადღებას ამახვილებს როგორც კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე, ასევე კურიკულუმის დიზაინზე. ორივე ასპექტის დამუშავების მექანიზმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გააზრებას სკოლის ფილოსოფიის ჭრილში. დოკუმენტი ასახავს სასკოლო კურიკულუმის დიზაინის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მშობლის, კათედრის, დირექციის ჩართულობას, მათი შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობის გადანაწილება. კურიკულუმის დანერგვა ითვალისწინებს დანერგვის პროცესის მონიტორინგსაც და ეფუძნება კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. სასწავლო სასკოლო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია სრულად აგებულია სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე და მოიცავს წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას, ინფორმაციის მოკრებას, კვლევების, გამოკითხვების, ონლაინ სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, შეხვედრები ხშირად მიმდინარეობს პარალელური კლასების მასწავლებლებს შორის, სადაც ერთობლივად გეგმავენ თემებს, განიხილავენ და ანალიზებენ პრობლემებს, შეაქვთ ცვლილებები მომავალი წლისთვის კურიკულუმის განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ, როგორ მსჯელობენ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესზე, გეგმავენ ცვლილებებს, იზიარებენ სიახლეებს. პედაგოგები აცხადებენ, რომ ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ქოუჩინგის პროცესში და იღებდნენ უკუკავშირს, რაც დაეხმარათ ერონული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასწავლო წლის დაგეგმვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმში ასახულია სკოლის მისია, აღზარდოს ძლიერი ფინანსური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი თაობა, რომელიც ფორმირდება მომავალ მეწარმეებად და ციფრულ მოქალაქეებად მზრუნველ და დემოკრატიულ გარემოში. სკოლის ხედვა უკავშირდება 7-10 წლის შემდეგ ტექნოლოგიური, ფინანსური და სამეწარმეო უნარებით აღჭურვილი ინოვატორების გამოჩენას ასპარეზზე. სკოლის ღირებულებები დამყარებულია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილე მხარეების - მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების დახმარებით დაამკვიდროს ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სამოქალაქო ჩართულობა, სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, ხელი შეუწყოს ისტორიული და ულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სხვა. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. სასკოლო ღონისძიებათა შორისაა პროექტები, საკლუბო აქტივობები და სხვა, რომლებშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები თუ მშობლები. სკოლა მესამე წელია, ჩართულია ახალი სკოლის მოდელის პროექტში, ნერგავს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს. სადამრიგებლო პროგრამები ასახავს მოსწავლეებისათვის აქტუალურ თემებს. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა, მათ შორისაა დილემებით სწავლების გამოცდილებაც. სკოლა 2023-24 სასწავლო წლისათვის გეგმავს სხვადასხვა საგანში ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები, მისი ჩატარების ორგანიზება, მეთოდიკა და შეფასება კათედრების შორის შეთანხმების საფუძველზე იგეგმება. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, დაიგეგმება ინტერვენციები და რემედიაციული ღონისძიებები. დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სკოლის ხედვით განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია და არ მოახდენს გავლენას განმსაზღვრელ შეფასებებზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესებს ასახავს სასკოლო პროექტებიც. წინა წელს სკოლამ განახორციელა სამივე საფეხურის სკოლის მოსწავლეების ჩართულობით სასკოლო პროექტი ‘’გარემოს დაცვა’’, რომლის მიზანი იყო, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის კუთხით. ასევე განხორციელდა სასკოლო პროექტი ‘’ფინანსური წიგნიერება’’, რომლის თემატიკაც შერჩეული იქნა გამოკითხვის საფუძველზე. 2023-24 წლისთვის სკოლა გეგმავს განახორციელოს ახალი სასკოლო პროექტი კონფლიქტების მართვის მიმართულებით. როგორც ინტერვიუდან დასტურდება, სასკოლო პროექტების თემატიკა იცვლება, თუმცა პროექტის მდგრადობის თვალსაზრისით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო საზოგადოება კვლავ აგრძელებს წარმატებით განხორციელებული აქტივობების შესრულებას, ასევე მიღებული გამოცდილების გამოყენებას ახალი პროექტის ფარგლებში შესაძლო სირთულეების პრევენციის თვალსაზრისით.

სკოლაში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სსსმ მოსწაწავლეებისადმი დამოკიდებულება. დირექტორის ბრძანებით, სკოლა სსსმ მოსწავლეებისათვის ამტკიცებს ერთწლიან ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს. სასწავლო წლის დასაწყისში ინკლუზიური განათლების სპეციალისტები დირექტორთან და კლასის დამრიგებლებთან ერთად იკრიბებიან და განიხილავენ წლის მანძილზე განსახორციელებელ აქტივობებს და მიმდინარე პროცესებს. დგინდება სკოლაში სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა; საჭიროა თუ არა დამატებითი სპეციალისტები; მტკიცდება ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ; მტკიცდება ისგ ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება; ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა/მასწავლებლების კონსულტირება; ზუსტდება ინტერვენციის გეგმები და ინდივიდუალური დასწრების გრაფიკები, რესურს ოთახის განრიგი - ინდივიდუალური/ჯგუფური გაკვეთილების ჩასატარებლად; დგინდება მშობელთან ინფორმაციის გაცვლის გრაფიკი; იგეგმება სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებები და ჯგუფური მუშაობები რესურს ოთახში, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან ერთად, რესურს ოთახის მულტიფუნქციურობის გასაცნობად; საჭიროების შემთხვევაში ახდენენ გაკვეთილებზე დასწრებას, სწავლა-სწავლების სტრატეგიების დაგეგმვისა და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების გაცემის მიზნით; ახდენენ სემესტრულ და წლიურ მონიტორინგს და სხვ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების აქტიური თანამშრომლობით და პარალელური კლასებში განხორციელებული შუალედური მიზნების მიღწევის ანალიზის საფუძველზე ხდება გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში, ცვლილებების შეტანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა მაღალი არ არის, თუმცა, სკოლას გააზრებული აქვს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა კურიკულუმების შემუშავებაში და ეძებს მიდგომებს მშობელთა ჩართულობის გასააქტიურებლად. მაგალითად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ კლასში ტარდება მშობელთა კრებები, რომლის დროსაც მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფორმით და მეთოდებით წარიმართება საწავლო პროცესი მიმდინარე სასწავლო წელს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლების მიერ მზადდება მშობლის ბარათები, რომელზეც დატანილია ინფორმაცია დაგეგმილი კომპლექსური დავალების შესახებ.

კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმი შემუშავებულია მასწავლებლების და დირექტორის მონაწილეობით, რომელსაც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ‘‘ჩათი’’ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი. სკოლა აქტიურად ატარებს გამოკითხვებს Forms-ის საშუალებით, რომლის დროსაც ერთობლივად ხდება პრიორიტეტული თემების შერჩევა. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს ლიდერობის მიმართულებით სასკოლო პროექტისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა თემა ,,ფინანსური წიგნიერება“. პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობდა აქტიური შეხვედრები, რომლის დროსაც მათემატიკის და დაწყებითების კათედრის მასწავლებლები მონაწილეობდნენ სამოქმედო გეგმის შედგენის და განხორციელების პროცესებში. კათედრების შეხედულებები გათვალისწინებულ იქნა შემდეგ სასწავლო წელს სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესშიც. პროექტის მონიტორინგის პროცესში მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ გარკვეულმა აქტივობებმა გამოიწვია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეების მაღალი ჩართულობა და ინტერესი. სწორედ ამიტომ, ეს აქტივობები გადატანილ იქნა შემდეგ სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმაში მდგრადობის მიზნით.

შენობის ღია სივრცეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას, ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში, საკლასო ოთახებში შეხვედრების ორგანიზებით. სკოლის ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს ინფორმაციის მოკრების მიზნით ონლაინ კითხვარებს, იღებს სხვადასხვა ინფორმაციას და უზიარებს კოლეგებს, დაგეგმილია ჩამოყალიბდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების მოყვარულთა კლუბი, აღინიშნოს უსაფრთხო ინტერეტის დღე 8 თებერვალს.

სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ახალი ელექტრონული რესურსების გამოყენება, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ტრენინგებსა თუ სემინარებში, ასევე საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების ორგანიზებ. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობებსაც მაგ: დაწყებითი საფეხურზე წაკითხულის გააზრებისათვის ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლის მიერ გაზიარდა გამოცდილება მე-4 კლასებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ციფრული განვითარების გეგმა
- კათედრების შეხვედრების სხდომის ოქმები
- დანართი 42.სადამრიგებლო პროგრამა
- დანართი 17.დაწყებითი კათედრის წლიური ანგარიში
- დანართი 30. მატრიცა - 1 კომპლექსური დავალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დანართი 70. სასკოლო პროექტი გარემოს დაცვა
- დანართი N61 - სასკოლო პროექტი „ფინანსური წიგნიერება“
- დანართი 64.კვლევა vake მეთოდით
- მშობელთა კითხვარი
- მშობელთა კითხვარის ანალიზი
- დანართი 22. მშობელთა კლუბის დებულება
- სკოლის ფეისბუქ გვერდი

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითად, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში (გერმანული, რუსული, ინგლისური და ფრანგული ენები) წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ტიპის დავალებები: გერმანული ენის საგნობრივ კურიკულუმში პოსტერი თემაზე - „გენეალოგიური ხე“. “წარმოიდგინე, შენმა გერმანულენოვანმა თანატოლმა, რომელთანაც შენ ონლაინ-ნაცნობობა გაკავშირებს, ვიდეოკლიპით „Familie Weigel“ გაგაცნო თავისი ოჯახი და გთხოვს, შენც მოუყვე შენს ოჯახზე შენთვის სასურველ რომელიმე პლატფორმაში. შექმენი პრეზენტაცია“Stammbaum“ („გენეალოგიური ხე“) საკუთარ ოჯახზე შესატყვისი წარწერებით გერმანულ ენაზე”; რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში ილუსტრირებული ტექსტი თემაზე:“ ჩემი საყვარელი წელიწადის დრო“ , “ისაუბრეთ საყვარელ წელიწადის დროზე, დაასახელეთ თვეები, რა ბუნებრივი მოვლენები ხდება წელიწადის ამ დროს, რატომ გიყვართ წელიწადის ეს დრ”. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში ილუსტრირებული აღწერითი ტექსტის შექმნა და პრეზენტაცია თემაზე “One Typical Day”, ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში პრეზენტაცია თემაზე: “ჩემი გაკვეთილების ცხრილი“ (Mon emploi du temps). თუმცა ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. კარგი იქნება კომპლექსური დავალებების დამატება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს სამიზნე უნარების ინტეგრირებულად სწავლების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგები იკვლევენ და აანალიზებენ მოსწავლეების საჭიროებებს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს (როგორიცაა, მაგალითად, გასასვლელი ბილეთები, თვითშეფასების კითხვარი), ზრუნავენ სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობაზე.

კათედრის შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, ახალი სასწავლო წლისთვის ბუნებისმეტყველებაში აირჩიეს ახალი კომპლექსური დავალებები გამოცდილების მიღების მიზნით, 1-3 კლასებში ბუნებისეტყველებაში შერჩეულია თითო კომპლექსური დავალება, მეოთხე კლასში კი ორი. მაგ: მეორე კლასში შერჩეულია კომპლექსური დავალება ''რწყილი და ჭიანჭველა'', რომელიც ნაცნობი პერსონაჟების თვალით დააფიქრებს მოსწავლეებს წყლის ბინადარი ცხოველების საბინადრო გარემოზე. მეოთხე კლასში შერჩეული კონტექსტ-მაგალითი - პეპლის სასიცოხლო ციკლის ვიდეოჩვენება ერთდროულად დააინტერესებს მოსწავლეებს და მიაწვდის ინფორმაციას, შეიქმნან წარმოდგენა პეპლის განვითარებაზე, კომპლექსური დავალებით კი შექმნან ილუსტრირებული მოთხრობა მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, თავად აამოქმედონ ფანტაზია და შემოქმედებითობა, გამოხატონ მიღებული ცოდნა და მიიღონ ემოციური კმაყოფილება.

ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებშიც კომპლექსური დავალებები მასწავლებლების მიერ შერჩეულია მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, ხშირია საგანთა შორის პარალელები და ინტეგრაცია. მაგ, ინტეგრირებული კომპლექსური დავალება მათემატიკაში ,,რწყილი და ჭიანჭველა", სადაც მოსწავლეები თამაშ-თამაშით ასრულებენ შესასრულებელ სამუშაოს. სასწავლო პროცესი დაგეგმილლია ისე, რომ იძლევა ტრანსფერის უნარის განვითარების შესაძლებლობებს. მეოთხე კლასის მოსწავლეებში ჩატარდა კვლევა-,,ღირებულებითი განათლების ხელშეწყობა დაწყებით საფეხურზე", რომლის ფარგლებში სკოლამ გამოიკვლია მოსწავლეთა თანამშრომლობის უნარები. კვლევის ფარგლებში სკოლამ დაგეგმა ინტერვენციები, რომელიც ეფუძნებოდა VaKe მეთოდს, დილემებით სწავლებას. შეიქმნა დილემები, რომელიც აგებული იყო ცხოვრებისეულ მაგალითებზე, სადაც მოსწავლეებს უწვდათ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. პროექტ-,,ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა დაამზადეს სხვადასხვა ნივთები: თიხის სათამაშოები, სამკაულები, თოჯინები. რის შემდეგაც მოეწყო გამოფენა-გაყიდვა. თითოეულმა მოსწავლემ თავად განსაზღვრა საკუთარი ხელით შექმნილი ნივთის ღირებულება და მიიღო სიმბოლური შემოსავალი. პროექტ ,,ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში მე და საზოგადოებაში განხორციელდა სიმულაციური თამაშები, რომლის დროსაც მოსწავლეებმა ისწავლეს სურვილებსა და საჭიროებებს შორის სწორი არჩევანის გაკეთება, და ფინანსური რესურსების დაზოგვის მნიშვნელობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სპორტის კურიკულუმის მაგალითზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, სპორტში ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებმა წარმოადგინეს ამ ეტაპისთვის შევსებული კურიკულუმები, განაცხადეს, რომ კვლავ მუშაობენ კურიკულუმის სრულყოფაზე, თუმცა, უკვე შევსებული თემატური მატრიცები, რომლებშიც ნაბიჯების მიხედვით გაწერილია კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).**

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათი განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მაგალითად, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ . ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წერილი თემაზე: ჩემი პირველი დღე სკოლაში; ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება პრეზენტაცია თემაზე: ჩემი ოცნების სახლი.

სავალდებულო თემების ფარგლებში კურიულუმებში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები/საკითხთა კლასტერები, მუშავდება სამიზნე ცნებები. მაგ; მესამე კლასის სავალდებულო თემაა ჩემი ქვეყნის ბუნება, სადაც მუშავდება ხუთი სამიზნე ცნებება, შერჩეულია კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობს თითქმის ყველა სამიზნე ცნების დაფარვას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ -კოგნიტური უნარების განვითარებას. მაგ: მეოთხე კლასის კურიკულუმში შერჩეულია შუალედური მიზანი - მოგზაურობის დღიურის შექმნა, რომელიც ეფუძნება მოსწავლის დაინტერესებას, რუკასა და გლობუსზე მუშაობას, ისტორიის გაცნობას დასაკუთარი პროდუქტის შექმნას, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, მათი კომპეტენციების ზრდას და ხელს უწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. ამავე კურიკულუმში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც იძლევა საშუალებას, დააინტერესოს და გამოიწვიოს მოსწავლე, აღძრას მასში შემოქმედებითი პროცესები.
მასწავლებლებმა (მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურა) ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილია საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილები გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურების ხელშესაწყობად.
კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანიც უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ **შემოქმედებითობა** - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ **კრიტიკული აზროვნება** - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- ✓ **კომუნიკაცია** - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელო-ას, კონტექსტუალიზებას და გამოხატ-ის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალური/არა ვერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად, სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.
- ✓ **კოლაბორაცია** - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ **მოქალაქეობა** - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად, სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.
- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.**

სკოლა დიფერნენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: შექმნილია სასწავლო სივრცე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს გამოხატოს თავისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ძირითადად მოძრაობენ 1-ელ კორპუსში, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები კი განლაგებულია მე-2 კორპუსში. დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებლები თანამშრომლობენ საბუნებისმეტყველო კათედრასთან, რათა წინასწარ მოამზადონ რესურსები მათთვის საჭირო საკითხებზე, მაგ; პლანეტარული მოდელი, მაგნიტები, ყვავილის მოდელი, მინერალების კოლექცია თუ სხვა. სასწავლო კურიკულუმები დაწყებით კლასებში აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, ინტერესებს, ხელს უწყობს მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩართულობას სასწავლო პროცესში. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს საკითხთან დაკავშირებული მედიარესურსებით. ეს კი ხელს უწყობს სხვადასხვა ტიპის შემსწავლელს, მარტივად აღიქვას შესასწავლი მასალა.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აცხადებენ, რომ დავალებების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარდგენა, კათედრების შემაჯამებელი ოქმებიდან გამომდინარე 2022-23 წელს კათედრამ განახორციელა კომპლექსური დავალებები, ჩამოაყალიბა შუალედური მიზნები დაწყებით საფეხურზე, ახლა კი გეგმავს, დანერგოს ახალი კომპლექსური დავალებები, კურიკულუმი გაამდიდროს რესურსებით, დაგემოს თემატური მატრიცა თანმიმდევრული ეტაპებით. ასევე, კათედრა გეგმავს, დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასებები, განმავითარებელი შეფასებებისთვის კი შერჩეული აქვთ მინიმუმ სამი რუბრიკა.

უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, ასევე ქმნის მოქნილ სასწავლო გარემოს. ამ საგნის კურიკულუმში მოცემული დავალებებიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული მრავალფეროვანი რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობას. მაგ. გერმანული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება -'' შექმენი ცხოველების ფერმა. შენ მიერ შექმნილი ფერმის ბინადრებს დაარქვი სახელები. პრეზენტაცია გააკეთე შენთვის სასურველი ფორმით (პოსტერი, მაკეტი, კომპიუტერული პროგრამა'').

სპორტის საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. თუმცა, სკოლა იაზრებს, რომ დავალებების რამდენიმე ვერსიის შექმნზე, ისე რომ იძლეოდეს მრავალგვარი დიფერენცირების საშუალებას, მასწავლებლებს ჯერ კიდევ სამუშაო აქვთ.

ინტერვიუზე პრაქტიკის გაზიარებისას მასწავლებლებმა დაასახელა მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად გამოყენებული ინსტრუმენტები ყოველდღიური დაკვირვება, კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ ახდენენ დავალების ადაპტაციას.

სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

კათედრებზე დაგეგმილი აქტივობები, მათ შორის, პროექტები, ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ისგ- დოკუმენტი სსსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის მიზნით, რის ფარგლებში იქმნება და ხორციელდება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადჰყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

მაგალითისთვის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შექმნილი აქვს ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოები და შესაბამისი დანართები თემატური მატრიცების სახით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ისგ- დოკუმენტი სსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში კათედრის წევრები ჩართულები არიან შინაარსობრივი საკითხების ანალიზსა და ურთიერთგაზიარებაში, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ისგ-დოკუმენტი სსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესში მათი ჩართულობის მიზნით, რის ფარგლებში იქმნება და ხორციელდება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

კურიკულუმების ჩარჩოებთან ერთად მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მათ შორის კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული, მოსწავლის მიღწევის დონეებზე დაფუძნებული და მოსწავლის სწავლის დინამიკის ამსახველი ოთხდონიანი რუბრიკაა შერჩეული. მასწავლებლები ინტერვიუს დროს აცხადებენ, რომ რუბრიკები ეტაპობრივად შეივსება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო წერების დანერგვა, რაც წელიწადში ორჯერ განხორციელდება პედაგოგებთან შეთანხმებით, გამოკვეთს მოსწავლეთა საჭიროებებს და მისცემს მასწავლებელს მოკრიბოს მონაცემები განმავითარებელი შეფასებისათვის საფეხურის და კლასის დონეზე, გაითვალისწინოს მიღებული გამოცდილება კურიკულუმის განვითარებისთვის.

2022-2023 სასწავლო წელს ოქტომბერსა და მაისში დაწყებითების კათედრაზე ჩატარდა დიაგნოსტიკური ტესტირება ქართულსა და მათემატიკაში მე-3-4 კლასებში. ტესტირებისთვის რესურსები შეირჩა G-pride-დან. ტესტირებაში მონაწილეობდა 15 პარალელური კლასის 400-ზე მეტი მოსწავლე. ტესტირების შედეგად მიღებული პირველადი შედეგები გაანალიზდა კლასების მიხედვით, გაზიარებულ იქნა კათედრაზე და დაიგეგმა ინტერვენციები.

გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში, რომელიც მორგებულია გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებენ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების (დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს : ტექსტი, სამეტყველო ქმედებას , ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი.) საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ.
სკოლა ყურადღებას უთმობს შეფასების რუბრიკების შექმნას. მაგალითად, V კლასის მე-2 სემესტრისთვის და VI კლასში განმსაზღვრელი შეფასებისთვის შემუშავებულია წერითი დავალებისა და ზეპირმეტყველების შეფასების ზოგადი რუბრიკები სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს დიაგნოსტიკური ტესტირების ჩატარების გამოცდილება. 2023-2024 წლისთვის დიაგნოსტირებისთვის შერჩეულია ოთხდონიანი რუბრიკა.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრებზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები.
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლებმა გაითვალიწინეს წინარე გამოცდილება, ძლიერი მხარეები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისას გამოვლენილი საჭიროებები და მიზნობრივად დაგეგმეს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით წინა წელს წარმატებით განხორციელებული დავალებები კვლავ შეიტანეს კურიკულუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, ჩვენი საქართველოსა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოები და თემატური მატრიცების ნიმუშები, სადაც წარმოდგენილი შინაარსობრივი ნაწილი გარკვეულწილად წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ეფუძნება, რადგან პედაგოგების მიერ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ნიმუშები, რომლის ნაწილი წინა სასწავლო წელს განხორციელდა და კათედრის ანალიზის შედეგად შესაბამისი ცვლილებების სახით გაიწერა ახალი კურიკულუმის ჩარჩოში.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობაც არის სკოლაში იმის ერთ-ერთი ინდიკატორი, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- შესაბამისი კათედრებს შემაჯამებელი ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- დიაგნოსტიკური წერის ინსტრუმენტები და ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

საგნების მიხედვით წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. □როექტების, ინტეგრირებული გაკვეთილებისა , საკლასო აქტივობების, კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით , რაც კიდევ უფრო სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, თითოეულ მოსწავლეს აძლევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას, ავითარებს შემოქმედებით უნარებს და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**

დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატიკაზე. თემა, როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლისთვის ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ხდება მათი მოდიფიცირება. სასწავლო მასალა, ძირითადი და დამატებითი რესურსები, კონტექსტმაგალითები მასწავლებლის ფასილიტატორობით აძლევს მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდას. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით დაწყებით საფეხურზე გამოიყენება შესასვლელი ბილეთები, გონებრივი იერიში , ფრონტალური კითხვები და ა.შ.
მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ისინი მუდმივად აქცევენ ყურადღებას ცოდნის აგების პროცესში წინარე ცოდნის მნიშვნელობას - წინარე ცოდნას ააქტიურებენ როგორც უშუალოდ საკლასო აქტივობებით, ისე ცდლობენ საშინაო დავალებები ითვალისწინებდეს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც მოსწავლეთა მოტივირების საშუალებაცაა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; მეტაკოგნიტური უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარების მიზნით გამოიყენება თვითშეფასების კითხვარები, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას დასასმელი შეკითხვების ბანკი, კვირის გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ სავალდებულო, ნებაყოფლობითი და არჩევითი დავალებები და თავად უწევთ სამუშაო პროცესის დაგეგმვა კვირის განმავლობაში.

დაწყებითების კათედრას აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ამ მიმართულებით. ჩატარდა კვლევა მესამე კლასის მოსწავლეებში, რომლიც ეფუძნებოდა კვირის გეგმით სწავლებას. მოსწავლეებს ეძლეოდათ კვირის საშინაო დავალებები სხავადსხვა საგნებში, მათ შორის იყო სავალდებულო, არჩევითი და ნებაყოფლობითი სავარჯიშოები. მოსწავლეებს უწევდათ თავად განესაზღვრათ დავალების შესრულების რაოდენობა, თანმიმდევრობა კვირის განმავლობაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, საგნობრივი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სკოლას აქვს პროექტული სწავლების განხორციელების გამოცდილება (მაგ. ფინანსური წიგნიერება, გარემოს დაცვა) , რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის გააქტიურებას.

პროექტ - ფინანსური წიგნიერების ფარგლებში მესამე კლასში შემუშავებულ იქნა კომპლექსური დავალება, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ფინანსური აზროვნების ჩამოყალიბება, რაც სამომავლოდ ფინანსური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებოდათ. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ფინანსური წიგნიერების მნიშვნელობასა და როლზე ადამიანის ცხოვრებაში, დაგეგმეს სხვადასხვა აქტივობები, ბოლოს კი შექმნეს ერთობლივი პროდუქტი, კერძოდ, მათ შეიმუშავეს მარშრუტი ექსკურსიისთვის, ბეთანიაში. ინფორმაციის შეგროვების მიზნით გამოკითხეს თანაკლასელები, დათვალეს ხარჯები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გზის, კვებისთვის და აუცილებლობისთვის. მოსწავლეებმა გამოიყენეს თავიანთი გაწერილი ფინანსური გეგმა და მოინახულეს ბეთანია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება გადამწყვეტ როლს თამაშობს სასწავლო პროცესში. როდესაც მოსწავლე იღებს მრავალფეროვან ცოდნას სხვადასხვა საგანში, მნიშვნელოვანია მან შეძლოს მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება. როდესაც საუბარია ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაზე, მნიშნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეს გულისხმობს ასევე კავშირს სხვადასხვა საგანთა შორის. ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება მოსწავლეს აძლევს მყარ ცოდნას სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე და შერჩეულ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ის ძირითადი ქვეცნებები და ქვესაკითხები, რომელთა დამუშავებაც უწევს მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. კომპლექსური დავალების პროდუქტის სახით მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს საგნობრივ ცოდნას. პედაგოგი კი ფასილიტაციას უწევს მას ამ პროცესში. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითია წარმატებით განხორციელებული სასკოლო პროექტები: „ფინანსური წიგნიერება“, „გარემოს დაცვა“.

პროექტის „ფინანსური წიგნიერება“ ფარგლებში მესამე კლასის მოსწავლეებისთვის შეიქმნა საინტერესო კომპლექსური დავალება, რომელიც მიზნად ისახავდა მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. მოსწავლეებს დავალებული ქონდათ დაეგეგმათ ექსკურსია. კლასი დაიყო სამ ჯგუფად და გაუნაწილდათ დავალებები. პირველი ჯგუფის დავალება იყო აერჩია მარშრუტი და გაეწერა ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იქნებული იქნებოდა ტრანსპორტირებასთან. მოსწავლეები ანგარიშობდნენ რა თანხა დასჭირდებოდა მგზავრობისთვის თითოეულ ადამიანს. მოსწავლეებს უნდა განესაზღვრათ კლასისთვის საჭირო ფინანსები აღნიშნული ექსკურსიის ტრანსპორტირებისთვის. დავალების ფარგლებში მეორე ჯგუფი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მუშაობდა საკვები პროდუქტების მომარაგებასა და ხარჯების დათვლაზე. მათ უნდა დაეთვალათ თითოეული პროდუქტის რაოდენობა და დაეანგარიშებინათ საჭირო თანხა, როგორც მთლიანი კლასისთვის, ისე ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლისთვის. მესამე ჯგუფი პასუხისმგებელი იყო ექსკურსიაზე წასაღები საჭირო ნივთების მომარაგებაზე. მოსწავლეები ინიშნავდნენ საჭირო ნივთებს, ითვლიდნენ რაოდენობას და ანგარიშობდნენ საჭირო თანხას. აღსანიშნავია, რომ პროექტმა, რომლის საშუალებითაც მოხდა პროგრამულად გათვალისწინებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება, დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
- დანართი N2 – 2023-2024 სასწავლო გეგმის პროექტი.
- დანართი N69 - სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების კატალოგი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების შემუშავების პროცესში აქცენტი კეთდება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების დაფარვაზე კომპლექსური დავალების კრიტერიუმების მიხედვით, რისი ეტაპობრივად განხორციელებას კათედრები თამატური მატრიცის მიხედვით ახდენენ. შესაბამისად, კათედრებზე აქტიურად ხორციელდება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.
წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ზოგიერთ კურიკულუმში მოცემულია ქვეცნებებიც, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ:
მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში საკითხის - ენერგიის სხვადსხვა წყარო შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები : ენერგიის წყაროები, ენერგიის სახეები და მათი ურთიერთგარდაქმნები, ელექტრული წრედი, მაგნიტური მოვლენები, ელექტრული მოვლენები ატმოსფეროში. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე - მოვლენა, გეოგრაფიული ობიექტი, ორგანიზმი, მდგრადი განვითარება და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. მავე კურიკულუმში გაწერილია მიზნის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები, სრულადაა მოცემული დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები, განსაზღვრულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, სადაც ჩანს ესგ მისაღწევ შედეგებთან კავშირი მოცემული შუალედური მიზნის საფუძველზე. ჩარჩოში მითითებული რესურსები ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის გათავისებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - "შექმენი საოჯახო ფოტოალბომი და ისაუბრე შენს ოჯახზე. რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი? ვის რა ჰქვია და ვინ რამდენი წლისაა".

თუმცა არის საგნები, რომელთა ფარგლებშიც ყველა თემაში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და ასევე უცხოურ ენებში თემები, რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ინტეგრირებულად. სასურველია ყველა თემაში მოხდეს ინტეგრირებულად ყველა სამიზნე ცნებების დამუშავება. სასურველია, დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე ბუნებისმეტყველებასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პირველ და მეორე კლასში სრულად შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო ყველა სავალდებულო თემაზე განსაზღვრული შუალედური მიზნებით და კონტექსტ-'მაგალითებით ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას.

საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური დავალებების შესრულების დროს მოსწავლეს უწევს ითანამშრომლოს თანატოლებთან, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, ეცადოს, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების მოსაზრებაც და გამოხატოს მიმღებლობა სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლეს სჭირდება ინდივიდუალური და გუნდური პასუხიმგებლობის გააზრება. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. კომპლექსური დავალებები, ამ დავალებების შესრულებისას შესაბამისი კონტექსტ-მაგალითების მოშველიება ასაკისათვის შესაბამისი რესურსების შეთავაზება ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი კონტექტის საფუძველზე განივითაროს პიროვნული და სოციალურ-ემოციური უნარები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაწყებითი საფეხურის მონაწილეობას სასკოლო პროექტებშიც, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთი პრიორიტეტული თემის ირგვლივ თავს უყრის აქტივობებს და მოიაზრებს დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნობრივი დისციპლინის მიმართ დაინტერესებას, მოტივაციის გაზრდას, პასუხისმგებლობის გააზრებას.
ასევე კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება მათი პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარება.
სკოლას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მშობლები ბავშვებთან ერთად განსაკუთრებულად მოწყობილ არაფორმალურ გარემოში კითხულობდნენ ქართულის მასწავლებლის მიერ შერჩეულ ნაწარმოებს. წაკითხულის ირგვლივ მსჯელობის დროს კი აქცენტები კეთდებოდა მნიშვნელოვან პიროვნულ ღირებულებებზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დავალების კომპლექსური კონტექსტი მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს.
მასწავლებლებს ძირითადად გათავისებული აქვთ, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია უფრო მეტად სწავლის და ნაკლებად სწავლების პრინციპით. მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე/წინარე ცოდნაზე დაყრდნობით უნდა შეძლოს გააზრებული სწავლა, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. ასეთი დავალებების შექმნის მიზნით მასწავლებლებს ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

საგნობრივ კურიკულიმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ჩვენი საქართველოს მიხედვით, რაც ეფუძნება მოსწავლეა მიღწევების ანალიზს სტანდარტის საფეხურის შედეგების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.
უცხოური ენის კათედრამ სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის აირჩია მეოთხე ინსტრუმენტი- განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.
სადამრიგებლო პროგრამებში ასახულია მოსწავლეებისათვის აქტუალური თემები, მაგ: მე-5 კლასი პროექტის თემაა - როგორ გავართვათ თავი კონფლიქტებს, წარმოდგენილია შეხვედრების თემატიკა, რესურსები, მოსწავლეთა კითხვარები და ზოგიერთი მოსწავლის პასუხიც, რომელიც ეხმარება პროექტის შეფასებასა და თვითშეფასებაშიც. საგულისხმოა, რომ აღნიშნული თემა უკავშირდება 2023-24 წლის სასკოლო პროექტის პრიორტეტულ თემას - კონფლიქტების მართვა, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მეტ ჩართულობას, შეიძინოს ახალი გამოცდილება. მასწავლებლის პრაქტიკა - დილემებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, ასევე ხელს უწყობს შეფასების პროცესს საჯაროდ პროექტის ფარგლებში ნამუშევრების წარდგენა/გამოფენა (ბუნებისმეტყველებაში მესამე კლასში განხორციელებული პროექტი დედამიწის დღესთან დაკავშირებით). ჰოლისტურ შეფასებაში თავის წვლილს შეიტანს მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასებებიც.პედაგოგოები სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ
თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და სწავლის პოტენციალს. გათვალისწინებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია დაწყებით საფეხურზე მუსიკის საგანში (III კლ) მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურადაა აღწერილი მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე. გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები - მის შესაძლებლობებზე

მორგებული, ადაპტირებული კომპლექსური დავალება შესაბამისი განსახორციელებელი აქტივობებით და მოსწავლის პროგრესის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რიგ შემთხვევებში მოსწავლეები თავადაც მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმები შემუშავების პროცესში. მასწავლებლების მოსაზრებით, გამოცდილება აჩვენებს, რომ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში შეფასებისას კომენტარი მეტად ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკური ტესტები და დავალებები. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლი აკისრია კომპლექსურ დავალებას (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასების მათემატიკის კურიკულუმები).
ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მკაფიო ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს; იყენებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რუბრიკებს; რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის.
დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, სასკოლო გეგმით თანდართული განმსაზღვრელი შეფასებების ნიმუშები ანალიტიკური ხასიათისაა და შეესაბამება შეფასების პირველ მოდელს, კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში განმსაზღრელი შეფასებები ესგ მოთხოვნების მიხედვით აფასებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. (მაგ; მეექვსე კლასი) კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს აცნობს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. კურიკულუმის ჩარჩოებთან ერთად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთა ინტერვიუები მოსწავლეთა ყოველწლიური განმავითარებელი შეფასებების შესახებ ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხარისხის ჯგუფის დასწრების საფუძველზე გაკეთებული უკუკავშირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესახებ იძლევა საფუძველს, რომ სკოლის შეფასების სისტემა შეძლებს, აწარმოოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებები.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები 2023-2024 წლისთვის ერთობლივად, ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კათედრაზე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით. შემუშავებულ რუბრიკებში გათვალისწინებულია კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან,.მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნამუშევრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

პედაგოგებთან შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა უკუკავშირი.

სკოლამ დაწყებით საფეხურზე განხორციელა კვლევა-,,განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის". კვლევის ფარგლებში ერთი კონკრეტული კლასის მაგალითზე შესწავლილ იქნა, თუ რამდენად სწორად იყენებდა მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტებს. დაკვირვება მოხდა მათემატიკის გაკვეთილზე. კვლევაში ჩართული იყვნენ დაწყებითების კათედრის სხვა მასწავლებლებიც, რომლებიც რეგულარულად აკვირდებოდნენ კოლეგას გაკვეთილზე წინასწარ შემუშავებული დაკვირვების რუბრიკის მიხედვით. კვლევის მეორე ეტაპზე დაიგეგმა განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება და ეფექტური უკუკავშირის გაცემა. ყოველი თემის ბოლოს იწერებოდა დიაგნოსტიკური ტესტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პედაგოგებთან გასაუბრების და თვითშეფასების კითხვარში სკოლის მიერ დაფიქსირებული პოზიციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და დოკუმენტირებას რამდენიმე ხერხით ახორციელებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით, გარდა ამისა თითოეული მოსწავლის განმავითარებელი შეფასებები თავმოყრილი და ორგანიზებულია სპეციალურად შეფასებისთვის შექმნილ exel-ის ფაილში, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ეგზავნება ადმინისტრაციას. ამავდროულად, თითოეული მოსწავლის შეფასება მატერიალური ფორმით ინახება მოსწავლეთა პირად საქმეში. გარდა ამისა, სკოლას აქვს დოკუმენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის ერთიანი ფორმა. Teams-ის პლატფორმაზე შექმნილია ჯგუფი, სადაც თავმოყრილია პორტფოლიოები კლასების მიხედვით, მათ შორის დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელს გააჩნია საკუთარი პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია დოკუმენტაცია, მათ შორის კომპლექსური დავალებების შეფასებები.

გარდა ამისა, სკოლის მიერ გადმოგზავნილ თანდართული დოკუმენტები შეიცავს სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებას. ბრძანების თანახმად სკოლის კანცელარიაში საქმე ინახება 5 წლის განმავლობაში, შემდეგ დადგენილი წესის შესაბამისად ბარდება არქივს (თუ ნომენკლატური განსაზღვრული ვადით ექვემდებარება შენახვას) ან ნადგურდება. ბრძანებები სკოლის კანცელარიაში - საქმისწარმოების განყოფილებაში ინახება 5 წლის ვადით, რის შემდეგაც გადადის სკოლის კანცელარიის არქივში. მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი კანცელარიაში ინახება 5 წლის ვადით. 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტები ინახება სკოლის არქივში და არქივში გადაცემული დოკუმენტები რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- დანართი 34 - საქმისწარმოების წესი
- დანართი 57 - შეფასების ვერიფიკაცია
- პროექტების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია
- კურიკულუმების ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე
- შესაბამისი კათედრების შემაჯამებელი ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- სადამრიგებლო პროგრამები
- კვლევა Vake მეთოდიკით
- სკოლის ფბ გვერდი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო რომლის მაგალითებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია საინტერესო თემები, შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, მაგ. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება წერილი თემაზე "ჩემი და უცხო ქვეყნის ორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განსხვავებული ქანდაკება. ორი კულტურის შედარება გაუღრმავებს მოსწავლეებს კულტურული კუთვნილების განცდას, გააცნობიერებინებს კულტურულ მრავალფეროვნებას, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას განუვითარებს მიმღებლურ თვისებებს. სასურველია გაიზარდოს დავალებები სადაც დამუშავდება კულტურათა დიალოგი; მრავალფეროვანი რესურსები; მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვა(დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა და პრაქტიკა. ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან) ; ასევე აღსანიშნავია კათედრაზე პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების პრაქტიკა. 2023-2024 სასწავლო წელს კათედრას დაგეგმილი აქვს პროექტი:"კონფლიქტების მოგვარება", რომლის ფარგლებში აქტივობები განხორციელდება ინტეგრირებულად შემდეგ საგნებთან : მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება.

სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და ცდილობს რომ ამ მიმართულებით გამახვილდეს ყურადღება როგორც მასწავლებელების, ისე თანაკალსელების მხრიდან, შეიქმნას შესაბამისი გარემო მათთვის. ამის ნათელი მაგალითია პანდუსები, სპეციალური ლიფტი, რესურს ოთახი, სხვადასხვა მიმართულების სპეც მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ რჩევებს, როგორ და რა გზებით შეიძლება მოსწავლეების უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება, თანამშრომლობენ დირექციასთნ, სკოლის მასწავლებლებთნ, სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან და დაინტერესებულ პირებთან. ეს მხარდაჭერა საბოლოოდ, მოსწავლის გაუმჯობესებულ შედეგებზე აისახება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც მიმღებლობასა და მხარდაჭერას გამოხატავს. სკოლის ყველა თანამშრომელი იზიარებს მთავარ პრინციპს, რომ ყველას თანაბარი ხელმისაწვდომობა ჰქონდეს სწავლისადმი, თითოეული ბავშვი მიიღონ ისეთი როგორიცაა, დაეხმარონ მათ სხვადასხვა უნარების განვითარებაში, შესთავაზონ მათზე მორგებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.**

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისას , თუ როგორ,როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რეგულირებაში ძალიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვაზე სსსმ მოსწავლეებთან და სხვ.
ასევე აღსანიშნავია პროექტები , ინტეგრირებული გაკვეთილები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც კათედრაზე, ისე პარალელი კლასების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესი, შეფასება, პროექტები თუ სხვა აქტივობა ურთიერთშეთანხმებულია. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს შორის თანამშრომლობას და თავადაც მუდმივად მზად არიან მოსწავლეებთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის. ხშირად ტარდება დამატებითი შეხვედრები მოსწავლეებთან, სხვადასხვა პროექტის თუ საკითხის დამუშავების პროცესში. მშობლებთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის დროს მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მოსწავლეთა სწავლის შედეგებსა და გაუმჯობესების გზებზე.
აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულება ასევე არის საკლასო აქტივობების ფარგლებში კომპლექსური ბუნების დავალებები; სკოლის დონეზე კი ინტეგრირებული პროექტები, მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წელს კათედრა გეგმავს პროექტს "კონფლიქტების მოგვარება", რომლის ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს შემდეგ საგნებთან: მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებაა კათედრებს შორის თანამშრომლობა (ინტეგრირებული პროექტების ფარგლებში); კლასში კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები; პროექტები; მოსწავლეთა წახალისების მეთოდები, მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები.

სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლას მიაჩნია, რომ ეს საკითხი ყოველდღიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. მასწავლებლები ქმნიან მეგობრულ გარემოს, ტარდება პოზიტიური ხასიათის საგნობრივი პროექტები, რომლებშიც ბავშვები აქტიურად არიან ჩართული. 2022-2023 სასწავლო წლის დასასრულს მათემატიკის და დაწყებითების კათედრების ორგანიზებით სკოლის ეზოში გაიმართა მათემატიკური მარათონი სკოლის V-VI კლასის მოსწავლეებისთვის. გარდა მონაწილეებისთვის განკუთვნილი დავალებებისა, პროექტის ფარგლებში გულშემატკივრებისთვის დაგეგმილი იყო სხვადასხვა სახის აქტიური და მხიარული თამაშები, რაც გარდა სხვა დადებითი გავლენისა, მოსწავლეებში გაამლიერებდა სკოლისადმი და კლასისადმი მიკუთვნებულობის განცდას, რაც დადებითად მოქმედებს პოზიტიურ კლიმატზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები
- დანართი N 4 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი N9 - სსიპ ქალაქ თბილისის NN175 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- დანართი N66 - განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა ნაბიჯი კურიკულუმის შემუშავებიდან რევიზიამდე. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს დაწყებით საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება მათემატიკის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებითების კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. დაწყებით საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს. ხდება მიღებული შედეგების გაანალიზება, ინტერვენციების დაგეგმვა, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს post-ტესტით მოწმდება, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები და გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები. ყოველ წელიწადს სკოლა ქმნის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც კათედრების ხელმძღანელები განათავსებს შემუშავებულ კურიკულუმებს, შეფასების სქემებს. აღნიშნული სივრცე ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის. ასევე, სკოლას შექმნილი აქვს ჯგუფი თიმსის პლატფორმაზე, სადაც სკოლის თითოეულ მასწავლებელს აქვს საკუთარი საქაღალდე და მასში განათავსებს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, მატრიცებს, შეფასებებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი წარმოადგენს ვრცელ ანგარიშს, სადაც ასახულია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების ინსტრუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. პედაგოგებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, ამიტომ აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. აღსანიშნავია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, ახორციელებენ შიდა მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავენ სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზოგადად, სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩატარდა მესამე და მეოთხე კლასებში, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კერძოდ, გამოიკვეთა კონკრეტულ კლასებში რა მიმართულება იყო გასაუმჯობესებელი მათემატიკაში. დაწყებითების კათედრაზე მოეწყო შეხვედრა და დაიწერა თითოეული კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასება, რომელიც აღწერდა მიღწევებსა და პრობლემებს. კათედრაზე განხილულ იქნა რიგი საკითხებისა, რა შეიძლება ყოფილიყო არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზები და დაისახა გადაჭრის გზები. წარმოჩინდა მხარდაჭერა კოლეგებს შორის. მასწავლებლები, რომელთა კლასებმაც უკეთესი შედეგები აჩვენეს, უზიარებდნენ კოლეგებს გამოცდილებას. ტესტების შედეგები გაეცნოთ მშობლებს კრებაზე. მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მშობლებმა დამრიგებლებთან საუბრისას უფრო მეტი ყურადღება გაამახვილეს თავიანთი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და აქტიურად ჩართეს ისინიც ამ მიმართულებით დახმარებაში. აღნიშნული პრაქტიკა კარგი გამოცდილებაა დაწყებითი საფეხურის კათედრისთვის, რომლის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას აპირებს სკოლა მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანი იქნება არა შეცდომების აღმოჩენა, არამედ შეცდომებზე სწავლა. სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე, სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებითების კათედრაზე განხილული დიაგნოსტიკური ტესტის შედეგების საფუძველზე, მასწავლებელებმა ერთად მსჯელობით და განხილვით შეიმუშავეს მიდგომები, აქტივობები, ღონისძიებები, ერთმანეთს შეთავაზეს რესურსები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მოსწავლეებში მინიმუმამდე შემცირდეს წარმოჩენილი პრობლემები. მოცემული რჩევების გათვალისწინებით მოხდა აქტივობების მოდიფიცირება და განხორციელება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრების ოქმები
- შესაბამისი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი (მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასში) შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური შეფასებები, რომლებიც იძლევა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების უნარების და ჩართულობის შესახებ ინფორმაციას, მეტად მოქნილია და მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას შეაგროვოს ინფორმაცია მოსწავლეთა სწავლის შესახებ. შეფასების დროს ხშირად იყენებენ ასევე მოსწავლეთა ჩართვის მეთოდს თანაკლასლეების შეფასების პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ შეაფასონ თანაკლასელის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია თუ პროექტი, მათთვის წინასწარ ცნობილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. 2022-2023 სასწავლო წელს მესამე კლასში ჩატარდა კვლევა „განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის“, რომლის მიზანი იყო შეფასებასთან დაკავშირებული არსებული რეალობის შესწავლა და განმავითარებელი შეფასების სწორი სტრატეგიების დანერგვა. კვლევა მიმდინარეობდა მათემატიკის გაკვეთილზე, რომლის ფარგლებში მოსწავლეები იყენებდნენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტს, ყოველი თემის დასრულების შემდეგ წერდნენ დიაგნოსტიკურ ტესტებს და ღებულობდნენ დეტალურ უკუკავშირებს, საჭიროების შემთხვევაში მიმდინარეობდა რემედიაციული სწავლება. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის რეგულარულმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა სწავლის შედეგები. მიღებული შედეგები გაზიარებულ იქნა სკოლის დონეზე პრეზენტაციის სახით. არსებულ გამოცდილებას კათედრა გამოიყენებს სამომავლოდ შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. 2023-2024 სასაწავლო წელს კათედრა შეინარჩუნებს არსებულ პრაქტიკას და საუკეთესო გამოცდილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

სკოლა ჩართულია საბაზისო განათლების პროგრამაში, აქედან გამომდენარე, მასწავლებლები კარგად იცნობენ და პრაქტიკაში ნერგავენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. მონაცემების შეგროვებისთვის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის. მასწავლებლები ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტურ გავითარებას. მასწავლებელთა მიერ ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისა და სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული განმავითარებელი შეფასებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკებს ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ხშირად გამოიხატება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით. დაკვირვება ხორციელდება ფოკუსირებულად, ხდება დაკვირვება შეფასებაზე, რისთვისაც გამოყენებულია წინასწარ შემუშავებული დაკვირვების რუბრიკა. სკოლა ჩართულია Usaid-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ლიდერი მასწავლებლები მწვრთნელებთან ერთად ახდენენ სასწავლო პროცესის შეფასებას. რაც შეეხება მოსწავლეების შეფასებას, ის ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველა მოსწავლე უნიკალური და ინდივიდუალურია თავისი შესაძლებლობებით. შეფასების სისტემა კონკრეტული დავალების ფარგლებში ყველასთვის საერთოა, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, სკოლაში არიან მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით. წლის დასაწყისში მასწავლებლები ადგენენ მათ შესაძლებლობებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მათემატიკაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით. მოსწავლეებისთვის დგინდება ინდივიდუალური და მათ შესაძლებლობებზე მორგებული ყოველდღიური თუ კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, შეფასების სისტემაც ჰოლისტურ ხასიათს ატარებს. სკოლა ცდილობს, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს დაწყებით კლასებში მათემატიკის სასწავლო პროცესის მიღმა და შეექმნას თითოეული მათგანს შესაბამისი პირობები სწავლისთვის. მსგავსი მიდგომა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, რომ დარწმუნდეს თავის შესაძლებლობებში, მიეცეს მოტივაცია, იყოს კლასის/სკოლის სრულფასოვანი წევრი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები
- დანართი N18 - III-IV კლასებში დიაგნოსტიკური წერის ანგარიში
- კათედრების სამოქმედო გეგმები
- კათედრების მუშაობის წლიური და სემესტრული ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რის მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და განახლების მიზნით. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან“ (გვ:7), რის მიხედვით სკოლა კვლევისა და შეფასების განხორციელებას ახდენს სამი მიმართულებით „მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის დონეზე მასწავლებლების პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება“ (გვ:8), რის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები და დაგროვილი გამოცდილება ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას. შესაბამისად, კათედრებზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შედეგების და გამოწვევების მიხედვით აქტიურად ხორციელდება კათედრების თანამშომლობა, რას ასევე წარმოდგენილია კურიკულუმის განხორციელების დოკუმენტში სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ფუნქციები და პასუხისმგებლობები რაც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და მხარდაჭერის მიხედვით.

წელიწადში რამდენიმეჯერ ხდება კათედრების წევრების შეკრება და ცოდნის გაზიარება. წლის ბოლოს განხორციელებულ შეხვედრაზე ხდება განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა და კორექტირება, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის ხარვეზი, რაც განვლილ სასწავლო წელს გამოვლინდა. მასწავლებლები მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობენ და ერთად ზრუნავენ სამომავლოდ არსებული ხარვეზების გამოსწორებას. სკოლა შეფასების შედეგებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. კურიკულუმის დახვეწისა და კორექტირებისათვის, ხშირად ხდება შეხვედრები სხვადასხვა ტრენინგზე მიღებული ცოდნის გასაზიარებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის რევიზია ხორციელდება კათედრების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია, რომ „ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უსწრებს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება და მონიტორინგი შემდეგი მიმართულებები მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია" (გვ:4), რაც ხელს უწყობს მუდმივ თანამშრომლობასა და ინტერაქციას სასკოლო საზოგადოებას შორის და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ცვლილებები შეტანას სასწავლო კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილში. იგივე გამოიკვეთა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს. შესაბამისად, სკოლა გაცნობიერებული აქვს, რომ კურიკულუმის განხორციელება მუდმივ თანამშრომლობას გულისხმობს დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესებს შორის, რაც ხელს უწყობს აღნიშნული დოკუმენტის მუდმივ განვითარებას წინარე გამოცდილებების მიხედვით.

ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება გასული სასწავლო წლის გამოცდილება, ხარვეზები და გასაუმჯობესებელი მიმართულებები. წარმატებული გამოცდილების მაგალითები მდგრადობის მიზნით კათედრების რეკომენდაციებით მასწავლებლებს გადააქვთ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ მხრივ აღსანიშნავია სასკოლო პროექტ „ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები: „ფინანსური დილემა" და „სურვილები და საჭიროებები". ასევე გათვალისწინებულია აღმოჩენილი ხარვეზები, რის შემდეგაც ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის ცვლილება და მოდიფიცირება. ასევე, სკოლაში კურიკულუმების მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმის შედგენა მოხდება იმ საჭიროებების გათვალისწინებით რაც გამოავლინა შეფასებამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N30 - გადამუშავებული კურიკულუმი
- დანართი N 4- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შესაბამისი კათედრების ოქმები
- კურიკულუმის ჩარჩოები

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლამ წარმოადგინა ‘’სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია’’ ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც განსაზღვრავს, რას და როგორ ითვალისწინებს სკოლა სასწავლო წლის დაგეგმვისას. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, განვითარების პრინციპებსა და მონაწილე მხარეებს თავიანთი ფუნქციებით. დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების ნაწილში ყურადღებას ამახვილებს როგორც კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე, ასევე კურიკულუმის დიზაინზე. ორივე ასპექტის დამუშავების მექანიზმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გააზრებას სკოლის ფილოსოფიის ჭრილში. დოკუმენტი ასახავს სასკოლო კურიკულუმის დიზაინის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მშობლის, კათედრის, დირექციის ჩართულობას, მათი შეხედულებების, შესაძლებლობების და პრორიტეტების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობის გადანაწილება. კურიკულუმის დანერგვა ითვალისწინებს დანერგვის პროცესის მონიტორინგსაც და ეფუძნება კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს როგორც სწავლების შედეგების დიგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. სასწავლო სასკოლო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია სრულად აგებულია სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე და მოიცავს წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას, ინფორმაციის მოკრებას, კვლევების, გამოკითხვების, ონლაინ სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

მასწავლებლები სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე უზიარებენ ერთანეთს გამოცდილებას, შეხვედრები ხშირად მიმდინარეობს პარალელური კლასების მასწავლებლებს შორის, სადაც ერთობლივად გეგმავენ თემებს, განიხილავენ და ანალიზებენ პრობლემებს, შეაქვთ ცვლილებები მომავალი წლისთვის კურიკულუმის განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ, როგორ მსჯელობენ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესზე, გეგმავენ ცვლილებებს, იზიარებენ სიახლეებს. პედაგოგები აცხადებენ, რომ ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ქოუჩინგის პროცესში და იღებდნენ უკუკავშირს, რაც დაეხმარათ ერონული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასწავლო წლის დაგეგმვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

სასკოლო კურიკულუმში ასახულია სკოლის მისია, აღზარდოს ძლიერი ფინანსური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი თაობა, რომელიც ფორმირდება მომავალ მეწარმეებად და ციფრულ მოქალაქეებად მზრუნველ და დემოკრატიულ გარემოში. სკოლის ხედვა უკავშირდება 7-10 წლის შემდეგ ტექნოლოგიური, ფინანსური და სამეწარმეო უნარებით აღჭურვილი ინოვატორების გამოჩენას ასპარეზზე. სკოლის ღირებულებები დამყარებულია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილე მხარეების - მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების დახმარებით დაამკვიდროს ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სამოქალაქო ჩართულობა, სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, ხელი შეუწყოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სხვა. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. სასკოლო ღონისძიებათა შორისაა პროექტები, საკლუბო აქტივობები და სხვა, რომლებშიც არიან ჩართულნი სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები თუ მშობლები. სკოლა მესამე წელია, ჩართულია ახალი სკოლის მოდელის პროექტში, ნერგავს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს. სადამრიგებლო პროგრამები ასახავს მოსწავლეებისათვის აქტუალურ თემებს. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა, მათ შორისაა დილემებით სწავლების გამოცდილებაც. სკოლა 2023-24 სასწავლო წლისათვის გეგმავს სხვადასხვა საგანში ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები, მისი ჩატარების ორგანიზება, მეთოდიკა და შეფასება კათედრების შორის შეთანხმების საფუძველზე იგეგმება. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, დაიგეგმება ინტერვენციები და რემედიაციული ღონისძიებები. დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სკოლის ხედვით განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია და არ მოახდენს გავლენას განმსაზღვრელ შეფასებებზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესებს ასახავს სასკოლო პროექტებიც. წინა წელს სკოლამ განახორციელა სამივე საფეხურის სკოლის მოსწავლეების ჩართულობით სასკოლო პროექტი ‘’გარემოს დაცვა’’, რომლის მიზანი იყო, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის კუთხით. ასევე განხორციელდა სასკოლო პროექტი ‘’ფინანსური წიგნიერება’’, რომლის თემატიკაც შერჩეული იქნა გამოკითხვის საფუძველზე. 2023-24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წლისთვის სკოლა გეგმავს განახორციელოს ახალი სასკოლო პროექტი კონფლიქტების მართვის მიმართულებით. როგორც ინტერვიუდან დასტურდება, სასკოლო პროექტების თემატიკა იცვლება, თუმცა პროექტის მდგრადობის თვალსაზრისით, სასკოლო საზოგადოება კვლავ აგრძელებს წარმატებით განხორციელებული აქტივობების შესრულებას. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი, რომელიც 2014 წლიდან არსებობს აერთიანებს მე-8 მე-10 კლასების მოსწავლეებს, კლუბს აქვს წესდება და გეგმა, კლუბი მონაწილეობას ღებულობს ილიაუნის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამეცნიერო პიკნიკში. საფუძველი ჩაეყარა რობოტიკის კლუბს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ილიაუნის ტექმეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრთან, კლუბში შეირჩა მე-9 მე-10 კლასის მოსწავლეები, რომელთაც უკვე მიიღეს პირველი გამოცდილება, შეექმნათ რობოტები. პროექტის შედეგები გათვალისწინებული იქნება სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოსწავლეები კი გამოცდილებას გაუზიარებენ კლუბის ახალ წევრებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

პარალელური კლასის პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. საწავლო წლის დაწყებამდე, ვიდრე სკოლა დაამტკიცებს სასწავლო კურიკულუმს, დირექციის წარმომადგენლები ხვდებიან ცალკეულ კათედრებს, სადაც განიხილება წლის სამოქმედო გეგმა და კათედრის საჭიროებები, რომელიც სასწავლო კურიკულუმების დანერგვასთანაა დაკავშირებული. ამის შემდეგ კათედრაზე მასწავლებლის თვითრეფლექსიის საფუძველზე ხდება არსებული კურიკულუმების განხილვა, მოდიფიცირება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და საბოლოო სახის ჩამოყალიბება დასამტკიცებლად. სამომავლოდ, სკოლას სურს სასკოლო კურიკულუმების შემუშავებაში ჩართოს მშობლებიც, იმის გასაანალიზებლად, თუ რამდენად არიან ჩართულები მოსწავლეები სასწავლო პროცესში, რამდენად უდვილდებათ/უჭირთ მათ კომლექსურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებებზე მუშაობა. რისთვისაც თავდაპირველად სკოლა შეიმუშავებს კითხვარს, რომელიც დაეხმარება მშობელთა ჩართულობაში.

ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, მასწავლებლების აქტიური თანამშრომლობით და პარალელურ კლასებში განხორციელებული შუალედური მიზნების მიღწევის ანალიზის საფუძველზე ხდება გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათდრაზე წარმოდგენილია მასწავლებლის საქმიანობის რეფლექსია, რომლის თანახმადაც მასწავლებელმა დანერგა და განავითარა სასწავლო პროცესში თემატური მატრიცა თემაზე - საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, რეფლექსია ეტაპობრივად აღწერს მასწავლებლის სამუშაო პროცესს, იკვეთება კათედრის ფარგლებში კოლეგების თანამშრომლობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ‘‘ჩათი’’ამავე სოციალურ ქსელში, დაწყებითი საფეხურის კათედრის საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი. შენობის ღია სივრცეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას, ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში, საკლასო ოთახებში და შეხვედრების ორგანიზებით. სკოლის ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს ინფორმაციის მოკრების მიზნით ონლაინ კითხვარებს, იღებს სხვადასხვა ინფორმაციებს და უზიარებს კოლეგებს, დაგეგმილია ჩამოყალიბდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების მოყვარულთა კლუბი, აღინიშნოს უსაფრთხო ინტერნეტის დღე 8 თებერვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ახალი ელექტრონული რესურსების გამოყენება, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ტრენინგებსა თუ სემინარებში, ასევე საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების ორგანიზება. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობებსაც ორგანიზებული იყო ონლაინ შეხვედრები პრაქტიკის კვლევის შესახებ.

კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებელი უგზავნის მშობლებს „მშობლის ბარათს“, რათა მშობლები ინფორმირებულნი იყვნენ, თუ რას ემსახურება კონკრეტული კომპლექსური დავალება. მშობლის ჩართულობა აუმჯობესებს სწავლის ხარისხს, ზრდის მოტივაციას და ხელს უწყობს სასკოლო საზოგადობას შორის გამჭვირვალე და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც დადებითად აისახება სწავლა-სწავლების პროცესზე. ამ ეტაპზე სკოლას მშობლების მხრიდან უკუკავშირის მიღების რაიმე შემუშავებული ფორმა არ აქვს, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ, რომ შევიმუშაონ კითხვარი მშობლებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დოკუმენტები:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შესაბამისი კურიკულუმი
- დანართი 40 - ბრძანება ისგ -ს შექმნაზე
- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითად, საბაზო საგნობრივ კურიკულუმებში(რუსული,ინგლისური,ფრანგული) წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ტიპის დავალებები: ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება *პოსტერი ,,სკოლები და ბავშვობა ვიქტორიანულ ინგლისში“* “წარმოიდგინეთ, რომ დროის მანქანის წყალობით თანამედროვე სკოლიდან/ყოფიდან უეცრად მოხვდით ვიქტორიანულ სკოლაში და ერთი დღით იცხოვრეთ იმდროინდელი ბავშვობითა და სასკოლო ცხოვრებით. შეადარეთ ერთმანეთს ვიქტორიანული სკოლები და ბავშვობა თქვენს თანამედროვე სკოლებს და ყოფას, პოსტერის სახით წარუდგინეთ კლასს”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხდება საგანთაშორის ინტეგრირება და დავალებები ჩაშენებულია სასკოლო პროექტში, მაგალითად, პროექტი „ფინანსური წიგნიერება“. დავალებების ამგვარად შერჩევა მოსწავლეს ეხმარება სასწავლო პროცესი მოიაზროს როგორც ერთიანი და მიზანმიმართული გზა მისი განვითარებისთვის და კომპლექსურად წარმოიდგინოს საგანთა ურთიერთკავშირი. საბაზო საფეხურზე მათემატიკის ამოცანები და სავარჯიშოები გაშლილია სასკოლო პროექტებში და ჩაშენებულია პროექტში კომპლექსური დავალებების სახით. მაგალაითად, მოსწავლეებმა მათემატიკის კომპლექსურ დავალების შესრულებისას გამოთვალეს რამდენი დაჯდებოდა სკოლისთვის მუსიკალური ოთახის მოწყობა და რა სარგებელს მისცემდა იგი როგორც სკოლას ისე მოსწავლეებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები საბუნებისმეტყველო საგნებში - ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. ჩანს, რომ მასწავებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხთა კლასტერებს, აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცოდნის დაუფლებისკენ, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ.მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმში თემა ‘’წყალი და ხსნარები’’ დამუშავების დროს შეთავაზებულია მაგალითები შედარებისათვის ფიზიოლოგიური ხსნარის ან ნაჯერი ყავის დამზადების შესახებ, რომელიც უკავშირდება ყოფ-ცხოვრებას, აქტუალურია და გამოიწვევს მოსწავლის დაინტერესებას, კომპლექსური დავალება ითვალისწინებს პოსტერის მომზადებასა და წარდგენას. მრავალფეროვანია რესურსებიც: მათ შორის ძირითადი რესურსი - სახელმძღვანელო, ასევე ციფრული რესურსები, რომელთა შორისაა Ck-12 , phet.colorado , ტელესკოლის თუ დამატებითი საკითხავი მასალები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტის კურიკულუმშიც ჩანს, რომ ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.
მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).**

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.
შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათი განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. მოსწავლეები ჩაერთვებიან აქტიურ შემოქმედებით პროცესებში, მოუწევთ ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნების გამოტანა, დაფიქრება პრობლემის გადაჭრის გზებზე, ორიგინალური იდეების მოფიქრება, ყურადღების გამახვილება საკომუნიკაცო სიტუაციის მახასიათებლებზე, ურთიერთთანამშრომლობა, დაფიქრება საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

სკოლა იყენებს მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პროექტებით სწავლება, პრობლემაზე დაფუძვნებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, წერითი მუშაობის მეთოდები, ესე, ლაბორატორიული მეთოდი და სხვ, რაც საგნობრივ შედეგებზე გასვლის გარდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) დაკმაყოფილებას.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რაც იძლევა საფუძველს მოსწავლემ გაიაზროს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების კონტექსტი, გამოიწვიოს მოსწავლის ინტერესი, გამოცდილება და გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. სავალდებულო თემების ფარგლებში კურიულუმებში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები/საკითხთა კლასტერები. ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. მაგ: ბიოლოგიის მე- 8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ხუთივე სავალდებულო თემა: ‘’ადამიანის მარეგულირებელი სისტემები’’,’’’ადამიანის შეგრძნების ორგანოები’’, ‘’ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა’’, ‘’უჯრედის მეტაბოლიზმი’’, ‘’სახეობა და პოპულაცია’’, ჩანს, რომ ყველა თემაში მიმართულად მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია საკითხები, ასახულია შორის პედაგოგის წინა წლის გამოცდილება და მატრიცის აგების პრინციპები. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ -კოგნიტური უნარების განვითარებას. მაგ; მე-8 კლასის ფიზიკის თემატური გეგმა აღწერს მასწავლებლის ხედვას რა თემებს და რა ვადაში დაამუშავებს კომპლექსური დავალებით, როდის შეაჯამებს თემას და შეასრულებს კლასში შემაჯამებელი დავალებით. მასწავლებლები აცხადებენ,რომ კურიკულუმზე მუშაობას კვლავ აგრძელებენ. ფიქრობენ ისეთი მაგალითების მოყვანას, რაც გაზრდის მოსწავლის ჩართულობას, მისი კომპეტენციების ზრდას და ხელს შეუწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. სასწავლო შედეგების მიღწევას სკოლა გეგმავს არაფორმალური ფორმითაც, მაგ: სკოლის ბაზაზე ფუნქცონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში კვლევის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას, ინიციატივის შემუშავებას და გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას,რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაუმჯობესებას. კლუბი 2014 წლიდან ფუნქციონირებს და მონაწილეობას იღებს სამეცნიერო პიკნიკებში, გეგმვს ფართო საზოგადოებისათვის წარსადგენ ექსპერიმენტებს, ამ ტიპის აქტივობები ხელს შეუწყობს კლუბის წევრ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას,იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ . ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალება - "მოამზადე მოკლე ვიდეო ინტერვიუს სახით, რომლის საშუალებითაც წარადგენ საკუთარ თავს. ვიდეოში ისაუბრე შენს თავზე: ასაკი, გარეგნობა, რა გიყვარს, რა მოგწონს, რის კეთება გიყვარს, რის არა. რომელია შენი საყვარელი აქტივობა, სასკოლო საგანი, ქალაქი და ა.შ."ფიზიკური აღზრდა და სპორტი - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანიც უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ შემოქმედებითობა - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.
- ✓ კრი-ტი-კუ-ლი აზ-როვ-ნე-ბა - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

- ✓ კომუნიკაცია - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატ-ის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალური/არა ვერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.
- ✓ კოლაბორაცია - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.
- ✓ მოქალაქეობა - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

დიფერენცირებული და ინკლუზიური განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, მაგალითად, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწვლეების გადანაწილება მათი ინტერესების მიხედვით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით და აქვთ არჩევანის საშუალება საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ იმ ფორმით, რაც მათთვის უფრო მოხერხებულია, ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოვლინდეს მოსწავლეთა უნარები.

უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული მრავალფეროვანი რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩართულობას. ინტერვიუზე პრაქტიკის გაზიარებისას მასწავლებელმა დაასახელა მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად გამოყენებული ინსტრუმენტები ყოველდღიური დაკვირვება, კომპლექსური დავავლებების განმავითარებელი შეფასებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მოიყვანა მაგალითები თუ როგორ ახდენენ დავალების ადაპტაციას. აღსანიშნავია კათედრაზე სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდ. სასწავლო გეგმებს. კათედრაზე დაგეგმილი პროექტები ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სკოლაში გამოყოფილია საკლასო ოთახი, სადაც მიმდინარეობს განრიგის მიხედვით საბუნებისმეტყველო დისციპლინებში დაგეგმილი ლაბორატორიული სამუშაოები. სკოლა განთავსებულია ორ კორპუსში, მეორე კურპუსში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიიისა და ბიოლოგიის ლაბორატოორიები, სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით (მათ შორის საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული) სარგებლობის წესები. ლაბორატორიები განთავსებულია ცალკე სართულებზე, აქვს ადაპტირებული მისადგომი (ლიფტი). სკოლაში ფიზიკის სამი კაბინეტია, მათგან ერთი შედარებით მცირე მოცულობისაა და საცავის ფუქციააქვს, სადაც მასწავლებლები ინახავენ პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებს, მოდელებს. ანალოგიურადაა ორგანიზებული ქიმიის სამი კაბინეტი, სადაც ცალკე საცავში ინახება ქიმიური რეაგენტები, ჭურჭელი, ცეცხლმაქრი ბალონი, ქვიშის ყუთი და ხაძრსაწინააღმდეგო ნაჭერი, რკინის სეიფში შენახულია აგრესიული მჟავები, საცავში მოწყობილია სველი წერტილი და ჭურჭლის საშრობი კედელი, ორგანიზებულია ექსპერიმენტისათვის საჭირო ეკიპირება, ხელთათმანები, სათვალე, თეთრი ხალათები, მუშაობს ამწოვი კარადა. ქიმიის საცავში საკმარისი რაოდენობით არის ჭურჭეიც და რეაგენტებიც, რაც იძლევა საშუალებას, დაიგეგმოს და ჩატარდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცდები. ცალკე საკლასო ოთახებადაა ორგანიზებული ბიოლოგიის კაბინეტები, მათგან ერთი მოწყობილია სველი წერტილით. კაბინეტებში დაცულია მოდელები, ხელსაწყოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორისაა როგორც აინშტაინის ლაბორატორიის ფარგლებში არსებული ერთეულები, ასევე წინა წლების მასალები. ინახება მოსწავლეთა გამორჩეული ნამუშევრები. თითოეული საგნის კაბინეტები სართულზე ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული, ყველა იკეტება, აღჭურვილია ტექნიკით, ტარდება მხოლოდ შესაბამისი საგნის გაკვეთილები, საცავთან წვდომა აქვთ მხოლოდ მასწავლებლებს. საცავში არსებული მასალები საჭიროებს ყოველწლიურ ინვენტარიზაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო კურიკულუმები საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო საფეხურზე აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში (მაგ: ქიმიის მე-8 კლასის კურიკულუმში თემა ''ჰაერი'', საკითხი ''წვა და ჟანგვა'' ფარგლებში ორგანიზებულია ოთხი რესურსი, მათ შორის ძირითადი რესურსი სახელმძღვანელო, ასევე ვიდეორესურსი ტელესკოლის გაკვეთილი, ck-12 საერთაშორისო საგანმანათლებლო ელექტრონული პლატფორმის მასალები, ვიდეორგოლი მხუთავი არით CO-თი მოწამვლის საწინააღმდეგო ღონიძიებების შესახებ, რაც გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლით), ფიზიკისა და ქიმიის კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან გამომდინარე, კათედრა აღნიშნავს, რომ 2022-23 წელს განახორციელა კომპლექსური დავალებები, ჩამოაყალიბა შუალედური მიზნები საბაზო საფეხურზე. კათედრა გეგმავს, დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასებები და გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნის ყველა კლასის კურიკულუმის ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები.

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.**

საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები.
საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით. კათედრებსს წარმოდგენილი აქვს კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება შესაბამისი საგნების სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებენ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გაგვიზიარეს საკუთარი პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ.

წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ფიზიკასა, ბიოლოგიასა და ქიმიაში, მოსწავლის სწავლის შედეგების ტაქსონომია გამოხატულია სხვადასხვა დონით, შეწონილია ქულებით და მიემართება სამიზნე ცნებებს, აღნიშნული რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასება იყოს ორინეტირებული ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში,რომლის მიხედვითაც მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის ინდივიდუალურად შეფასება კომპლექსურ დავალებაში სამი დონის მიხედვით, ჩაინიშნოს და დააკვირდეს მოსწავლის მონაწილეობის ხარისხს, შეაფასოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემების მიხედვით. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, სიტყვიერი კომენტარით ზიარდება ინფორმაცია კათედრაზე მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, სამომავლოდ აპირებენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენას თემატურ მატრიცაზე და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაყრდნობით. კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასებები და მიღებული მონაცემები გამოიყენოს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისა და რეფლექსიისათვის.

ფიზიკური აღზრდა და სპორტის კურიკულუმებშიც გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს.

სკოლა იყენებს თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების ფორმებს. სასკოლო პროცესების შეფასებისთვის ასევე იყენებენ დიაგნოსტიკური წერებს. 2022-2023 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური წერები ჩატარდა მე-IX კლასში, ყველა საგანში, კათედრებმა გააერთიანეს დავალებები რამდენიმე კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზა ერთი კომბინირებული ტესტი. მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე, 8 პარალელი კლასიდან შეირჩა ორი კლასი, რათა შედეგების განზოგადება შესაძლებელი იყოს სხვა კლასებზეც. ამ ეტაპზე ჩაატარებული დიაგნოსტიკური წერების შედეგები დამუშავების პროცესშია, იგი მზად იქნება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში, რასაც სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების ახალი სტრატეგიების და ფორმების შემუშავებისთვის

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ეფუძნება წინარე გამოცდილებას. წინა წლის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას პედაგოგები აწარმოებდნენ ჩანაწერებს და კათედრის სხდომაზე წარმოადგენდნენ რეფლექსიას, რომელშიც გამოკვეთილი იყო ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, მათი საჭიროებები. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლებმა გაითვალიწინეს წინარე გამოცდილება და მიზნობრივად დაგეგმეს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით წინა წელს წარმატებით განხორციელებული დავალებები კვლავ შეიტანეს კურიკულუმში.
სასწავლო წლის ბოლოსმათემატიკის კათედრების სხდომებზე, მასწავლებლების მიერ წარდგენილი ანგარიში არის რეფლექსიური ხასიათის და მასში მოცემულია როგორც წარმატების მაგალითები, ისე სასწავლო პროცესის დროს გამოვლენილი ხარვეზები. გაერთიანებულ ანგარიშს კათედრის ხელმძღვანელი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს. მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად იკვეთება საერთო სარეკომენდაციო ჩარჩო, რომელზე დაფუძნებითაც განისაზღვრება ცვლილებები რაც უნდა შევიდეს კურიკულუმში და გათვალისწინებული იქნას ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. რეფლექსიისთვის მონაცემები შეგროვილია სხვადასხვა წყაროს საშუალებით. მაგალითად, მოსწავლეების, მშობლების, თვითრეფლექსიის, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის და სხვ. გათვალისწინებით გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში ასევე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ს აბაზო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება: ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გატვალისწინებულ მოთხოვნებს.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.**

ს აგნების მიხედვით წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. □როექტების, ინტეგრირებული გაკვეთილებისა, საკლასო აქტივობების, კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით , რაც კიდევ უფრო სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, თითოეულ მოსწავლეს აძლევს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას, ავითარებს შემოქმედებით უნარებს . და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

საბაზო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატიკაზე. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლისთვის ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ხდება მათი მოდიფიცირება. სასწავლო მასალა, ძირითადი და დამატებითი რესურსები, კონტექსტმაგალითები მასწავლებლის ფასილიტატორობით აძლევს მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდას . წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით დაწყებით საფეხურზე გამოიყენება შესასვლელი ბილეთები, გონებრივი იერიში , ფრონტალური კითხვები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება თვითშეფასების კითხვარები, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას დასასმელი შეკითხვების ბანკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში ხორციელდება პროექტები სადაც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს პროექტის მოზადებაში დახმარებას უწევს საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ერთ საგანში, ერთი პროექტის მომზადებით კი ორი საფეხურის რამდენიმე მოსწავლე იღებს სარგებელს. დავალებები სრულდება მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით, რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები. გამოყენებული სტრატეგიები ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

საბაზო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, საგნობრივი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სკოლას აქვს პროექტული სწავლების განხორციელების გამოცდილება (მაგ. ფინანსური წიგნიერება, გარემოს დაცვა) , რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის გააქტიურებას.
კათედრებზე დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი წარიმართოს ისე, რომ მოსწავლემ ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს საკითხი: შეძლოს თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით პროდუქტის შექმნა და გაიაზროს მისი პრაქტიკული გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე და შერჩეულ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ის ძირითადი ქვეცნებები და ქვესაკითხები, რომელთა დამუშავებაც უწევს მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. კომპლექსური დავალების პროდუქტის სახით მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს საგნობრივ ცოდნას.. პედაგოგი კი ფასილიტაციას უწევს მას ამ პროცესში. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითია წარმატებით განხორციელებული სასკოლო პროექტები: „ფინანსური წიგნიერება“, „გარემოს დაცვა“.

პროექტის „ფინანსური წიგნიერება“ ფარგლებში მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის შეიქმნა საინტერესო დავალება, რომელიც მიზნად ისახავდა მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. მოსწავლეებს დავალებული ქონდათ დაეგეგმათ მუსიკალური სივრცე. კლასი დაიყო ოთხ ჯგუფად და გაუნაწილდათ დავალებები. ჯგუფების დავალება იყო აერჩიათ დეკორაციები სივრცისთვის, მუსიკალური ინსტრუმენტები, აპარატურა ტექნიკური ინვენტარი და გაეწერათ ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სივრცის მოწყობასთან. მოსწავლეები ანგარიშობდნენ რა თანხა დასჭირდებოდა სივრცისთვის თითოეულ ინვენტარს. მოსწავლეები ინიშნავდნენ საჭირო ნივთებს, ითვლიდნენ რაოდენობას და ანგარიშობდნენ საჭირო თანხას. აღსანიშნავია, რომ პროექტმა, რომლის საშუალებითაც მოხდა პროგრამულად გათვალისწინებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება, დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია
- დანართი 61 - სასკოლო პროექტი ფინანსური წიგნიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალება , წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები იძლევა განზოგადების საშუალებას და უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის კურიკულუმებში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. სწავლა/სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმი, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. კომპლექსური დავალებების შედგენისას გათვალისწინებებულია გრძელვადიანი საგნობრივი სასწავლო მიზნები, მასთან დაკავშირებული ცნებები და მისი მკვიდრი წარმოდგენები რომლებიც ასახულია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში.
წარმოდგენილია კავშირები სამიზნე ცნებას, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და მასალა/რესურსებს შორის. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები, და ქვესაკითხები, რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ზოგიერთ კურიკულუმში მოცემულია ქვეცნებებიც, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ: მე-8 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში საკითხის „არაორგანული ნაერთების თვისებები“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები - ატომი, იონი, იზოტოპი, სუბატომური ნაწილაკები, ატომის ბირთვი, ელექტრონული გარსი, თვისებათა პერიოდული ცვლილება, მეტალი, არამეტალი, კრისტალური მესერი, ფუძე, მჟავა, მარილი. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებაზე - ნივთიერება და მის მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას,ანალოგიურადაა განსაზღვრული კონკრეტული ქვეცნებები სამიზნე ცნებების მიხედვით ფიზიკური და ქიმიური მოვლენები და ქიმიური ბმა, რაც უკავშირდება საკითხს - ქიმიური ბმა და არაორგანულ ნაერთთა კლასები. ჩარჩოში მითითებული რესურსები და სკოლის ქიმიის ლაბორატორიაში არსებული მასალები (სხვადასხვა პოსტერები, ბურთულ-ღეროვანი მოდელები, ცდებისთვის საჭირო მასალა) ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის გათავისებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში.

სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ხელს უწყობს მაგალითად, რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება დისკუსია თემაზე: ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები, ისაუბრე ეკოლოგიურ პრობლემებზე, რატომ აბინძურებენ ადამიანები გარემო პირობებს? დისკუსიის დროს მოსაზრება გამოთქვი არგუმენტირებულად, ეთიკის ნორმების დაცვით. დაეთანხმე, ან არ დაეთანხმო თანაკლასელის მოსაზრებას. ისაუბრე პრობლემების გადაჭრის გზებზე და მოუწოდე თანატოლებს, როგორ შიძლება დავიცვათ გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სწავლის პროცესი ორიენტირებულია ისეთ საკვანძო კომპეტენციებზე, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. სწავლა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება არ არის, მოსწავლე იზრდება და ვითარდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ პიროვნულად, მისი სოციო-ემოციური სფეროს განვითარება აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში. საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური დავალებების შესრულების დროს მოსწავლეს უწევს ითანამშრომლოს თანატოლებთან, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლეს სჭირდება ინდივიდუალური და გუნდური პასუხიმგებლობის გააზრება ისე, რომ თანხვედრაში იყოს ღირებულებებთან. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. კომპლექსური დავალებები, ამ დავალებების შესრულებისას შესაბამისი კონტექსტ-მაგალითების მოშველიება, მოყვანილი მაგალითები შედარებისათვის ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი კონტექტის საფუძველზე განივითაროს პიროვნული და სოციალურ-ემოციური უნარები. მეორე მხრივ საგნობრივ კლუბებში გაერთიანება იძლევა საფუძველს, მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი ინტერსები და განივითაროს თვალსაწიერი თანამოაზრეთა სოციუმში. სკოლის მერ წარმოდგენილდოკუმენტაციაში თავისი ადგილი უჭირავს სასკოლო პროექტებსაც, რომელიც ერთი პრიორიტეტული თემის ირგვლივ თავს უყრის აქტივობებს საგნებისა და საფეხურების მიხედვით. ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ მასწავლებლებისთვის არახალია სასკოლო პროექტებზე და კლუბური მუშაობა, მოსწავლეებმა უკვე შექმნეს თავისი პროდუქტები, აქვთ მიღწევები. მაგ:რობოტიკის კლუბის მუშაობის ამსახველ დოკუმენტში აღწერილია აქტივობები, თანამშრომლობა უნივერსიტეტის ბაზაზე სპეციალისტებთან, მოსწავლეთა უკუკავშირები. ანალოგიურად, ახალგაზრდა აღმომჩენთა კლუბში მრავალწლიანი მუშაობა, ერთობლივად განხორციელებული აქტივობები (მაგ.სამეცნიერო პიკნიკზე მოსწავლეთა მიერ ექსპერიმენტების წარდგენა) ემსახურება მოსწავლის განვითარებას აღნიშნული სპექტრით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპლექსური დავალებები მოსწავლეს უყალიბებს პირობისეულ ცოდნას და აძლევს ამ ცოდნის განზოგადების საშუალებას. ის სწავლობს მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. მასწავლებლებს ძირითადად გათავისებული აქვთ, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია უფრო მეტად სწავლის და ნაკლებად სწავლების პრინციპით. მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე/წინარე ცოდნაზე დაყრდნობით უნდა შეძლოს გააზრებული სწავლა, რომ მიღებული ცოდნა იყოს ფუნქციური და ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას. ასეთი დავალებების შექმნის მიზნით კათედრებს ინტეგრირებული სწავლის სტრატეგია მიაჩნიათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. კურიკულუმებში ყურადღება გამახვილებულია პროექტულ სწავლებაზე, სადაც ეფექტურად ხდება ცოდნის ტრანსფერი. მდგრადი შედეგების მისაღწევად საჭიროა მუდმივი მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მუსიკასა და სახვით და
გამოყენებითი ხელოვნების საგნებში განხორციელებული ინტეგრირებული სასწავლო პროექტი ,,გავაცოცხლოთ ნარჩენები“ (VIII-VI კლ) ,რომლის მთავარი მიზანი იყო ნარჩენების მეორეული გამოყენება, სხვადასხვა ფუნქციური ნივთების შექმნა; ურთიერთანამშრომლობის უნარების განვითარება და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ასევე, მუსიკასა და ქართული ენის საგნებში განხორციელებული ინტეგრირებული სასკოლო პროექტით ,,გარემოს დაცვა“ (VIII-IV კლ) მიზანი მიღწეული იქნა - პროექტი დაეხმარა მოსწავლეებს საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვასა და პრეზენტაციის უნარის

განვითარებაში. პროექტმა ბევრი სხვადასხვა უნარის წამოჩენის საშუალება მისცა მოსწავლეებს, რამაც მათი მოტივაციის გაზრდაზეც იმოქმედა, ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის ამაღლებას. პროექტის განხორციდელებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე დადებითად აისახება აქტივობები, სადაც მას აქვს თავისუფლება გამოხატვის და თვითრეალიზების პროცესში. საგანთა ინტეგრაციაც მათთვის საინტერესო გამოწვევა იყო. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მომზადებას საშუალო საფეხურისთვის

აღსანიშნავია, რომ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. ასევე კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დავალებაზე მუშაობის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხდება მათი პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარება(მაგ.ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება მოამზადე ვიდეორგოლი სამოგზაურო ჩემოდნისა და საყვარელი ნივთის შესახებ და განათავსე საკუთარ ბლოგზე ან კლასის გვერდზე); ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია კათედრაზე პროექტების, საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

საგნობრივ კურიკულიმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრამ სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის აირჩია მეოთხე ინსტრუმენტი- განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება ,რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.
მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია განმსაზღვრელი შეფასების ის ფორმა რომელიც შედგენილია მასწავლებლის და მოსწავლეების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად. ერთობლივად შედგენილი შეფასება მიმართულია ჰოლისტურ მიდგომებზე. თანამონაწილეობით შედგენილი შეფასების დროს მოსწავლეს უვითარდება მრავალმხრივი უნარი რომელიც გულისხმობს დროის კონტროლს, პრეზენტაციის წარმოჩენას, თანამშრომლობის განვითარებას და ა.შ. აქცენტს აკეთებს ყველა იმ კრიტერიუმზე, რომელიც ერთობლივად შემუშავდა შეფასების რუბრიკაზე მუშაობის დროს. ჰოლისტური მიდგომა მოსწავლის ცოდნისა და უნარების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, სხვადასხვა ეტაპებზე მიცემული განმავითარებელი შეფასების საშუალებით მოსწავლე აგებს საკუთარ ცოდნას, ახდენს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენას. სკოლა შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შესაფასებლად იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზოგიერთი კათედრის, მაგალითად, საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ყველა კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნა, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თუცა კათედრას აქვს გამოცდილება დააგრძელებს მუშაობას. კურიკულუმის ჩარჩოებთან ერთად კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები,მაგ: ფიზიკაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასება ესგ მისაღწევ შედეგთან (სამიზნე ცნება ენერგია) კავშირში, მასწავლებელი განსაზღვავს, რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს მოცემულ სამიზნე ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირში. იმავე კლასის განმსაზღელ შეფასებებში ჩანს მასწავლებლის ხედვა სამიზნე ცნებების მიღწევის ქულებით შეფასებისას. პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმეტში ასახულია მოსწავლეთა თვითშეასების დანართიც, აღნიშნული კომპლექსური დავალება შემაჯამებელი ხასიათისაა და ითვალისწინებდა განმსაზღვრელშეფასებას,დოკუმენტი ასახავს შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოს სტატისტიკურ და თვისობრივ ანალიზს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს; იყენებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რუბრიკებს, რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს.
შეფასების რუბრიკები წლის დასაწყისშივე არის გაზიარებული და ხელმისაწვდომი სასკოლო თემისთვის. შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და მისი გამოყენება შეუძლია საბაზო საფეხურის ყველა კლასის მასწავლებელს. კათედრებზე შემუშავებულია ზოგადი შეფასების რუბრიკები, ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას. რუბრიკები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ჯგუფური მუშაობისთვის, შემაჯამებელი დავალებებისთვის, ისე შეფასებისა და თვითშეფასებისთვის. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რუბრიკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია ცოდნის ათვისების შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.

კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს აცნობს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. კურიკულუმის ჩარჩოებთან ერთად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთა ინტერვიუები ხარისხის ჯგუფის დასწრების საფუძველზე გაკეთებული უკუკავშირების შესახებ იძლევა საფუძველს, რომ სკოლის შეფასების სისტემა შეძლებს, აწარმოოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. პედაგოგებთან შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა უკუკავშირი.

როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული სკოლა შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას ახდენს შემაჯამებლის ანალიზით. სკოლა შემაჯამებლის ანალიზით ახორციელებს მოსწავლეთა პროგრესისა და რეგრესის შეფასებას. ა სევე ახორციელებენ მონიტორინგს, დავალების რომელი ტიპი იყო ადვილად დასაძლევი და რომელი გაუჭირდა კლასის უმეტესობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემაჯამებელი მეცადინეობის ანალიზით დგინდება მოსწავლეთა პროგრესი თუ რეგრესი, ტარდება მონიტორინგი, რომელიც ადგენს დავალების რომელი ტიპი იყო ადვილად დასაძლევი და რომელი გაუჭირდა კლასის უმეტესობას. გარდა ამისა პანდემიამდე სკოლა ატარებდა სკოლის შიდა გამოცდებს, რომელიც გათვალისწინებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმით. წელს, სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა საგნობრივი დიაგნოსტიკური შეფასება. ამგვარი გამოცდები, დიაგნოსტიკური წერები და შემაჯამებლის ანალიზი შეფასების სისტემის გადამოწმების კარგ საშუალებას იძლევა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა ორივე სემესტრის ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

პედაგოგებთან გასაუბრების და თვითშეფასების კითხვარში სკოლის მიერ დაფიქსირებული პოზიციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და დოკუმენტირებას რამდენიმე ხერხით ახორციელებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით აფასებენ მოსწავლეებს. გარდა ამისა, სკოლას აქვს დოკუმენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის ერთიანი ფორმა. Teams-ის პლატფორმაზე შექმნილია ჯგუფი, სადაც თავმოყრილია პორტფოლიოები კლასების მიხედვით, სადაც ყველა მასწავლებელს გააჩნია საკუთარი პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია დოკუმენტაცია.

სკოლის მიერ გადმოგზავნილ თანდართული დოკუმენტები შეიცავს სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებას. ბრძანების თანახმად სკოლის კანცელარიაში საქმე ინახება 5 წლის განმავლობაში, შემდეგ დადგენილი წესის შესაბამისად ბარდება არქივს (თუ ნომენკლატური განსაზღვრული ვადით ექვემდებარება შენახვას) ან ნადგურდება. ბრძანებები სკოლის კანცელარიაში - საქმისწარმოების განყოფილებაში ინახება 5 წლის ვადით, რის შემდეგაც გადადის სკოლის კანცელარიის არქივში. მოსწავლის პირადი საქმე სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში. სკოლაში ნაწარმოები ყველა დოკუმენტი კანცელარიაში ინახება 5 წლის ვადით. 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტები ინახება სკოლის არქივში და არქივში გადაცემული დოკუმენტები რეგისტრირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სპეციალურ ჟურნალში. გარდა ამისა სკოლას აქვს ბაზა სადაც ხდება შეფასებების და გაცდენების თავმოყრა, იყენებებენ პირად საქმეებს, რომელიც ინახავს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების და სხვა საჭიროებების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი/კურიკულუმების ჩარჩოები
- კათედრების შემაჯამებელი ოქმი
- შეფასების რუბრიკები
- რობოტიკის კლუბი
- ახალგაზრდა აღმომჩენთა კლუბის წესდება, გეგმა
- დანართი 68. პედაგოგიური პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტი
- დანართი 34 - საქმისწარმოების წესი
- დანართი 57 - შეფასების ვერიფიკაცია

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო რომლის მაგალითებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია საინტერესო თემები, შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, მაგ. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება მოამზადე სტატია თემაზე: თინეიჯერების პრობლემა საქართველოში და უცხოეთში (მოსწავლეები თავად შეარჩევენ სასურველ ქვეყნებს, მინიმუმ-ორს) და მათი გადაჭრის გზები". ორი კულტურის შედარება გაუღრმავებს მოსწავლეებს კულტურული კუთვნილების განცდას, გააცნობიერებინებს კულტურულ მრავალფეროვნებას, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას განუვითარებს მიმღებლურ თვისებებს.
მასწავლებლებს აქვთ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმა გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლის პრინციპზე ნაცვლად სწავლების პრინციპისა. მოსწავლე სასწავლო პროცესში არის სუბიექტი და არა ობიექტი. რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში შეიქმნას მხარდამჭერი და მიმღეობითი გარემო.
ასევე აღსანიშნავია კათედებზე პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების პრაქტიკა. 2023-2024 სასწავლო წელს დაგეგმილი აქვთ პროექტი:"კონფლიქტების მოგვარება", რომლის ფარგლებში აქტივობები განხორციელდება ინტეგრირებულად შემდეგ საგნებთან : მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისას , თუ როგორ, როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლების მიდგომები (ინტერვიუზე დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე,ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან) ; ასევე აღსანიშნავია პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები.
სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, რასაც ადასტურებს სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში. სკოლაში საბაზო საფეხურზე ფუნქციონირებს ,,ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი" სადაც მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს და კლუბის ფარგლებში ყოველ წლიურად იღებენ მონაწილეობას ,,ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკზე", რომელიც იმართება შემოდგომაზე. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით კლუბის წევრები სკოლის ეზოში აწყობენ საჩვენებლ შოუებს. ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა რობოტიკის კლუბი და სხვ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლის ყველა მასწავლებელი ცდილობს ერთმანეთს გაუზიაროს საკუთარი პრაქტიკის გამოცდილება, რათა სასკოლო სივრცეში შეიქმნას ზრუნვაზე, თანამშრომლობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული სასკოლო კლიმატი, რომელიც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლის, როგორც აკადემიური ისე სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას. სკოლის პრაქტიკაში საბაზო საფეხურზე მათემატიკის სასწავლო პროცესში ხშირია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შეთანხმება გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობების თაობაზე, ისე რომ მასწავლებელი არ სცდება სასწავლო მიზანს, რაც თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარების გამოვლენაა. ეს შეიძლება იყოს შეთანხების საფუძველზე ფორმალური გარემოდან არაფორმალურ გარემოში გადანაცვლება. მასწავლებლებს შორის მეთოდოლოგიაზე შეთანხმება, კომპლექსური დავალების პირობაში წარმოდგენილი საბოლოო პროდუქტის შერჩევა და სხვ. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის ერთობლივად შემუშავების და მის დანერგვაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს ასევე კათედრებზე კომპლექსური დავალებების ერთობლივ დაგეგმვას, სასწავლო და სასკოლო პროექტებს და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კლასის ფარგლებში კომპლექსური ბუნების დავალებები ; სკოლის ფარგლებში ინტეგრირებული პროექტები(აღსანიშნავია 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებში საკოლო პროექტბში „ფინანსური წიგნიერება წარმატებული მომავლისთვის“ და „გარემოს დაცვა“ კათედრების ერთობლივი ჩართულობა ასევე 2023-2024 სასწავლო წელს კათედრა გეგმავს პროექტს :“კონფლიქტების მოგვარება“, რომლის ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს შემდეგ საგნებთან: მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონე.

სკოლის თემის მხრიდან მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერა და ღიაობა, თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებული პროცესი ქმნის პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის ინიციატივები, რომლებიც შეიძლება წამოჭრილი იყოს სკოლის თვითმართველობის, სასკოლო კლუბების და ცალკეული მოსწავლეების მიერ არის წახალისებული, მხარდაჭერილი და ხელშეწყობილი სკოლის ადმინისტრაციის მიერ. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად სკოლაში ასევე გამოყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო სივრცე, სადაც მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ საინტერესო იდეებს და მოსაზრებებს. გარდა ამისა სადამრიგებლო საათზე განხილული თემები ხელს უწყობს მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო თემში. სკოლაში ფუნქციონირებს სისტემური მიდგომა მოცემული კრიტერიუმის მიხედვით და პროცესები იმართება ინტეგრირებულად და სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული ჩართულობით. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად.
პოზიტიური კლიმატის მაგალითს სკოლის დონეზე წარმოადგენს კათედრის გუნდურობ, კათედრებს შორის თანამშრომლობა (ინტეგრირებული პროექტების ფარგლებში); კლასში კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები (მაგალითად, რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება შექმენი კომიქსი თემაზე „ჩემი საახალწლო სამზადისი“ აღწერე, როგორ ემზადებით საახალწლოდ, ვინ რას აკეთებს; რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საახალწლო კერძებს გამოარჩევდი? ისაუბრე, რა განსხვავებული საახალწლო წეს-ჩვეულება გვაქვს საქართველოში .); პროექტები; მოსწავლეთა წახალისების მეთოდები (მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი N 4 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი)
- დანართი N9 - სსიპ ქალაქ თბილისის NN175 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა ნაბიჯი კურიკულუმის შემუშავებიდან რევიზიამდე. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს. მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება მათემატიკის კათედრას, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. საბაზო საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს. ხდება მიღებული შედეგების გაანალიზება, ინტერვენციების დაგეგმვა, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს post-ტესტით მოსწმდება, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები და გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები. ყოველ წელიწადს სკოლა ქმნის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც მათემატიკის კათედრის ხელმძღანელი განათავსებს შემუშავებულ კურიკულუმებს, შეფასების სქემებს. აღნიშნული სივრცე ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის. ასევე, სკოლას შექმნილი აქვს ჯგუფი თიმსის პლატფორმაზე, სადაც სკოლის თითოეულ მასწავლებელს აქვს საკუთარი საქაღალდე და მასში განათავსებს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, მატრიცებს, შეფასებებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი წარმოადგენს ვრცელ ანგარიშს, სადაც ასახულია კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დანერგვის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების ინსტრუმენტები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კერძოდ, გამოიკვეთა კონკრეტულ კლასებში რა მიმართულება იყო გასაუმჯობესებელი მათემატიკაში. მათემატიკის კათედრაზე მოეწყო შეხვედრა და დაიწერა თითოეული კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასება, რომელიც აღწერდა მიღწევებსა და პრობლემებს. კათედრაზე განხილულ იქნა რიგი საკითხებისა, რა შეიძლება ყოფილიყო არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზები და დაისახა გადაჭრის გზები. წარმოჩინდა მხარდაჭერა კოლეგებს შორის. მასწავლებლები, რომელთა კლასებმაც უკეთესი შედეგები აჩვენეს, უზიარებდნენ კოლეგებს გამოცდილებას. ტესტების შედეგები გაეცნოთ მშობლებს კრებაზე. მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მშობლებმა დამრიგებლებთან საუბრისასაც უფრო მეტი ყურადღება გაამახვილეს თავიანთი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და აქტიურად ჩართეს ისინიც ამ მიმართულებით დახმარებაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მაგალითად, განხილული დიაგნოსტიკური ტესტის შედეგების საფუძველზე, მასწავლებელებმა ერთად მსჯელობით და განხილვით შეიმუშავეს მიდგომები, აქტივობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ღონისძიებები, ერთმანეთს შეთავაზეს რესურსები, რომლებიც საშუალებას მიცემდა მოსწავლეებში მინიმუმამდე შემცირდეს წარმოჩენილი პრობლემები. მოცემული რჩევების გათვალისწინებით მოხდა აქტივობების განხორიელება. არსებული პრობლემა მარტივად მოგვარებადი არაა, ხანგრძლივ, აქტიურ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს, თუმცა მოსწავლის მონდომებით, მშობლის ჩართულობით, ამის დროის გარკვეულ მონაკვეთში მიღწევა სრულიად შესაძლებელია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **კურიკულუმის ჩარჩოები**
- **დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
- **კათედრის ოქმები.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესის შეფასებით უნდა გაირკვეს მიაღწია თუ არა სკოლამ კურიკულუმით დაგეგმილ შედეგს. რამდენადაც შედეგის მიღწევის პროცესი მრავალ კომპონენტზეა დამოკიდებული, მისი შეფასება უნდა იყოს ავთენტური და ითვალისწინებდეს ამ კომპონენტების ადექვატურ შეფასებას შესაბამისი მეთოდების, ინდიკატორებისა და წყაროების რელევატურად განსაზღვრის საფუძველზე. სკოლას შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებული აქვს და წყაროდ განიხილავს ადამიანურ, ფინანსურ, ტექნიკურ რესურსებს, მეთოდებს, აქტივობებს და თავად დასახულ მიზნებს შეფასებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის შეფასება არის დინამიური პროცესი, ის მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის პარალელურად. შეფასება ვალიდურია თუ ის ითვალისწინებს მრავალ კონტექსტს. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სასკოლო კულტურა. ზოგადად მოიაზრებს თუ არა ის ანალიზის და შეფასების კულტურას, გამოყენებულია თუ არა შეფასების შედეგები მხარდაჭერისთვის და როგორია ეს მხარდაჭრა, როგორ იგეგმება და მიმდინარეობს შეფასება და ა.შ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

შეფასება ძირითადად ეყრდნობა მონიტორინგის პროცესში მოგროვებულ ინფორმაციასა და მონაცემებს. მონაცემების მოგროვება ხდება რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების შედეგად. კვლევაში ჩართულნი არიან ძირითადად მოსწავლეები და მასწავლებლები. მშობლები მონაწილეობენ კვლევებში, თუმცა მათი ჩართულობა არ არის საკმარისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაღალი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. როგორია არსებულ მდგომარეობა და საით მივდივართ; რა გზას და საშუალებებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს და სასკოლო საზოგადოებას განვითარებისთვის; როგორია სასკოლო საზოგადოების პოტენციალი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **კურიკულიმის ჩარჩოები**
- **დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რის მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებისა და განახლების მიზნით. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან“ (გვ:7), რის მიხედვით სკოლა კვლევისა და შეფასების განხორციელებას ახდენს სამი მიმართულებით „მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის დონეზე მასწავლებლების პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება“ (გვ:8), რის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები და დაგროვილი გამოცდილება ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას. შესაბამისად, კათედრაზე იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რომ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შედეგებისა და გამოწვევების მიხედვით აქტიურად ხორციელდება კათედრების თანამშომლობა, რას ასევე წარმოდგენილია კურიკულუმის განხორციელების დოკუმენტში სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების ფუნქციები და პასუხისმგებლობები რაც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და მხარდაჭერის მიხედვით.

წლის ბოლო შეხვედრაზე ხდება განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა და კორექტირება. სადაც გათვალისწინებულია ყველა ის ხარვეზი, რაც განვლილ სასწავლო წელს გამოვლინდა. შემაჯამებელ შეხვედრაზე, გამოვლენილ ხარვეზებს შორის ძირითადი პრობლემად გამოიკვეთა დროის დეფიციტი, რომელიც მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების მოსასმენადაა საჭირო. მასწავლებლები მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობენ და ერთად ზრუნავენ სამომავლოდ არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. კურიკულუმის დახვეწის და კორექტირების მიზნით, ხშირად ხდება შეხვედრები სხვადასხვა ტრენინგზე მიღებული ცოდნის გასაზიარებლად. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება კათედრის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელია მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია, რამდნად არის მიემართული აქტივობები დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. მათემატიკის კათედრასთან თანამშრომლობის საფუძველზე დადგინდება ის საჭიროებები, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს საბაზო საფეხურზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლა ქმნის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შექმნილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხორციელდება კათედრების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია, რომ „ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უსწრებს წინა სასწავლო წელს განვლილი შინაასის/სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება და მონიტორინგი შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია" (გვ:4), რაც ხელს უწყობს მუდმივ თანამშრომლობასა და ინტერაქციას სასკოლო საზოგადოებას შორის და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ცვლილებების შეტანას სასწავლო კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილში. რაც ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა. შესაბამისად სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ კურიკულუმის განხორციელება მუდმივ თანამშრომლობას გულისხმობს დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესებს შორის, რაც ხელს უწყობს აღნიშნული დოკუმენტის მუდმივ განვითარებას წინარე გამოცდილებების მიხედვით. შესაბამისად აღნიშნული კრიტერიუმი შესაბამისობაშია.

ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას სკოლა ითვალისწინებს გასული სასწავლო წლის გამოცდილებას, ხარვეზებს და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს. წარმატებული გამოცდილების მაგალითები მდგრადობის მიზნით გადააქვთ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. გასულ სასწავლო წელს სასკოლო პროექტ „ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეთავაზეს სკოლის ეზოს კეთილმოწყობის პროექტის შექმნა, თანდართული ბიუჯეტის ნაწილით. სკოლამ მათ შესთავაზა დაფინანსება 3000 ლარის მოცულობით. მოსწავლეები შეარჩევდნენ ეზოს ტერიტორიაზე მათთვის სასურველ ადგილს და პროექტის შეფასების კომისიას შესთავაზეს გაწერილი პროექტი. კონკურსის შედეგად შეირჩა ერთი გამარჯვებული კლასი, რომელმაც სკოლის ეზოს ერთი ნაწილი მოაწყო მისი დიზაინით შექმნილი პროექტის ფარგლებში. მოსწავლეთა დაინტერესებიდან და გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე სკოლამ აღნიშნული პროექტი გადაიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, მდგრადობის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დანართი N 4- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- **კურიკულუმის ჩარჩოები**
- **კათედრის ოქმები**

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
საშუალოს საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☒ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.**

სკოლამ წარმოადგინა ‘’სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია’’ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც განსაზღვრავს, რას და როგორ ითვალისწინებს სკოლა სასწავლო წლის დაგეგმვისას. დოკუმენტი განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს სწავლების თითოეული საფეხურისათვის, განვითარების პრინციპებსა და მონაწილე მხარეებს თავიანთი ფუნქციებით. დოკუმენტი კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შემუშავების ნაწილში ყურადღებას ამახვილებს როგორც კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე, ასევე კურიკულუმის დიზაინზე. ორივე ასპექტის დამუშავების მექანიზმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გააზრებას სკოლის ფილოსოფიის ჭრილში. დოკუმენტი ასახავს სასკოლო კურიკულუმის დიზაინის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, მშობლის, კათედრის, დირექციის ჩართულობას, მათი შეხედულებების, შესაძლებლობების და პრორიტეტების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობის გადანაწილება. კურიკულუმის დანერგვა ითვალისწინებს დანერგვის პროცესის მონიტორინგსაც და ეფუძნება კათედრის წევრების და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მიმდინარეობს როგორც სწავლების შედეგების დიგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. სასწავლო სასკოლო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია სრულად აგებულია სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე და მოიცავს წინა სასწავლო წლის გამოცდილების გაანალიზებას, ინფორმაციის მოკრებას, კვლევების, გამოკითხვების, ონლაინ სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

მასწავლებლები სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე უზიარებენ ერთანეთს გამოცდილებას, შეხვედრები ხშირად მიმდინარეობს პარალელური კლასების მასწავლებლებს შორის, სადაც ერთობლივად გეგმავენ თემებს, განიხილავენ და ანალიზებენ პრობლემებს, შეაქვთ ცვლილებები მომავალი წლისთვის კურიკულუმის განვითარების მიზნით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები ადასტურებენ, როგორ მსჯელობენ საგნობრივ კურიკულუმებზე, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესზე, გეგმავენ ცვლილებებს, იზიარებენ სიახლეებს. პედაგოგები აცხადებენ, რომ ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ქოუჩინგის პროცესში და იღებდნენ უკუკავშირს, რაც დაეხმარათ ერონული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასწავლო წლის დაგეგმვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმში ასახულია სკოლის მისია, აღზარდოს ძლიერი ფინანსური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი თაობა, რომელიც ფორმირდება მომავალ მეწარმეებად და ციფრულ მოქალაქეებად მზრუნველ და დემოკრატიულ გარემოში. სკოლის ხედვა უკავშირდება 7-10 წლის შემდეგ ტექნოლოგიური, ფინანსური და სამეწარმეო უნარებით აღჭურვილი ინოვატორების გამოჩენას ასპარეზზე. სკოლის ღირებულებები დამყარებულია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილე მხარეების - მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების დახმარებით დაამკვიდროს ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სამოქალაქო ჩართულობა, სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო, ხელი შეუწყოს ისტორიული და ულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სხვა. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მოტივაციას, ჩართულობას და დისციპლინას. სასკოლო ღონისძიებათა შორისაა პროექტები, საკლუბო აქტივობები და სხვა, რომლებშიც არიან ჩართულნი სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები თუ მშობლები. სკოლა მესამე წელია, ჩართულია "ახალი სკოლის მოდელის" პროექტში, ნერგავს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს. სადამრიგებლო პროგრამები ასახავს მოსწავლეებისათვის აქტუალურ თემებს. საგნობრივი კურიკულუმები ისეა შემუშავებული, რომ წლის განმავლობაში მოსწავლეებმა სხვადასხვა ტიპის დავალებებზე შეძლონ მუშაობა, მათ შორისაა დილემებით სწავლების გამოცდილებაც. სკოლა 2023-24 სასწავლო წლისათვის გეგმავს სხვადასხვა საგანში ჩაატაროს დიაგნოსტიკური წერები, მისი ჩატარების ორგანიზება, მეთოდიკა და შეფასება კათედრების შორის შეთანხმების საფუძველზე იგეგმება. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, დაიგეგმება ინტერვენციები და რემედიაციული ღონისძიებები. დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სკოლის ხედვით განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია და არ მოახდენს გავლენას განმსაზღვრელ შეფასებებზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესებს ასახავს სასკოლო პროექტებიც. წინა წელს სკოლამ განახორციელა სამივე საფეხურის სკოლის მოსწავლეების ჩართულობით სასკოლო პროექტი ''გარემოს დაცვა'', რომლის მიზანი იყო, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის კუთხით. ასევე განხორციელდა სასკოლო პროექტი ''ფინანსური წიგნიერება'', რომლის თემატიკაც შერჩეული იქნა გამოკითხვის საფუძველზე. 2023-24 წლისთვის სკოლა გეგმავს განახორციელოს ახალი სასკოლო პროექტი კონფლიქტების მართვის მიმართულებით. როგორც ინტერვიუდან დასტურდება, სასკოლო პროექტების თემატიკა იცვლება, თუმცა პროექტის მდგრდობის თვალსაზრისით, სასკოლო საზოგადოება კვლავ აგრძელებს წარმატებით განხორციელებული აქტივობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესრულებას. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი, რომელიც 2014 წლიდან არებობს აერთიანებს მე-8 მე-10 კლასების მოსწავლეებს, კლუბს აქვს წესდება და გეგმა, კლუბი მონაწილეობას ღებულობს ილიაუნის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამეცნიერო პიკნიკში. საფუძველი ჩაეყარა რობოტიკის კლუბს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ილიაუნის ტექმეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრთან, კლუბში შეირჩა მე-9 მე-10 კლასის მოსწავლეები, რომელთაც უკვე მიიღეს პირველი გამოცდილება, შეექმნათ რობოტები. პროექტის შედეგები გათვალისწინებული იქნება სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოსწავლეები კი გამოცდილებას გაუზიარებენ კლუბის ახალ წევრებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.
შემუშავებული მეთოდოლოგია არის რეფლექსური და ეს პროცესი ეყრდნობა მასწავლებლების თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისაგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. ასბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმის შემუშავება მოხდა მათემატიკის კათედრაზე, საგნობრივ ჯგუფებში. ყველა პარალელურ კლასში შეტანილია ერთნაირი კომპლექსური დავალებები. ეს საინტერესოა იმ მხრივ, რომ ერთი და იმავე საკითხის მიმართ მოსწავლეთა მიდგომა განსხვავებულია. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები.
ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, მასწავლებლების აქტიური თანამშრომლობით და პარალელურ კლასებში განხორციელებული შუალედური მიზნების მიღწევის ანალიზის საფუძველზე ხდება გამოცდილების კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში Meta Facebook, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფი და სასაუბრო ‘‘ჩათი’’ამავე სოციალურ ქსელში, დაწყებითი საფეხურის კათედრის საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი. შენობის ღია სივრცეს სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის, განათავსებს შესაბამისი ინფორმაციას, ასევე იყენებს სატელეფონო კავშირს. ინფორმაციის მიწოდება ხდება პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც: ბიბლიოთეკაში, საკლასო ოთახებში და შეხვედრების ორგანიზებით. სკოლის ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს ინფორმაციის მოკრების მიზნით ონლაინ კითხვარებს, იღებს სხვადასხვა ინფორმაციებს და უზიარებს კოლეგებს, დაგეგმილია ჩამოყალიბდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების მოყვარულთა კლუბი, აღინიშნოს უსაფრთხო ინტერნეტის დღე 8 თებერვალს.

სკოლაში იგეგმება კათედრების მიერ საგანმანათლებლო პროცესში ახალი ელექტრონული რესურსების გამოყენება, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ტრენინგებსა თუ სემინარებში, ასევე საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების ორგანიზება. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობებსაც, ორგანიზებული იყო ონლაინ შეხვედრები პრაქტიკის კვლევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დოკუმენტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი 33. ციფრული განვითარების გეგმა
- დანართი44. სასპორტო კლუბის წესდება
- დანართი74. რობოტიკის კლუბის წესდება
- ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის წესდება, გეგმა,მასალები პიკნიკისთვის
- სადამრიგებლო პროგრამა მე-10 კლასი
- დანართი 70. სასკოლო პროექტი გარემოს დაცვა
- მშობელთა კითხვარის ანალიზი
- მშობელთა კითხვარი
- დანართი 22. მშობელთა კლუბის დებულება
- სკოლის ფბ გვერდი
- ვებინარების ვიდეოჩანაწერები - პრაქტიკის კვლევა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. მაგალითად, საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში (რუსული,ინგლისური,ფრანგული) წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ტიპის დავალებები: ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება "მეწყვილესთან ერთად მოამზადე სატელეფონო დიალოგი კლიენტსა და სამოგზაურო აგენტს შორს მატარებლის ბილეთის დასაჯავშვნად. წარმოიდგინე, შენს მეგობრებთან ერთად გადაწყვიტე შაბათ-კვირა გაატარო ქალაქ გარეთ. მეგობრებმა შენ მოგანდეს მატარებლის ბილეთების წინასწარ დაჯავშნა. მეწყვილესთან ერთად შეადგინეთ დიალოგი სამოგზაურო აგენტსა და კლიენტს შორის და გაითამაშეთ კლასის წინაშე".

სკოლის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები. ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, განსაზღვრავენ სწავლების გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს, სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრავენ საკითხთა კლასტერებს, აორგანიზებენ რესურსებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც იწვევს მოსწავლის დაინტერესებას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცოდნის დაუფლებისკენ, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ.მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში თემა ურედის ბიოლოგია დამუშავების დროს შეთავაზებულია კონტექტს-მაგალითი ქალაქის სტრუქტურები და ფუნქციები, მაგალითები შედარებისათვის- მემბრანული ტრანსპორტის ფორმები, უჯრედული ორგანოიდების შედარება. კომპლექსური დავალების იდეა კი ნახატის ან მოდელის მიხედვით ქალაქსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უჯრედს შორის მსგავსება/განსხვავების წარმოდგენაა. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვის მაგალითს ასევე წარმოადგენს მე-11 კლასის ბიოლოგიის კურსის თემატური დაგეგმვაც, შერჩეული შუალედური მიზნით გენეტიკური ამოცანების შედგენა მემკვიდრული კანონზომიერების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხური ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მე-10 და მე-11 კლასების და მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოები და დანართის სახით თემატური მატრიცები, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც კათედრის მიერ განხორციელებულია და მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაშიც იგეგმება გარკვეული მოდიფიცირებული სახით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების შემუშავების პროცესში აქცენტი კეთდება სამიზნე ცნების

მკვიდრი წარმოდგენების დაფარვაზე კომპლექსური დავალების კრიტერიუმების მიხედვით, რისი ეტაპობრივად განხორციელებას კათედრა თამატური მატრიცის ეტაპებისა და ნაბიჯების მიხედვით ახდენს. შესაბამისად კათედრაზე აქტიურად ხორციელდება გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.

საშუალო საფეხურის ესთეტიკური

საგნის მუსიკის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (X კლ) , თემები და პროექტები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა -სწავლების პროცესში. არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, მუსიკის საგნის კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილებში სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული პროექტის იდეები. ვინაიდან პროექტული სწავლების სისტემა ახალი დამკვიდრებულია სასკოლო სისტემაში, მასწავლებელთან ინტერვიუს დროს მისი თვითრეფლექსიის საფუძველზე გამოიკვეთა მეტი დაინტერესება პროექტული სწავლების მიმართ და მოტივაცია- მომავალი სასწავლო წლისათვის უფრო შემოქმედებითად საინტერესოდ და ნაყოფიერად წარმართონ და განსაზღვრონ პროექტული სწავლების სტრატეგიები და პროექტის საკვლევად დაგეგმილი აქტივობების ნაყოფიერად და სიღრმისეულად განხორციელება მუსიკასა და ხელოვნებაში.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შემუშავებული კურიკულუმებიც მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.
მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსული,ინგლისური,ფრანგული) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას,იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედობითობას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. მაგ . ფრანგული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება მოამზადე პოსტერი თემაზე: ჩემი ოცნების კომპანიაში სტაჟირება.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემუშავებული კურიკულუმიც ორიენტირებულია საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე , შუალედური მიზნები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათი განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას. მოსწავლეები ჩაერთვებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტიურ შემოქმედებით პროცესებში, მოუწევთ ვარაუდების გამოთქმა, დაკვირვება, დასკვნების გამოტანა, დაფიქრება პრობლემის გადაჭრის გზებზე, ორიგინალური იდეების მოფიქრება, ყურადღების გამახვილება საკომუნიკაცო სიტუაციის მახასიათებლებზე, ურთიერთთანამშრომლობა, დაფიქრება საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით საგნობრივი (ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რაც იძლევა საფუძველს მოსწავლემ გაიაზროს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების კონტექსტი, გამოიწვიოს მოსწავლის ინტერესი, გამოცდილება და გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. სავალდებულო თემების ფარგლებში კურიულუმებში წარმოდგენილია ძირითადი საკითხები/საკითხთა კლასტერები . ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. მაგ: ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ორივე სავალდებულო თემა: ‘ატომის აღნაგობა და ქიიური ბმები და ქიმიური კინეტიკა’’, ჩანს, რომ ორივე თემაში მიმართულად მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, განსაზღვრულია საკითხები, ანალოგიურადაა განსაზღვრული გრძელვადიანი შედეგები მე-12 კლასის არჩევით ნაწილშიც - ასახულია შორის პედაგოგის წინა წლის გამოცდილება და მატრიცის აგების პრინციპები. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ფუნქციურ -კოგნიტური უნარების განვითარებას.

მაგ; მე-10 კლასის ბიოლგიის კურიკულუმში მოყვანილი კომპლექსური დავალება იწვეევს ინტერესს,ფანტაზიის განვითარებას, შემოქმედებითობას, ქიმიის კომპლექსური დავალება მე-10 კლასში ქიმიური რეაქციის ფაქტორების დადგენა ექსპერიმენტების გზით გაზრდის მოსწავლის ჩართულობას, მისი კომპეტენციების ზრდას და ხელს შეუწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. სასწავლო შედეგების მიღწევას სკოლა გეგმავს არაფორმალური ფორმითაც, მაგ: სკოლის ბაზაზე ფუნქცონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში კვლევის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას, ინიციატივის შემუშავებას და გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას,რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაუმჯობესებას. კლუბი 2014 წლიდან ფუნქციონირებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონაწილეობას იღებს სამეცნიეროპიკნიკებში, გეგმვს ფართო საზოგადოებისათვის წარსადგენ ექსპერიმენტებს, ამ ტიპის აქტივობები ხელს შეუწყობს კლუბის წევრ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში კურიკულუმებიც ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.
კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

- ✓ **შემოქმედებითობა** - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.
- ✓ **კრიტიკული აზროვნება** - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

- ✓ **კომუნიკაცია** - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელო-ას, კონტექსტუალიზებას და გამოხატ-ის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალური/არა ვერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.
- ✓ **კოლაბორაცია** - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პა-სუ-ხის-მ-გებ-ლო-ბის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.
- ✓ **მოქალაქეობა** - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.
- ✓ **ხასიათი/ნებელობა** - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემოთავაზებული მრავალფეროვანი რესურსები და სასწავლო მასალა იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას. ინტერვიუზე პრაქტიკის გაზიარებისას მასწავლებელმა დაასახელა მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად გამოყენებული ინსტრუმენტები ყოველდღიური დაკვირვება, კომპლექსური დავავლებების განმავითარებელი შეფასებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მოიყვანა მაგალითები თუ როგორ ახდენენ დავალების ადაპტაციას. აღსანიშნავია კათედრაზე სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდ. სასწავლო გეგმებს. კათედრაზე დაგეგმილი პროექტები ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სკოლა დიფერნენცირებული/ინკლუზიური მიდგომებისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: შექმნილია მოქნილი სასწავლო სივრცე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს გამოხატოს თავისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოყოფილია საკლასო ოთახი, სადაც მიმდინარეობს განრიგის მიხედვით საბუნებისმეტყველო დისციპლინებში დაგეგმილი ლაბორატორიული სამუშაოები. სკოლა განთავსებულია ორ კორპუსში, მეორე კურპუსში ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიიისა და ბიოლოგიის ლაბორატოორიები, სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით (მათ შორის საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული) სარგებლობის წესები. ლაბორატორიები განთავსებულია ცალკე სართულებზე, აქვს ადაპტირებული მისადგომი (ლიფტი). სკოლაში ფიზიკის სამი კაბინეტია, მათგან ერთი შედარებით მცირე მოცულობისაა და საცავის ფუქციააქვს, სადაც მასწავლებლები ინახავენ პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებს, მოდელებს. ანალოგიურადაა ორგანიზებული ქიმიის სამი კაბინეტი, სადაც ცალკე საცავში ინახება ქიმიური რეაგენტები, ჭურჭელი, ცეცხლმაქრი ბალონი, ქვიშის ყუთი და ხაძრსაწინააღმდეგო ნაჭერი, რკინის სეიფში შენახულია აგრესიული მჟავები, საცავში მოწყობილია სველი წერტილი და ჭურჭლის საშრობი კედელი, ორგანიზებულია ექსპერიმენტისათვის საჭირო ეკიპირება, ხელთათმანები, სათვალე, თეთრი ხალათები, მუშაობს ამწოვი კარადა. ქიმიის საცავში საკმარისი რაოდენობით არის ჭურჭეიც და რეაგენტებიც, რაც იძლევა საშუალებას, დაიგეგმოს და ჩატარდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცდები. ცალკე საკლასო ოთახებადაა ორგანიზებული ბიოლოგიის კაბინეტები, მათგან ერთი მოწყობილია სველი წერტილით. კაბინეტებში დაცულია მოდელები, ხელსაწყოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა ინვენტარი, მათ შორისაა როგორც აინშტაინის ლაბორატორიის ფარგლებში არსებული ერთეულები, ასევე წინა წლების მასალები. ინახება მოსწავლეთა გამორჩეული ნამუშევრები. თითოეული საგნის კაბინეტები სართულზე ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული,ყველა იკეტება, აღჭურვილია ტექნიკით, ტარდება მხოლოდ შესაბამისი საგნის გაკვეთილები, საცავთან წვდომა აქვთ მხოლოდ მასწავლებლებს. საცავში არსებული მასალები საჭიროებს ყოველწლიურ ინვენტარიზაციას.

სასწავლო კურიკულუმები საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო საფეხურზე აგებულია კონსტრუქტივისტული პრინციპით, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შეთავაზებული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში (მაგ: ქიმიის მე-11 კლასის კურიკულუმში თემაში ''ელექტროქიმია, ჟანგვა-აღდგენის რეაქციები'' ორგანიზებულია სამი რესურსი, მათ შორის ძირითადი რესურსი სახელმძღვანელო, ასევე ვიდეორესურსი ტელესკოლის გაკვეთილი, ck-12 საერთაშორისო საგანმანათლებლო ელექტრონული პლატფორმის მასალები. ფიზიკისა და ქიმიის კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამოკიდებულება. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმიდან გამომდინარე, კათედრა აღნიშნავს, რომ 2022-23 წელს განახორციელა კომპლექსური დავალებები, ჩამოაყალიბა შუალედური მიზნები საშუალო საფეხურზე. კათედრა გეგმავს, დანერგოს დიაგნოსტიკური შეფასებები და გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი.

ფიზიკური აღზრდასა და სპორტში ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები.

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები გვეხმარება დავინახოთ თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე გვაჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით. კათედრას წარმოდგენილი აქვს კომლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,რომლებიც მიემართება უცხოური ენების სტანდარტიტ გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ უზიარებენ კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა გაგვიზიარა პრაქტიკა კომბინირებული შემაჯამებელი დავალებების (დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს :ტექსტი, სამეტყველო ქმედებას , ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი.) საფუძველზე მოსწავლეთა შეფასების შესახებ. ასევე კათედრა გეგმავს განმსაღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ფიზიკასა, ბიოლოგიასა და ქიმიაში,მოსწავლის სწავლის შედეგების ტაქსონომია გამოხატულია სხვადასხვა დონით, შეწონილია ქულებით და მიემართება სამიზნე ცნებებს, აღნიშნული რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასება იყოს ორინეტირებული ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში,რომლის მიხედვითაც მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის ინდივიდუალურად შეფასება კომპლექსურ დავალებაში სამი დონის მიხედვით, ჩაინიშნოს და დააკვირდეს მოსწავლის მონაწილეობის ხარისხს, შეაფასოს მოსწავლის პროგრესი კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში თემების მიხედვით. საბუნებისმეტყველო კათედრის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, სიტყვიერი კომენტარით ზიარდება ინფორმაცია კათედრაზე მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, სამომავლოდ აპირებენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენას თემატურ მატრიცაზე და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაყრდნობით. კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასებები და მიღებული მონაცემები გამოიყენოს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისა და რეფლექსიისათვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილია ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასება დაფუძნებულია ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო გეგმის მიღწევების ტაქსონომიაზე, რისი ნიმუშებიც კათედრამ წარმოადგინა აღნიშნული სამივე საგნის მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან შექმნილია საფეხურის ინდიკატორებზე დაფუძნებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესი დაფუძნებულია მოსწავლეთა მიღწევების ანალიზსა და განვითარებაზე, სადაც კათედრის თითოეული პედაგოგი აქტიურად არის ჩართული რაც ხელს უწყობს სანდო, გამჭირვალე და ვალიდური შეფასების მექანიზმის განხორციელებასა და დანერგვას.

ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც საშუალო საფეხურზე კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წ არმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ზეპირმეტყველების, წერითი ნამუშევრის, პრეზენტაციის, რეფერატის) , რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს და შესაბამისად , მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებს. □ედაგოგებს აქვთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენების გამოცდილებაც, □ერჩეულ კომპლექსური დავალებასთან მიმართებაში კათედრაზე შემუშავდება რუბრიკები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან, განისაზღვრება მოლოდინები განმავითარებელი შეფასებისთვის და თითოეული კრიტერიუმის შესაბამისი ქულა შემაჯამებელი დავალების შემთხვევაში.

ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებშცი გათვალისწინებულია კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრებზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების, მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები.

სკოლა ორი წლის წინ ჩაერთო პროექტში ''ახალი სკოლის მოდელი'', კათედრებზე განხორციელდა კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია მატრიცის ნიმუშები. მაგათილად, მეათე კლასის ბიოლოგიის მატრიცაში ჩანს კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები, დეტალურადაა გაწერილი ნაბიჯები, კითხვები, რაც ადასტურებს წინარე გამოცდილებას. ქიმიისა და ფიზიკის მე-10-მე-11 კლასის დაგეგმვისას კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. სასწავლო წლის მანძილზე ინფორმაციის მოგროვების შედეგად, კათედრაზე ხდება კურიკულუმის ცვლილებების წარდგენა, გადაიხედება მეთოდოლოგია, აქტივობები, რესურსები. საბოლოოდ, ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება კურიკულუმის სამუშაო ვერსიაში, შემდეგ კი მტკიცდება პედსაბჭოს მიერ. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომელთა შედეგების მიხედვით, სკოლა გეგმავს, გააგრძელოს წარმატებული აქტივობები და დანერგოს პრაქტიკაში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

2022-2023 სასწავლო წელს ესთეტიკური აღზრდის საგნებში პროექტული სწავლება შევიდა საშუალო საფეხურზე, აქედა გამომდინარე წინარე გამოცდილება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანის მიერ განხორციელებულ პროექტში. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებენ მეთოდურ სახელმძღვანელოს და ამუშავებენ მოცემულ საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას დოკუმენტაციაში ასევე ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-24 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტი
- შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კათედრების შემაჯამებელი ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

ს აგნების მიხედვით წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. ინტეგრირებული გაკვეთილების, საკლასო აქტივობების, კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით , რაც კიდევ უფრო სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, თითოეულ მოსწავლეს აძლევს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას, ავითარებს შემოქმედებით უნარებს . და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალო საფეხურის პედაგოგებს გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატიკაზე. თემა , როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლისთვის ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ხდება მათი მოდიფიცირება. სასწავლო მასალა, ძირითადი და დამატებითი რესურსები, კონტექსტმაგალითები მასწავლებლის ფასილიტატორობით აძლევს მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდას . წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით დაწყებით საფეხურზე გამოიყენება შესასვლელი ბილეთები, გონებრივი იერიში , ფრონტალური კითხვები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; მეტაკოგნიტური უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება თვითშეფასების კითხვარები, კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას დასასმელი შეკითხვების ბანკი, კვირის გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ სავალდებულო, ნებაყოფლობითი და არჩევითი დავალებები და თავად უწევთ სამუშაო პროცესის დაგეგმვა კვირის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4 . სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, საგნობრივი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სკოლას აქვს პროექტული სწავლების განხორციელების გამოცდილება (მაგ. ფინანსური წიგნიერება), რომელიც ავითარებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს და ხელს უწყობს პირობისეული ცოდნის გააქტიურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე და შერჩეულ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ის ძირითადი ქვეცნებები და ქვესაკითხები, რომელთა დამუშავებაც უწევს მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. კომპლექსური დავალების პროდუქტის სახით მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად წარმოაჩენს საგნობრივ ცოდნას.. პედაგოგი კი ფასილიტაციას უწევს მას ამ პროცესში. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების კარგი მაგალითია წარმატებით განხორციელებული სასკოლო პროექტები: „ფინანსური წიგნიერება“, „გარემოს დაცვა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშულო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში საშუალო საფეხურზე დაგეგმილია სწავლების გრძელვადიანი მიზნები. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. წარმოდგენილია კავშირები სამიზნე ცნებას, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და მასალა/რესურსებს შორის. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ზოგიერთ კურიკულუმში მოცემულია ქვეცნებებიც, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ:
მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში საკითხის უჯრედის სტრუქტურული კომპონენტები შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები : პლაზმური მემბრანისა და ბირთვის აგებულება და ფუნქციები, მემბრანული ტრანსპორტი, ბირთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როლი სასიცოცხლო პროცესების რეგულაციაში, გენეტიკური დაავადებები, პროკარიოტები და ეუკარიოტები . მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე - სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისებები, ჯანმრთელობა და დაავადება და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. კურიკულუმში გაწერილია მიზნის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯები, სრულადაა მოცემული დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები, განსაზღვრულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, სადაც ჩანს ესგ მისაღწევ შედეგებთან კავშირი მოცემული შუალედური მიზნის საფუძველზე. ჩარჩოში მითითებული რესურსები და სკოლის ბიოლოგიის ლაბორატორიაში არსებული მასალები ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის გათავისებას გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში.

ინდიკატორის მტკიცებულებად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც წარმოდგენილია საშუალო საფეხურის უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში. მაგ. რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება დაწერე ესე და იმსჯელე არგუმენტირებულად, ძეგლის დემონტაჟი ვანდალური აქტია, წარსულის გადაფასება თუ უბრალოდ დრო მოითხოვს განახლებას? ვინ უნდა გადაწყვიტოს ძეგლების დემონტაჟის საკითხი? ძეგლის დემონტაჟის გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა იქნას თუ არა გათვალისწინებული მისი როგორც ხელოვნების ნიმუშის ფასეულობა? როგორ ფიქრობ, ვის უნდა დაუდგან ძეგლი, ან იქნებ საერთოდ არ ღირს ძეგლების დადგმა, რათა შემდეგ არ გახდეს საჭირო მათი დემონტაჟი?

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**

საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. ასევე კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება მათი პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარება (მაგ. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური ბუნების დავალება ესეების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაწერე ესე: Some people would like to stay in

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

their hometown all their lives, others would like to move somewhere else. Which one would you like to do?); ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია კათედრაზე პროექტების,საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა.

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება, სადაც სწავლის პროცესი ორიენტირებულია ისეთ საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. სწავლა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზება არ არის, მოსწავლე იზრდება და ვითარდება ფიზიკურად და პიროვნულად, მისი სოციო-ემოციური სფეროს განვითარება აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო გარემოში. საგაკვეთილო პროცესში კომპლექსური დავალებების შესრულების დროს მოსწავლეს უწევს ითანამშრომლოს თანატოლებთან, დაამყაროს ჯანსაღი ურთიერთობები, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვისი აზრის მიმართ. მოსწავლეს სჭირდება ინდივიდუალური და გუნდური პასუხიმგებლობის გააზრება ისე, რომ თანხვედრაში იყოს ღირებულებებთან. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას, შესთავაზოს მოსწავლეს მის ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო პროცესი. კომპლექსური დავალებები, ამ დავალებების შესრულებისას შესაბამისი კონტექსტ-მაგალითების მოშველიება, მოყვანილი მაგალითები შედარებისათვის ხელს უწყობს მოსწავლეს საგნობრივი კონტექსტის საფუძველზე განივითაროს პიროვნული და სოციალურ-ემოციური უნარები. მეორე მხრივ საგნობრივ კლუბებში გაერთიანება იძლევა საფუძველს, მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი ინტერესები და განივითაროს თვალსაწიერი თანამოაზრეთა სოციუმში. სკოლის მერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში თავისი ადგილი უჭირავს სასკოლო პროექტებსაც, რომელიც ერთი პრიორიტეტული თემის ირგვლივ თავს უყრის აქტივობებს საგნებისა და საფეხურების მიხედვით. ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ მასწავლებლებისთვის არახალია სასკოლო პროექტებზე და კლუბური მუშაობა, მოსწავლეებმა უკვე შექმნეს თავისი პროდუქტები, აქვთ მიღწევები. მაგ: რობოტიკის კლუბის მუშაობის ამსახველ დოკუმენტში აღწერილია აქტივობები, თანამშრომლობა ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე სპეციალისტებთან, მოსწავლეთა უკუკავშირები. ანალოგიურად, ახალგაზრდა აღმომჩენთა კლუბში მრავალწლიანი მუშაობა, ერთობლივად განხორციელებული აქტივობები (მაგ. სამეცნიერო პიკნიკზე მოსწავლეთა მიერ ექსპერიმენტების წარდგენა) ემსახურება მოსწავლის განვითარებას აღნიშნული სპექტრით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უშუალოდ ვიზიტისას, გასაუბრების დროს სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მათ პიროვნულ განვითარებაზე. მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გადმოსცეს საკუთარი დამოკიდებულება, გამოხატოს ემპათია, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.**

რის საფუძველსაც იძლევა საგნობრივ კურიკულიმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრამ სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის აირჩია მეოთხე ინსტრუმენტი- განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზის საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება ,რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკები (ზეპირმეტყველების, წერითი დავალების, პრეზენტაციის...), რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება ითვალისწინებს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, ფასდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა უნარი. განხორციელებული სასკოლო პროექტები მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარების აქტუალურ ასპექტებს. , ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებას. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კურიკულუმის ჩარჩოებთან ერთად, კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, მაგ: ფიზიკაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ესგ მისაღწევ შედეგთან (სამიზნე ცნება ძალა და ფიზიკური პროცესი) კავშირში, მასწავლებელი განსაზღვრავს, რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს მოცემულ სამიზნე ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირში. მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაში თავის წვლილს შეიტანს დიაგნოსტიკური შეფასებებიც, რომელსაც სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**

ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს იყენებს. მასწავლებლები იყენებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შესაბამის რუბრიკებს; რომელიც ადგენს სწავლის შედეგის ხარისხს. რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

უშუალოდ ვიზიტის დროს გამართულ გასაუბრებაზე გამოვლინდა, რომ სკოლის პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების სისტემა სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები 2023-2024 წლისთვის ერთობლივად, ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავეს შეფასების რუბრიკები კათედრაზე შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში. შემუშავებულ რუბრიკებში გათვალისწინებულია კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან,.მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნამუშევრები.

კომპლექსური დავალებების განხორციელების წინ მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს აცნობს (მშობლის ბარათების საშუალებით, იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Teams) როგორც დავალების პირობას, ასევე შეფასების რუბრიკებსაც. კურიკულუმის ჩარჩოებთან ერთად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მასწავლებელთა ინტერვიუები ხარისხის ჯგუფის დასწრების საფუძველზე გაკეთებული უკუკავშირების შესახებ იძლევა საფუძველს, რომ სკოლის შეფასების სისტემა შეძლებს, აწარმოოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

სკოლას აქვს დამტკიცებული დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი.
პედაგოგებთან შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან, კეთდება ანალიზი უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში ეძლევა უკუკავშირი.
როგორც თვითშეფასების კითხვარშია აღნიშნული სკოლა შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას ახდენს შემაჯამებლის ანალიზით. სკოლა შემაჯამებლის ანალიზით ახდენს მოსწავლეთა პროგრესისა და რეგრესის შეფასებას. ახდენენ მონიტორინგს, დავალების რომელი ტიპი იყო ადვილად დასაძლევი და რომელი გაუჭირდა კლასის უმეტესობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

პედაგოგებთან გასაუბრების და თვითშეფასების კითხვარში სკოლის მიერ დაფიქსირებული პოზიციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და დოკუმენტირებას რამდენიმე ხერხით ახორციელებს. მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით აფასებენ მოსწავლეებს. გარდა ამისა, სკოლას აქვს დოკუმენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის ერთიანი ფორმა. Teams-ის პლატფორმაზე შექმნილია ჯგუფი, სადაც თავმოყრილია პორტფოლიოები კლასების მიხედვით, სადაც ყველა მასწავლებელს გააჩნია საკუთარი პორტფოლიო, სადაც თავმოყრილია დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო კურიკულუმი;
- კურიკულუმების ჩარჩოები საშუალო საფეხურზე ;
- კათედრების შემაჯამებელი ოქმები,
- შეფასების რუბრიკები
- რობოტიკის კლუბის წესდება
- ახალგაზრდა აღმომჩენთა კლუბის წესდება, გეგმა
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კათედრების სამუშაო გეგმები
- კათედრების წლიური ანგარიშები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო რომლის მაგალითებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია საინტერესო თემები, შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, მაგ. ინგლისური ენის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალება დაწერე სტატია მშობლიური ქვეყნის განათლების სისტემის/სკოლის შესახებ, კანონით რა ასაკიდან იწყებენ/ ამთავრებენ სწავლას, რა საგნები ისწავლება, სკოლის დასრულების შემდეგ სად აგრძელებენ სწავლას და სხვა. შეადარე უცხოური ქვეყნის (მაგ., ამერიკა, დიდი ბრიტანეთი) განათლების სისტემას, ისაუბრე მსგავსება განსხვავებებზე, გამოხატე შენი დამოკიდებულება: რა მოგწონს/რას შეცვლიდი შენი ქვეყნის განათლების სისტემაში. ორი კულტურის შედარება გაუღრმავებს მოსწავლეებს კულტურული კუთვნილების განცდას, გააცნობიერებინებს კულტურულ მრავალფეროვნებას, ასწავლის საკუთარი და უცხოური კულტურის დაფასებას განუვითარებს მიმღებლურ თვისებებს. სასურველია გაიზარდოს დავალებები სადაც დამუშავდება კულტურათა დიალოგი; მრავალფეროვანი რესურსები; მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვა(დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა და პრაქტიკა. ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან) ; ასევე აღსანიშნავია კათედრაზე პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების პრაქტიკა. 2023-2024 სასწავლო წელს კათედრას დაგეგმილი აქვს პროექტი:"კონფლიქტების მოგვარება", რომლის ფარგლებში აქტივობები განხორციელდება ინტეგრირებულად შემდეგ საგნებთან : მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მოსწავლეებს აქვთ ხმა და არჩევანი იმის განსაზღვრისას , თუ როგორ,როდის და სად ხდება სწავლა. მათი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ამის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები. სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები (ინტერვიუზე დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე,ინდ. სასწავლო გეგმებით სასწავლო პროცესის წარმართვა სსსმ მოსწავლეებთან) ; ასევე აღსანიშნავია პროექტები , ინტეგრირებული გაკვეთილები.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, რაც დასტურდება სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით სხვადასხვა პროექტებში, იმიტირებულ პროცესებში, კონფერენციებში და საერთაშორისო პროექტებში. სკოლის მოსწავლეები მიწვეულები იყვნენ ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა აშშ, ესტონეთი, ფინეთი, პოლონეთი, თურქეთი. სკოლაში საბაზო საფეხურზე ფუნქციონირებს ,,ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი“ სადაც მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს და კლუბის ფარგლებში ყოველ წლიურად იღებენ მონაწილეობას ,,ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკზე“, რომელიც იმართება შემოდგომაზე. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით კლუბის წევრები სკოლის ეზოში აწყობენ საჩვენებლ შოუებს. ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა რობოტიკის კლუბი და სხვ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რის მაგალითსაც წარმოადგენს კათედრის წევრების გუნდური თანამშრომლობა. კლასის ფარგლებში კომპლექსური ბუნების დავალებები ; სკოლის ფარგლებში ინეგრირებული პროექტები(აღსანიშნავია 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებში საკოლო პროექტბში ,,ფინანსური წიგნიერება წარმატებული მომავლისთვის“ და ,,გარემოს დაცვა“ კათედრების ერთობლივი ჩართულობა ასევე 2023-2024 სასწავლო წელს კათედრა გეგმავს პროექტს :“კონფლიქტების მოგვარება“, რომლის ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს შემდეგ საგნებთან: მოქალაქეობა, ისტორია, ბუნებისმეტყველება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის პრაქტიკაში სასწავლო პროცესში ხშირია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შეთანხმება გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობების თაობაზე, ისე რომ მასწავლებელი არ სცდება სასწავლო მიზანს, რაც თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარების გამოვლენაა. ეს შეიძლება იყოს შეთანხების საფუძველზე ფორმალური გარემოდან არაფორმალურ გარემოში გადანაცვლება. მასწავლებლებს შორის მეთოდოლოგიაზე შეთანხმება, კომპლექსური დავალების პირობაში წარმოდგენილი საბოლოო პროდუქტის შერჩევა და სხვ. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის ერთობლივად შემუშავების და მის დანერგვაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს ასევე კათედრებზე კომპლექსური დავალებების ერთობლივ დაგეგმვას, სასწავლო და სასკოლო პროექტებს და სხვ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რის მაგალითს წარმოადგენს სკოლაში-კათედრის გუნდურობა. კათედრებს შორის თანამშრომლობა (ინტეგრირებული პროექტების ფარგლებში); კლასში კი საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ; პროექტები; მოსწავლეთა წახალისების მეთოდები(მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები) .

სკოლის თემის მხრიდან მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერა და ღიაობა, თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე დაფუძნებული პროცესი ქმნის პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის ინიციატივები, რომლებიც შეიძლება წამოჭრილი იყოს სკოლის თვითმართველობის, სასკოლო კლუბების და ცალკეული მოსწავლეების მიერ არის წახალისებული, მხარდაჭერილი და ხელშეწყობილი სკოლის ადმინისტრაციის მიერ. პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად სკოლაში ასევე გამოყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო სივრცე, სადაც მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ საინტერესო იდეებს და მოსაზრებებს. გარდა ამისა სადამრიგებლო საათზე განხილული თემები ხელს უწყობს მოსწავლეების ინტეგრაციას სასკოლო თემში. სკოლაში ფუნქციონირებს სისტემური მიდგომა მოცემული კრიტერიუმის მიხედვით და პროცესები იმართება ინტეგრირებულად და სასკოლო საზოგადოების კოორდინირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩართულობით. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები
- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი N 4 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დანართი N9 - სსიპ ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- განხორციელებული სასკოლო პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა ნაბიჯი კურიკულუმის შემუშავებიდან რევიზიამდე. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს. მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება მათემატიკის კათედრას, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. საშუალო საფეხურზე მეათე და მეთერთმეტე კლასებში ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს. ხდება მიღებული შედეგების გაანალიზება, ინტერვენციების დაგეგმვა, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს post-ტესტით მოსწმდება, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები და გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები. ყოველ წელიწადს სკოლა ქმნის ღრუბლოვან სივრცეს, სადაც მათემატიკის კათედრის ხელმძღანელი განათავსებს შემუშავებულ კურიკულუმებს, შეფასების სქემებს. აღნიშნული სივრცე ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისთვის. ასევე, სკოლას შექმნილი აქვს ჯგუფი თიმსის პლატფორმაზე, სადაც სკოლის თითოეულ მასწავლებელს აქვს საკუთარი საქაღალდე და მასში განათავსებს სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, მატრიცებს, შეფასებებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მასწავლებელი წარმოადგენს ვრცელ ანგარიშს, სადაც ასახულია კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი დადებითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუმჯობესებელი მხარეები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასების ინსტრუმენტები. მათემატიკის კათედრა მათემატიკის თითოეული კლასის კურიკულუმის დანერგვის პროცესში იხელმძღვანელებს ახალი მეთოდოლოგიით. სკოლას გააზრებული აქვს რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება, ამიტომ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს შესაბამის დოკუმენტს, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული მიმდინარე პროცესები, რომელიც მოიცავს მიზნის და ამოცანების განსაზვრას, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, გამოიკვეთება პასუხისმგებელი პირები, თითოეული ინდიკატორის მონაცემების შეგროვებაზე და ბოლოს მოხდება ანალიზისა და ანგარიშის გეგმის შედგენა, რომელიც წარედგინება სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კერძოდ, გამოიკვეთა კონკრეტულ კლასებში რა მიმართულება იყო გასაუმჯობესებელი მათემატიკაში. მათემატიკის კათედრაზე მოეწყო შეხვედრა და დაიწერა თითოეული კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასება, რომელიც აღწერდა მიღწევებსა და პრობლემებს. კათედრაზე განხილულ იქნა რიგი საკითხებისა, რა შეიძლება ყოფილიყო არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზები და დაისახა გადაჭრის გზები. წარმოჩინდა მხარდაჭერა კოლეგებს შორის. მასწავლებლები, რომელთა კლასებმაც უკეთესი შედეგები აჩვენეს, უზიარებდნენ კოლეგებს გამოცდილებას. ტესტების შედეგები გაეცნოთ მშობლებს კრებაზე. მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მშობლებმა დამრიგებლებთან საუბრისასაც უფრო მეტი ყურადღება გაამახვილეს თავიანთი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და აქტიურად ჩართეს ისინიც ამ მიმართულებით დახმარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნული პრაქტიკა კარგი გამოცდილებაა მათემატიკის კათედრისთვის, რომლის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას აპირებს სკოლა მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას. მათემატიკის კათედრაზე განხილული დიაგნოსტიკური ტესტის შედეგების საფუძველზე, მასწავლებელებმა ერთად მსჯელობით და განხილვით შეიმუშავეს მიდგომები, აქტივობები, ღონისძიებები, ერთმანეთს შეთავაზეს რესურსები, რომლებიც საშუალებას მიცემდა მოსწავლეებში მინიმუმამდე შემცირდეს წარმოჩენილი პრობლემები. მოცემული რჩევების გათვალისწინებით მოხდა აქტივობების განხორიელება. არსებული პრობლემა მარტივად მოგვარებადი არაა, ხანგრძლივ, აქტიურ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს, თუმცა მოსწავლის მონდომებით, მშობლის ჩართულობით, ამის დროის გარკვეულ მონაკვეთში მიღწევა სრულიად შესაძლებელია.
სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელბებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კერძოდ, გამოიკვეთა კონკრეტულ კლასებში რა მიმართულება იყო გასაუმჯობესებელი მათემატიკაში. მათემატიკის კათედრაზე მოეწყო შეხვედრა და დაიწერა თითოეული კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასება, რომელიც აღწერდა მიღწევებსა და პრობლემებს. კათედრაზე განხილულ იქნა რიგი საკითხებისა, რა შეიძლება ყოფილიყო არასასურველი შედეგების გამომწვევი მიზეზები და დაისახა გადაჭრის გზები. წარმოჩინდა მხარდაჭერა კოლეგებს შორის. მასწავლებლები, რომელთა კლასებმაც უკეთესი შედეგები აჩვენეს, უზიარებდნენ კოლეგებს გამოცდილებას. ტესტების შედეგები გაეცნოთ მშობლებს კრებაზე. მშობლების, როგორც სასკოლო საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წევრების მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მშობლებმა დამრიგებლებთან საუბრისასაც უფრო მეტი ყურადღება გაამახვილეს თავიანთი შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და აქტიურად ჩართეს ისინიც ამ მიმართულებით დახმარებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მათემატიკის კათედრის ოქმები.
- კურიკულუმის ჩარჩოები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომებს და სრული სურათის დანახვა უკეთესადაა შესაძლებელი. სკოლაში არსებობს შეფასების ისეთი

ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა, როგორიცაა თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება წინასწარ შემუშავებული რუბრიკის მიხედვით, მოსწავლის უკუკავშირი, მასწავლებლის რეფლექსია და დიაგნოსტიკური წერები. რამდენიმე წლის წინ სკოლა ჩართული იყო პროექტში „სკოლის თვითშეფასება განვითარებისთვის“ სადაც გერმანელი ექსპერტისაგან მოგვეწოდა გაკვეთილის შეფასების ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლის/მასწავლებლის მხრიდან გაკვეთილის შეფასებას ერთი და იგივე კითხვარის საშუალებით. სკოლას მიაჩნია შეფასების ამ ფორმის დანერგვა მომავალი სასწავლო წლიდან მრავალფეროვანს და ეფექტურს გახდის სკოლაში შეფასების სისტემას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლას გადაწყვეტილი აქვს უფრო ეფექტურად დაამკვიდროს გაკვეთილებზე დაკვირვების პრაქტიკა საშუალო საფეხურზე. გააზიაროს მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებით საფეხურზე საერთაშორისო ორგანიზაცია USAID ის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვებები, რომლებმაც დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს საშუალება მისცა პრაქტიკის გაუმჯობესების. მათი რეფლექსიებიდან იკვეთება გაკვეთილებზე დაკვირვების დადებითი მხარეები. ამიტომ მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლის სურვილია საშუალო საფეხურზე გაკვეთილზე აქტიური დაკვირვების პრაქტიკის დანერგვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ერთი საგაკვეთილო პროცესიდან გამომდინარე შეუძლებელია მოსწავლის შეფასება შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე. ყველაფერს აქვს კონტექსტური ბუნება და ამიტომ საინტერესო მონაცემების შეგროვების საშუალებას იძლევა მოსწავლეთა დაკვირვება არასაგაკვეთილო პროცესის დროს, თანატოლებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობაში. მნიშნელოვანია გათვალისწინებული იქნას მშობლებისაგან მიღებული ინფორმაცია ბავშვის მისწრაფებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები არაფორმალური განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესებში, რომელიც ითვალისწინებს კლუბურ მუშაობას და პროექტებში მონაწილეობას. სრულყოფილი ინფომაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში დანახვა და მისი შეფასებაც მრავალმხრივი და საინტერესო გახდება. სასწავლო პროცესის შეფასება არის დინამიური პროცესი, ის მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის პარალელურად. შეფასება ვალიდურია თუ ის ითვალისწინებს მრავალ კონტექსტს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.
შეფასება ძირითადად ეყრდნობა მონიტორინგის პროცესში მოგროვებულ ინფორმაციასა და მონაცემებს. სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს ინფორმაციის რაოდენობრივ და თვისებრივ შეგროვების მეთოდებს, რაც ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების ფართოდ გავრცელებულ მეთოდებს, როგორებიცაა: გამოკითხვა, ინტერვიუ, დაკვირვება და ფოკუსჯგუფი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

საშუალო საფეხურზე მათემატიკის სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ხშირად გამოიხატება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით. დაკვირვება ხორციელდება ფოკუსირებულად, ხშირად ახდენენ დაკვირვებას შეფასებაზე, იყენებენ წინასწარ შემუშავებულ დაკვირვების რუბრიკას. რაც შეეხება მოსწავლეების შეფასებას, იგი ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველა მოსწავლე უნიკალური და ინდივიდუალურია თავისი შესაძლებლობებით. შეფასების სისტემა კონკრეტული დავალების ფარგლებში ყველასთვის საერთოა, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, სკოლაში არიან მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით. წლის დასაწყისში მასწავლებლები ადგენენ მათ შესაძლებლობებზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით ამა თუ იმ საგნის ფარგლებში. მოსწავლეებისთვის დგინდება ინდივიდუალური და მათ შესაძლებლობებზე მორგებული ყოველდღიური თუ კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, შეფასების სისტემაც ჰოლისტურ ხასიათს ატარებს. სკოლა ცდილობს, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სასწავლო პროცესის მიღმა და შეექმნას თითოეული მათგანს შესაბამისი პირობები სწავლისთვის. მსგავსი მიდგომა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, რომ დარწმუნდეს თავის შესაძლებლობებში, მიეცეს მოტივაცია, იყოს კლასის/სკოლის სრულფასოვანი წევრი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N63 - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის ჩარჩო
- თემატური მატრიცები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

წელიწადში რამდენიმეჯერ ხდება კათედრის წევრების შეკრება და ცოდნის გაზიარება. წლის ბოლო შეხვედრაზე ხდება განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმის გადახედვა და კორექტირება. სადაც გათვალისწინებულია ყველა ის ხარვეზი, რაც განვლილ სასწავლო წელს გამოვლინდა. შემაჯამებელ შეხვედრაზე, გამოვლენილ ხარვეზებს შორის ძირითადი პრობლემად გამოიკვეთა დროის დეფიციტი, რომელიც მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების მოსასმენადაა საჭირო. მასწავლებლები მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობენ და ერთად ზრუნავენ სამომავლოდ არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. კურიკულუმის დახვეწის და კორექტირების მიზნით, ხშირად ხდება შეხვედრები სხვადასხვა ტრენინგზე მიღებული ცოდნის გასაზიარებლად. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება კათედრის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელია მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია, რამდნად არის მიემართული აქტივობები დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. მათემატიკის კათედრასთან თანამშრომლობის საფუძველზე დადგინდება ის საჭიროებები, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს საბაზო საფეხურზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლა ქმნის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას სკოლა ითვალისწინებს გასული სასწავლო წლის გამოცდილებას, ხარვეზებს და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს. წარმატებული გამოცდილების მაგალითები მდგრადობის მიზნით გადააქვთ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. გასულ სასწავლო წელს სასკოლო პროექტ „ფინანსური წიგნიერების“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შეთავაზეს სკოლის ეზოს კეთილმოწყობის პროექტის შექმნა, თანდართული ბიუჯეტის ნაწილით. სკოლამ მათ შესთავაზა დაფინანსება 3000 ლარის მოცულობით. მოსწავლეები შეარჩევდნენ ეზოს ტერიტორიაზე მათთვის სასურველ ადგილს და პროექტის შეფასების კომისიას შესთავაზეს გაწერილი პროექტი. კონკურსის შედეგად შეირჩა ერთი გამარჯვებული კლასი, რომელმაც სკოლის ეზოს ერთი ნაწილი მოაწყო მისი დიზაინით შექმნილი პროექტის ფარგლებში. მოსწავლეთა დაინტერესებიდან და გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე სკოლამ აღნიშნული პროექტი გადაიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში, მდგრადობის მიზნით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კათედრების ოქმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

24.10.2023 თარიღი









ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---